

6.19 / 2
1990

ISSN 0130-1624

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველო

საქართველო
№ 11 1990



ზვიად კონსტანტინეას ძე გამსახურდია

საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე

ზვიად კონსტანტინეას ძე გამსახურდია დაიბადა 1939 წელს. იგი ქართული მწერლობის კლასიკოსის კონსტანტინე გამსახურდიას შვილია. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დასავლეთეფროპული ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტი. მუშაობს შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში უფროს მეცნიერ თანამშრომლად. მისი მეცნიერული ინტერესები მოიცავს ჭაბჭაული კულტურის, რუსთველოლოგიის, თეოლოგიის, ანთროპოლოგიის, საზღვარგარეთული მწერლობისა და მითოლოგიის სფეროებს. იგი ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, მრავალი მონოგრაფიისა და სამეცნიერო ნაშრომის ავტორია.

ზვიად გამსახურდია ცნობილია, როგორც პოეტი და ბელეტრისტი. გამოქვეყნებული აქვს ლექსებისა და იგავ-არაკების კრებულები. ავტორია მრავალი მხრივი ლიტერატურათმცოდნეობითი ნარკვევებისა. მას ეკუთვნის ამერიკელ ინგლისელ და ფრანგ მწერალთა ნაწარმოებების მაღალმხატვრული თარგმანების ინგლისური, გერმანული, ფრანგული და რუსული ენები.

საზოგადოებრივ-პოლიტიკური საქმიანობა დაიწყო 50-იან წლებში. რისთვისაც

ვისაც ჯერ კიდევ ჩვიდმეტი წლის ახალგაზრდა დააპატიმრეს. მიუხედავად ამისა, 60-70-იან და 80-იან წლებში ინტენსიურად განაგრძობდა პოლიტიკურ მოღვაწეობას. იყო საქართველოში პირველი თვითგამოცემითი ჟურნალ-გაზეთების რედაქტორ-გამომცემელი. 70-იან წლებში გამოსულმა „ოქროს საწიხსმა“, „საქართველოს მოამბემ“, „საქართველომ“, „მატიანემ“ და სხვებმა უშინშენილოვანესი როლი შეასრულეს საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღორძინების საქმეში.

ზვიად გამსახურდია საქართველოს პელსინკის კავშირის დამფუძნებელი და უცვლელი თავმჯდომარეა. 1989 წელს აირჩიეს წმინდა ილია მართლის საზოგადოების თავმჯდომარედ. არის ყველა საპროტესტო აქციისა და გამოსვლის ერთ-ერთი ინიციატორი და აქტიური წარმმართველი.

1977-1979 წლებში ზვიად გამსახურდია იყო რეპრესირებული. პოლიტიკური მოღვაწეობისათვის სასჯელს იხდიდა თბილისის, მოსკოვისა და კასპისპირეთის საპატიმროებში.

ჰყავს მეუღლე და სამი ვაჟიშვილი.

19.316

საქართველოს უზენაესი საბჭოს სხდო-
მათა დარბაზში გაიმართა რესპუბლიკის
პირველი მოწვევის სახელმწიფო ხელისუფ-
ლების უმაღლესი ორგანოს პირველი სე-
სია. ახალ დეპუტატთა კორპუსთან ერთად,
რომელიც გასაბჭოების შემდეგ პირველად
იქნა არჩეული მრავალპარტიულ საფუძ-
ველზე, აქ მოწვეული იყვნენ არჩევნების
მონაწილე ყველა პოლიტიკური პარტიისა
და ბლოკის ხელმძღვანელები.

სესია დაიწყო სრულიად საქართველოს
კათალიკოს-პატრიარქის, უწმინდესი და
უნეტარესი ილია მეორის ლოცვა-კურთ-
ხევით. პატრიარქმა დეპუტატებს დაულო-
ცა საქართველოს ერთობისა და დამოუკი-
დებლობის სასიკეთო მოღვაწეობის გზა,
აღაველინა ლოცვა და საჩუქრად უძღვნა ახ-
ალ უზენაეს საბჭოს ბიბლია და იერუსალი-
მიდან ჩამოსვენებული „აღდგომის“ ხატი.

დეპუტატებმა წუთიერი დუმილით სცეს
პატივი ყველა იმათგანს ხსოვნას, ვინც
საქართველოს თავისუფლებისა და დამო-
უკიდებლობისათვის ბრძოლაში დაიღუპა.

შემდეგ სესია მუშაობას შეუდგა. იგი
გახსნა ცენტრალური საარჩევნო კომისიის
თავმჯდომარემ ირაკლი უორდანიამ, რომე-
ლმაც შეკრებილთ მოახსენა საქართველოს
უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების
შედეგები.

სესიამ აირჩია ხმის დამთვლელთა კომი-
სია, დაამტკიცა უზენაესი საბჭოს სხდო-
მების დროებითი რეგლამენტი.

ირჩევნ სესიის ხელმძღვანელ ორგანო-
ებს: სამდივნოს, სარედაქციო და სამანდა-
ტო კომისიებს.

ფარული კენჭისყრის შედეგად ზვიად
გამსახურაძემ არჩეულია საქართველოს
უზენაესი საბჭოს თავმჯდომარედ. ერთნ-
მად, დარბაზის ტაშის გრილში მტკიცდება
ხმის დამთვლელი კომისიის ოქმი.

სესიაზე საპროგრამო განცხადებით გა-
მოვიდა საქართველოს უზენაესი საბჭოს
თავმჯდომარე დეპუტატი ზვიად გამსახუ-
რაძე.

უზენაესმა საბჭომ მიიღო საქართველოს
სრული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებ-
ლობის აღსადგენად რესპუბლიკაში გარ-
დამავალი პერიოდის გამოცხადების კანო-
ნი, შეიტანა შესაბამისი ცვლილებანი რეს-
პუბლიკის კონსტიტუციაში.

დეპუტატებმა განიხილეს და ერთხმად
მიიღეს რესპუბლიკის სახელწოდების შეც-
ვლის კანონი. ამიერიდან მას საქართველოს
რესპუბლიკა ეწოდება.

სესიამ დაამტკიცა საქართველოს რეს-
პუბლიკის ახალი ატრიბუტიკა.

უზენაესმა საბჭომ მიიღო მიმართვები
მსოფლიოს ხალხებისადმი, ევროპის უშიშ-
როებისა და თანამშრომლობის თათბირის

მონაწილე ქვეყნების სახელმწიფოთა და
მთავრობათა მეთაურების პარიზის კონფე-
რენციისადმი, სრულიად საქართველოსად-
მი.

სესიამ ერთხმად აირჩია დეპუტატი
პაპკი ასათიანი საქართველოს რესპუბ-
ლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის
პირველ მოადგილედ.

სესიამ ერთხმად აირჩია დეპუტატი ნე-
მო ბურმუშაძე უზენაესი საბჭოს თავმჯ-
დომარის მოადგილედ.

შემდეგ დეპუტატები შეუდგნენ საქარ-
თველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის დანიშვნის საკითხის გან-
ხილვას.

უზენაესმა საბჭომ ერთხმად დანიშნა
დეპუტატი თინაძე სიბუშა საქართველოს
რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯ-
დომარედ. მას დევალა წარუდგინოს უზ-
ენაეს საბჭოს წინადადებანი რესპუბლიკის
მინისტრთა საბჭოს სტრუქტურისა და
პერსონალური შემადგენლობის შესახებ,
ხოლო უზენაესი საბჭოს შესაბამის მუდმივ
კომისიებს დაევალოთ, წარუდგინონ უზე-
ნაეს საბჭოს დასკვნები მთავრობის სტრუ-
ქტურისა და პერსონალური შემადგენლო-
ბის თაობაზე.

დეპუტატებმა მიიღეს გადაწყვეტილება
უზენაესი საბჭოს მუდმივი კომისიების
შექმნის შესახებ, აირჩიეს ამ კომისიათა
თავმჯდომარეები.

აირჩიეს თავმჯდომარეები კომისიებისა:
კანონმდებლობის და კანონიერების დაცვი-
სა — დეპუტატი ნუგზარ მოლოდინაშვილი,
საფინანსო-საბიუჯეტოსი — დეპუტატი ტა-
რიელ გელანტია, ეკონომიკური რეფორმი-
სა — დეპუტატი გივი თაქთაქიშვილი, მუ-
მანიტარულ და სოციალურ საკითხთა —
დეპუტატი რობერტ პეტრიაშვილი, მრეწ-
ველობის, ენერგეტიკის, მშენებლობის,
ტრანსპორტის და კავშირგაბმულობისა —
დეპუტატი ბაკურ გულუა, სოფლის მეურ-
ნეობის, მიწათსარგებლობის და ეკოლო-
გიისა — დეპუტატი ირაკლი ჩხეიძე, საერ-
თაშორისო ურთიერთობებისა — დეპუტა-
ტი თედო პაატაშვილი, საზოგადოებრივი
წესრიგის და სახელმწიფო უშიშროების
დაცვისა — დეპუტატი ვაჟა ადამია, კულ-
ტურის, განათლების და მეცნიერებისა —
დეპუტატი თემურ ქორიძე.

მუდმივი კომისიების თავმჯდომარეებს
დაევალოთ, წარმოადგინონ წინადადებანი
მათი კომისიების პერსონალური შემადგენ-
ლობის შესახებ. უზენაესი საბჭოს მუდმივ
კომისიებს დაევალოთ, შეიმუშაონ პირველი
რიგის კანონებისა და დადგენილებების
პროექტები, რათა წარუდგინონ ისინი საქა-
რთველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს
პირველ სესიას.

ყოველთვიური საზოგადოებრივ-
პოლიტიკური და სალიტერატურო-
სამხატვრო ჟურნალი

ნ ო მ ე რ უ ი ბ ი:

ახალი საქართველოს უზენაესი საბ-
ჭოს პირველი სესია.

ჯემალ მახრიშვილი. ...ქაბა ვის არის
ცხვრისაო!

ეკვანი ეპტუშინკოს ინტერვიუდან.
ალექსანდრე ბუაჩიძე. ინტელიგენ-
ტის განდევნა.

ალექსანდრე იაშვილი. „გზნებაკარ
რევოლუციონერები“.

ზურაბ ლომიძე. ღამის მუშტრები
(მოთხრობა).

ლევან დოლიძე. ლევილის სავანე.
ნატალია ორლოვსკაია. ლამაზი ქა-
ლავის ქვეყანა.

ანიბალ მაზაღი. როიალი (მოთხ-
რობა).

უზანგი სინარულიძე. ექსპერიმენტა-
ბი თუ დაბავშილი ეკონომიკა?

ოთარ ბერიშვილი. არც „არინდაც“
ქართული. არც — „იჯარა“. მარტა...
რამ დავიდოვი. აბატი კატრე ხარის-
ჭირაშვილი.

კანოკამა.
პროსკოვრი.

საქართველოს კვ. ცხ.ის გამომცემლობა

მ თ ა ვ ა რ ი რ ე დ ა მ ტ ო რ ი
ოთარ ქინძლამაძე

სარედაქციო კოლეგია:

ბულნარა ბახტაძე (პასუხისმგებელი მდივანი).
ოთარ ბერიშვილი, ვასილ ვაჟაძე, ნათელა
გიორგოზიანი, ოთარ ლეჟანაშვილი, ვახტანგ
ესკანდია. ჯემალ მახრიშვილი, დინარა
ნოღია (ხატ-რედაქტორი). თინაძე საბსონაძე.

საქართველოს
ეროვნული
ნიგელიოთეკა



საძოვრების საკითხი. აქედან ყიზლარში ცხვრის გადასარეკი გზის მიმდებარე საფარგულეები, რომლებიც ჩეჩენ-ინგუშეთის ტერიტორიაზე მდებარეობს და ცხვრისათვის იყო განკუთვნილი, ახლა მასობრივად აითვისეს და აქ ფართო მასშტაბის მშენებლობებია გახურებული. გზაში ცხვარმა სადღა მოიტყუოს პირი და კუჭი? თანაც ერთი დღე და კვირა ხომ არ არის — გადარეკვას ერთი თვე მაინც სჭირდება! ამიტომ საზაფხულო იალაღებზე დასუქებული ფარა გზაში ისევე ჩანდაგდება და მერე ზამთარს დაოსებული ხვდება... აღარც თვით ყიზლარშია ყველაფერი რიგზე. ჯერ ერთი, დიდი ნავთობსაძიებო სამუშაოები მიმდინარეობს და ამის გამო ისედაც შევიწროვებულნი, კიდევ უფრო შევიწროვდით. ვგ კიდევ არაფერი. ლეკები უკვე აშკარად გვემუქრებიან — მალე ჩვენი მიწა-წყლიდან გულა-ნაბადს აგაკრევიანებთ და აქ თავის დღეში ფეხს აღარ დაგვადგებიან! ძალიან გალიზიანებულნი არიან!

— რამ გააღიზიანათ?

— ყვარლის რაიონში ლეკების ამბებზე არასწორად არიან ინფორმირებულნი.

— მაშ, რა გამოსავალია?

— საჭიროა მთელი რესპუბლიკის საძოვრების საფუძვლიანი შესწავლა. აღწერა და რაიონებს შორის ხელახალი გადაწყვეტილება.

— მე თუ მკითხავთ, არც საზაფხულო იალაღებზეა სახარბიელო მდგომარეობა. — საუბარში ჩაერია ლოდზე ჩამომჯდარი სნოს კოლმეურნეობის თავმჯდომარე ვასილ ლულუშაური და ცერად გახედა დეკან ფერდობს, რომელიც ალაგ-ალაგ მეწყერს ჩამოეტყავებინა, — ინსტრუქციის თანახმად, ერთ ჰექტარზე უნდა ბალახობდეს ერთი სული ცხვარი, ფაქტიურად კი სამ სულს უხდება ტრიალი. ხომ წარმოგიდგენიათ, რა დღეში ჩაეპარდება საძოვარი!

— თუმცა რა, — სიტყვა მიაშველა ამავე კოლმეურნეობის ეკონომისტმა გერმანე ფირანიშვილმა, — ახლა ერთ ჰექტარზე ერთი სულიც რომ ბალახობდეს, არც მაშინ იქნება დიდი ბედენა!

— რატომ?

— რატომ და ეს ნორმატივები მიღებულია ორმოცი-ორმოცდაათი წლის წინათ. მაშინ, როცა იალაღი მართლა იალაღობდა. მას აქვთ ბევრმა წყალმა ჩაიარა: იცვლება კლიმატი, რელიეფი, ბუნება მაინც თავისას შვრება და გადატვირთული საძოვრებიც დაკნინდა, ჩამომეწყრა, წახდა. მწყემსების ენაზე რომ გითხრა, მინდორს ტყავი გაუთხელდა და სამს კი არა, ერთ სულსაც ვეღარ კვებავს ხეირიანად.

— ხალხო, სულ ცხორზე რო ლაპარაკობთ, ბეჩაევი მწყემსი რად გავიწყდებათ?! — რიხიანად იკითხა პლატონ ჩაბაიძემ, მომიახლოვდა და ჯერ კიდევ ახალთახალი ბრეზენტის საწვიმარის გარღვეული ილღია მომიშვირა, — აი, ერთი კვირაც არ მიხმარია და უკვე ილღია შემოსტყვრა! მწყემსთა სპექტანსაცემელი სულ ასეთი ფართხუნა, უხეირო და უხარისხო მოგვდის! რაც თავი შემისწავლია, სულ ამაზე ვცებდობთ, მაგრამ საშველი არ დაადგა ჰოდა...

— პლატო, მაგას თავი დაანებე, — გაედრახა ლევან არაბული და თითი გაიშვირა კავმა იაბოსკენ, რომლისთვისაც უნა-

გირის მაგიერ ნაბდის ნაგლეჯი დამეგრებიანათ კრელი საბლით, — აბა, თავმომწონე მწყემსი ამნაირად მორთულ ცხენს მიუდგება ახლოს? მაგრამ რას იზამ, როცა ცხენის ლაგამ-უნაგირი და რახტი აღარსად იშოვება! შვილოსან, ტელევიზორში რომ გაიძახით: დამოუკიდებლობა გვინდაო, მთა უნდა ავალორძინოთო, ბევრი ცხვარ-ძროხა დაგვეკირდებაო, რატომ იმას აღარ ფიქრობთ, რომ საქონელი უმწყემსოდ არ იქნება, მწყემსს კიდევ ლაზათიანად შეკაზმული ცხენი სჭირდება?! ყიზლარამდე ერთი თვე უნდა ვიაროთ, გზაში გული რო შემიღონდეს, უბელო ცხენზე ფეხებჩამოტლევილმა როგორ ვიარო და მოვსულიერდე, ანდა აქ თუგინდ „ვოლგაც“ მაჩუქონ, რა თავში ვიხლი — თუ შეკაზმული ცხენი არ მეყოლება, სატილო წავერები როგორ გავიარო?! ვერ გამიგია, რესპუბლიკას რა გაუჭირდა იმისთანა, რომ თავისი მწყემსები ცხენის საკმანძით ვერ დაუტყავიანებდნენ?

მზემ ტუჩი ამოყო მთის წვერზე. წავისაუზმეთ და პირველი ფარაც დაიძრა. დანარჩენებმა ბარგის შეკვრა დაიწყეს.

გურამ ჩამარჯაშვილი მდუმარედ შემომაშტარდა. ეტყობა, რალაცის თქმა ეწადა, მაგრამ თან ყოყმანობდა. ბოლოს მაინც გატეხა ნავსი.

— კიდევ ერთი წუხილი მინდა გაგიზიარო და თუგინდ ჩაიწერე, თუგინდ არა — ნება შენია.

— გისმენ.

— მიუხედავად იმისა, წლების მანძილზე სადღა არ ვიყავით და თხოვნა-ხვეწებით ვიღას არ გადავკმამეთ თავიერი, მაინც ვერასდიდებით ვერ მივალწიეთ იმას, რომ ჩვენს რაიონში ერთი მარტივი ტიპის პირუტყვის სასაკლავო გახსნილიყო! არადა, ეს ამდენი პირუტყვი — ცხვარი, მსხვილფეხა, ღორი — დღემთსა და მარნეულის სასაკლავოებზე მიგვივით და იქ ვაბარებთ. პირუტყვი კი ისე არაფერი აშინებს და ადნობს, როგორც ტრანსპორტირება: ასეთი მგზავრობისას ცხვარი საშუალოდ სამ კილოს იკლებს. აბა, ახლა ეს გადავიანგარიშით ათიათასობით სულზე, თანაც ყოველწლიურად და მაშინ დავინახავთ, რამდენს ზარალობს რესპუბლიკა. ამას გარდა სატრანსპორტო ხარჯები? დრო? ხელფასი? მუშახელის მოცდენა? მაგრამ მიზეზი რომ ვეღარ უპოვიათ რა, ესღა დაუჭინათ: წარმადობა არ ექნებაო! როგორ არ ექნებოდა, კაცო: ამხელა გზაზე აღარ ვაწვალბდით არც მუშახელს, არც პირუტყვს და დღეში საშუალოდ 500-600 ცხვარი, 80-100 სული საქონელი და ამდენივე ღორი ადგილზევე დაიკვლებოდა და ქალაქში სუფთა ხორცს გავაგზავნიდით. ნუთუ აქ რაიმე შეიძლება იყოს გაუგებარი ან მიუღებელი? მაგრამ ამის გაგონებაც კი არ სურთ!

— რატომ?

— მაგას რაღა კითხვა უნდა! — გაკვირვებით შემომხედა გურამმა და მწარედ ჩაეცინა, — ნუთუ მართლა ვერ ხვდები?! ცოცხალი პირუტყვის ჩაბარების ნორმატივი, მექანიკა და ფესვგადგმული ტრადიციები ისეთია, რომ იქ ადვილია ჩვენი მოტყუება, გაღლეა და ჯიბის გასქელება! ხოლო დაკლული, სუფთა ხორცი რომ ჩაიტანო და მიუწონო, იქ რას გამოგჩვენებინ — ვერაფერს!!! ჰოდა, ყაზბეგში სასაკლავო რომ გაიხსნას, ამით ბევრი დაკარგავს მსუ-

ქან ლუკმას და გიყები არიან მწყემსები მედონ?

ო, ჩემო საყვარელო მკითხველო, ამ სტრიქონებმა სული არ შეგიხუთათ?! ეს რა დღეში ვართ, ვინ დაგვწყველა?! ასე ვაპირებთ დამოუკიდებლობის მოპოვებას და გადატაკებული სამშობლოს აყვავებას? დღეს საქართველოში ნაბიჯს ვერ გადადგამთ, რომ მსგავსი რამ არ ნახოთ, ან არ მოისმინოთ! როდემდე და სადამდე?! ნუთუ ვერ ვეღირსებით ისეთ პოლიტიკური და ეკონომიკური მართვის სისტემას, როცა მოხელე-ფუნქციონერთა ამდაგვარი პირადულ-ქვენა მოსაზრებები არამტოვ შეუძლებელი, არამედ, რაც მთავარია, საჭიროც აღარ იქნება!!! და აი, ახლა, სნოს მშვენიერ ხეობაში, მეცხვარეთა ალაჩოყის წინ სველ ლოდზე, თვითონაც ლოდით უძრავად ვდგავარ, მკითხველო, და მეც შენსავით გულში ხანჯალივით მიტრიალებს ერთადერთი კითხვა, „როდემდე, როდემდე, როდემდე“?

მაგრამ აქ, აბა, ამის პასუხს ვინ მოგცემს: გულჯავრიანი თერგი ისევ ძველებურად თავისთვის მირბის და მიჰყვებს, გოროზი მყინვარი კვლავ ნირუცვლელად ჰყუღია და აინუნშიც არ იგდებს მოკვდავთა დილურ ჰირ-ვარამს, ოქტომბრის ცივი წვიმით გალუმბული მეცხვარეები მდუმარედ მიერეკებიან ფარას და უკვე შორეული ყიზლარი ეზმანებათ... „მგზავრის წერილებისა და „ნამწყემსარის მოგონებების“ ავტორებიც დიდი ხანია, მიწაში წვანან... მაშ, ვინ მოგცემს პასუხს, ვინ?

თბილისს რომ დაებრუნდები, იქნებ ისევ მე ჩავიცვა რკინის ქალამები და შეუპოვრად გაეწიო სადღაც ჩამარხული ძაღლის თავის საძებნელად. მერწმუნე, მკითხველო, არ დამეხარება და ჩემი ყოვლად უმნიშვნელო ჟურნალისტური ჯახირის მანძილზე მსგავსი რამ არაერთხელ გამიკეთებია. მაგრამ ყოველთვის უშედეგოდ! ამიტომ წინდაწინ და ჰეშმარიტებით ვიცი, ახლაც ასე მოხდება: გამორჩენა-გამდიდრების დუღებით შეკავშირებული ფუნქციონერები კასტის საიდუმლოსა და ინტერესებს ხომ არ ვასტყვამენ! ამიტომ მალოდინებენ, გადამიდ-გადმომიღებენ, ათასჯერ და მინიშნავენ აუღენციას, მაგრამ „მოუცლელობის“ გამო ვერ მიმიღებენ, მერე ერთმანეთზე მიმასწავლიან — ეს სწორედ იმას ეხებაო. მაგრამ სანამ მე რომელიმე მათგანთან მივიდოდე, მანამ მას ტელეფონით დაარბებენ — ვინა ვარ, რისთვის მოვდივარ და რა უნდა მიპასუხო! ასე ამაბურთავებენ, დამლღიან, დამქანცავენ, თავბედს მაწყველიანებენ და არაქათი გამომეცლება, ბოლოს რომელიმე მათგანი ხელთბილი ღიმილითა და მენტორული კილოთი ისეთ ლექციას წამიკითხავს, რომ დავიჯერებ თუ არა, მაინც ძალით უნდა ვიწამო: ყაზბეგში პირუტყვის მარტივი ტიპის სასაკლავო გახსნის იდეა არარეალურია და წამგებიანი იქნება, რომ ამ იდეის ავტორი არაკომპეტენტურია, ხოლო მე კი, როგორც ერთ-ერთი პროვინციელი ხელმძღვანელის ანკესზე წამოგებელი არამკითხე, რომელიც სწორედ იქ ჰყოფს ცხვირს, რისაც ინიჩინი არ გაეგება და სხვა და სხვა...

მაგრამ ღმერთი ხომ ყველაფერს ხედავს!

და მაინც — როდემდე?

ჯამალ მახრიშვილი

რა სასწაულით გადაარჩა პოეტი ცოცხალი

1952 წელს ის-ის იყო მივიღე მწერალთა კავშირის წევრობის მანდატი, რომ მოვხდო გრიბაჩევის წიგნის „ქეჩა-ჭუხილის შემდეგ“ განხილვაზე. მეცვა შესანიშნავი, დედაჩემის მოქარაგული უკრაინული პერანგი.

უნდა ითქვას, მაშინ გრიბაჩევი ჭეშმარიტად საშიში ფიგურა იყო — პარტიული კომიტეტისა და მწერალთა კავშირის მდივანი, სტალინური პრემიის ორჯის ლაურეატი, კოსმოპოლიტთა უმოწყალო განადგურების იდეური სულისჩამდგმელი. ამ ადამიანის ეშინოდათ თვით სურკოვსა და ფადეევს. და ამ დროს წარმოიდგინეთ ცხრაშვიტი წლის ბიჭი ტიტულოვანი მასწავლებლისაგან ქვას ქვაზე არ ტოვებს. ეს ყოველთვის არაბუნებრივი და აუნსნელი იყო, რომ ჩემს შესახებ მაშინვე დაირხა ხმები, თითქოს ფადეევს ჩემი ლექსები სტალინისათვის წაეკითხოს და ის აღფრთოვანებულიყოს. საბოლოო ჯამში ამან იხსნა არა მარტო ჩემი რეპუტაცია, არამედ ჩემი სიცოცხლეც.

როგორ იბრძოდა პოეტი სახალხო დემოკრატიისათვის

...ხან აქ, ხან იქ გაისმოდა: მას უამრავი წიგნი აქვს გამოცემული. ის ყველას უყვარს, ხშირად დადის საზღვარგარეთ... დიას, ნამდვილად ცოდვია, ბედს რომ ვუჩიოდეთ. თხზმოდითორმეტ ქვეყანაში მომიწია ყოფნა. მაგრამ მსოფლიოში მოგზაურობის უფლება არც ჩემთვის, არც ჩემი ამხანაგებისთვის არასოდეს, არავის უჩუქებია. ჩვენ ის გამოვვლიყავით, ბრძოლით მოვიბოვეთ. ვქმნიდით პერსპექტივებს, ვარღვევდით თითქოსდა ურყევ კედელს. ჩვენ პირველებმა ჩამოგვჩიეთ „რკინის ფარდა“, რისი წყალობითაც გახდა შესაძლებელი მაშინ ჩასახული დემოკრატიული მოძრაობის ფართო გზაზე გასვლა.

როგორ ურთავდა პოეტი მუშაკს მავიდაზა

...მე მაგალითად, მომიხდა მეტად მკვეთრი, მიუკერძოებელი შეკამათება ხრუშჩოვთან. როცა მან შემოგეთავაზა ერნსტ ნეიზვესტნის ქვეყნიდან გაძევება, მე ვუთხარი: „როგორ შეგიძლიათ ასე გასწიროთ ადამიანი, რომელსაც ფრონტზე სისხლი დაუღვრია? თქვენ არა გაქვთ უფლება, ასე მოიქცეთ. თუ მას ხელოვნებაში რაღაც არ გამოიღის, მიუთითეთ. შეუსწორეთ — ის გაიგებს და გაითვალისწინებს“. პასუხად ხრუშჩოვმა მუშტი დაჭრა მაგიდას: „კუხიანს მხოლოდ სამარე გაასწორებს!“ მაშინ მეც დავარტყი მუშტი მაგიდას და ვიყვირე: „არა, ნიკიტა სერგეის ძე. წავიდა, და იმედი მაქვს, სამუდამოდ, დრო, როცა ხალხს საფლავებით ასწორებდნენ“. ხრუშჩოვს სისხლმა თავში აასხა, ერთიანად წამოუწითლდა სახე, მაგრამ მცირე ხნის შემდეგ, უკანასკნელად მრისხანედ შემომხედა და უცებ რაღაცნაირად მოლბა, შვებით ამოისუნთქა, და... ტაში დამიკრა.

როგორ ებრძოდა პოეტი პოლიტიკურს

...მე ყოველთვის ვებრძოდი პოლიტიკის პოეზიაში. როგორც კი სახელმწიფო პრემია მომანიჭეს პოემისათვის „დედა და ნეიტრალური ბომბი“, მაშინვე მივმართე

ეპიკონი

ეპიკონოს

ინტერვიუდან

პოლიტიკურს მოთხოვნით, შეეცვალათ ცენზურა, რომელმაც ეს პოემა ოდესღაც ანტისაბჭოურად გამოაცხადა. დარწმუნებული ვარ, როცა ადამიანი მყარად დგას თავის პოზიციაზე, ეს ყოველთვის იწვევს პატივისცემას მის მიმართ.

როგორ უნდა ანგარიშს პოეტს თვით ბრეჟნევი

ჩეხოსლოვაკიის მოვლენების გამო ჩემი პროტესტის შემდეგ, თორმეტმა პატივცემულმა მწერალმა გაუგზავნა ბრეჟნევის წერილი მოთხოვნით, ჩამოერთმიათ ჩემთვის საბჭოთა მოქალაქეობა და გავეძევი ბინით ქვეყნიდან.

გავიდა დრო. ბრეჟნევის მზე უკვე გადახრილი იყო. ერთ-ერთმა მისმა თანაშემწემ, როცა მორიგ რაღაცას მოვითხოვდი, თითქოსდა სხვათაშორის შენიშნა: „მე აქ თქვენთვის საინტერესო საბუთი მაქვს“. და ამოიღო მაგიდიდან ის წერილი. „გინდათ გადახედოთ?“ „იცი, არ მინდა“. მოვუჭერი მე. „რატომ?“ გაუკვირდა მას. „ჩემთვის ძნელი იქნება შემდეგ ამ ხალხთან ცხოვრება და შეხვედრა“.

იმ კაცმა გამომცდელად შემომხედა და მოულოდნელად გამომიტყდა: „ამისთვის მე თქვენ ძალიან ვაფასებ“.

სხვათაშორის მიაბეჭეს, რომ როცა ეს წერილი პოლიტიკურზე გაუტანიათ, ამდგარა კოსიგინი და უთქვამს: „როდემდე უნდა გადავაქციოთ პოლიტიკურ საზღვარსა და სადაც დასმენებს კითხულობენ?“ და თვით ბრეჟნევისაც უღიარებია: „შეიძლება დავეთანხმოთ ან არ დავეთანხმოთ იმას, რასაც ევტუშენკო ამბობს. მაგრამ ის გულწრფელი ადამიანია და ამა არ შეიძლება ანგარიში არ გაეწიოს“.

როგორ იცავს პოეტი „პამიატს“

...მაგალითისათვის აიღეთ „პამიატი“ მისი აშკარა პროფამისტური შეხედულებით. ის უხანძრობებს ჩადის, მაგრამ ამ ორგანიზაციის გარეკვა, მით უფრო არ შეიძლება.

თქვენ ხომ გრძნობთ, რომ იგივე „პამიატს“ ჰყავს მეტად გავლენიანი მფარველები, რომ მართალია? მაშ ასე, მენდელეევი, ნეველი, თუ „პამიატს“ აკრძალავენ, ზეგ ვინაა — დასჯი რავს „მემორიალს“, „პარილს“. შემდეგ კი დასვავენ საკითხს მრავალპარტიული სისტემის მიზანშეწონილობაზე.

როგორ უპარანახ პოეტმა პრეზიდენტს

...ცოტა ხნის წინ მე და რობერტ როფ-დესტვენსკიმ მივწერეთ წერილი გორბაჩოვს თხოვნით, რომ სადმე, რომელიმე გამოსვლაში, ნეგატიურ მოვლენათა გვერდით ეხსენებინა სიტყვა „ანტისემიტიზმი“. და ის გაისმა პრეზიდენტის პასუხებში. კომკავშირის უპრობლემო ყორობაზე, ვთვლით, რომ არ იქნებოდა ურიგო. და ეს არ დააზარალებდა არც დემოკრატიას და არც ადამიანთა უფლებებს — საჩვენებელი პროცესების მოწყობა მათ მიმართ, ვინც წინასწარი განზრახვით ლახავს ერის ღირსებებს — იქნება ეს ჩრდილოეთის პატარა ერი თუ დიდი რუსეთის ხალხი. შემსრულებელი ხელისუფლების ნახევრულობა, ნახევარზომის მიღება არის ჩვენი უბედურება.

როგორ უყურავს პოეტი ძველ სიმღერებს და სოციალიზმს

...„ინტერნაციონალი“ აქამდე რჩება ჩემს საყვარელ სიმღერად. „ვარძავიანკაც“ ძველებურად მიყვარს. სოციალიზმის იდეალებით (რა თქმა უნდა ჭეშმარიტი იდეალები) ჩემთვის მახლობელია. უნდა ვითხოვოთ. მე ყოველთვის კოლოსალური განსხვავება მქონდა შეხედულებებში მამაჩემთან. ის თვლიდა, რომ სოციალიზმი ადამიანური სახით საერთოდ შეუძლებელია, ხოლო, როცა ჩვენმა ტანკებმა ჩეხოსლოვაკიის საზღვრები გადალახეს, მან მითხრა: აი ეს არის კარაქზე ურბილესი, ნონსენსი. ის ჰუმანიზმის გარეშე უბრალოდ შეუძლებელია.

როგორ იცავს პოეტი ნინა ანდრიას ასულს

...დიას, მე არ მომწონს. რასაც ნინა ანდრიას ასული ამბობს, მაგრამ თუკი ვინმე ეცდება მის ციხეში ჩასმას, მე პირველი გავილაშქრებ ამის წინააღმდეგ. საჭიროა კარგად გავეგოთ და დავემხსოვროთ, რომ ერთმანეთის დაუნდობლობამ შეიძლება ისევ ტერორთან მიგვიყვანოს.

და გოლოს როგორი გედენიერია პოეტი

...გაითვალისწინეთ, მე უკვე 57 წლისა ვარ. ჩემი პირადი ცხოვრება საქვეყნოდ არ გამომაქვს, მაგრამ საიდუმლოების ბურუსშიც არ ვხედავ. ყველა ჩემი მეუღლე — მეუღლე კი რამდენიმე მყავდა ძველებურად მიყვარს და მადლობელი ვარ ბედისა, მათთან შეხვედრის გამო. ბედნიერი ვარ, რომ მეზრდება ხუთი წელი. უმცროსი მიტია — ორი თვისაა, მისი ძამიკო ექნია კი წლისა და ორი თვის. ისინი შემეძინა ჩემს ახლანდელ მეუღლესთან მამასთან. ჩვენ ძალიან ახლოს ვართ ერთმანეთთან.

ინტელიგენციის დასახე

ჩვენ გვინდა მოგაწოდოთ საბჭოთა პრესაში („ნედელია“, „მოსკოვსკიე ნოვოსტი“, „სოვერშენო სერაგენო“ და სხვა) გამოქვეყნებული ფართო მკითხველისთვის დღემდე უცნობი ფაქტები 1922 წელს. ჯერ კიდევ ლენინის დიქტატურის პერიოდში, საბჭოთა რუსეთიდან გამოჩენილი რუსი ინტელიგენტების, რუსული ჰუმანიტარული ელიტის, სამშობლოდან მოკვეთის შესახებ.

1922 წლის გვიანი შემოდგომა იდგა კრონშტადტის ნავსადგურიდან გერმანული გემი გადიოდა. მას კურსი ქალაქ შტეტინისკენ ჰქონდა აღებული. გემბანზე გამოჩენილი მეცნიერები ნიკოლაი ბერლიავეი, პიტირიმ სოროკინი, ფიოდორ სტეპუნი და სხვები იდგნენ. გარეგნულად ყველაფერი ჩვეულებრივად გამოიყურებოდა. და მხოლოდ გამცილებელთა შორის „გპუ“-ს თანამშრომელთა სიმრავლეს შეეძლო შემთხვევითი გამკვლელების ყურადღების მიქცევა.

ჯერ კიდევ 1917 წლის 15 ნოემბერს განათლების სახალხო კომისარმა ანატოლი ლუნაჩარსკიმ წარმოთქვა სიტყვები, სადაც კარგად აისახა ბოლშევიკების დამოკიდებულება ინტელიგენციისადმი, განსაკუთრებით ინტელიგენციის იმ ნაწილისადმი, ვინც გაუბრუნდა დიქტატორულ პარტიასთან თანამშრომლობას. ლუნაჩარსკიმ თქვა, რომ მხოლოდ ბოლშევიკები წარმოადგენენ დღეს ახალი სახალხო სახელმწიფოს მთელ ინტელიგენციას. ინტელიგენციის დანარჩენმა ნაწილმა კი „ბუნტი — საზიზარო ბუნტი მოაწყო... მშრომელი ხალხის წინააღმდეგ“. აი, ეს სიტყვები ბრძანა განათლების პირველმა სახკომმა ა. ვ. ლუნაჩარსკიმ: ვისაც აქამდე ჩვენ რაფინირებულ ინტელიგენტად და უგანათლებულეს ადამიანად ვიცნობდით.

ამავე დროს მ. გორკი წერს ლენინს იმის შესახებ, რომ არ შეიძლება რევოლუციის „კეთება“ ინტელიგენციის გარეშე. „ეს ყველაფერი დაავადებული ფსიქიკის ნაყოფია, იმ ვითარებაში, როდესაც ბურჟუაზიული ინტელიგენტები კიდევ უფრო გაბოროტდნენ, ავადმყოფობაც გამძაფრდა“. — აი ლენინის პასუხიც.

ერთი წუთით წარმოვიდგინოთ ის დრო, როცა მიმდინარეობდა აზრთა ეს გაცვლა-გამოცვლა. რა ხდებოდა 1919 წლის ზაფხულს? ნერვები ყველას უკიდურესად აქვს დაძაბული. მოსკოვში მყოფი მთავრობა არაღვარულ მდგომარეობაზე გადასვლელად ემზადებოდა... და აი, ამ დროს გულმოსული ლენინი მიმართავს გორკის, რომ მას ე. ი. ინტელიგენციას, მხოლოდ ეჩვენება რომ ის ერის ტვინია, სინამდვილეში ინტელიგენცია ტვინი კი არა, განავალია (სხვათა შორის აქ დიდ ბელადსა და მასწავლებელს გაცილებით უწმაწური, უცენზურო სიტყვა აქვს ნახმარი. ა. ბ.).

1922 წლის 17 იანვარს „პრავდაში“ დაიბეჭდა ყურადსაღები დოკუმენტი — ლენინის მიერ შედგენილი და პოლიტიბუროს მიერ დამტკიცებული თეზისები „პროფკავშირების როლისა და ამოცანების შესახებ ახალი ეკონომიკური პოლიტიკის პირობებში“. ეს იყო სერიოზული ნაბიჯი, გადადგმული კომუნისტური იდეოლოგიისათვის უცხო, მაგრამ „კეთილსინდისიერად, საქმისადმი ცოდნით და სიყვარულით მომუშავე“ საპეციალისტებისაკენ.

დიალოგისადმი ეს ერთგვარი მოპატიება, რა თქმა უნდა, შეუმჩნეველი არ დარჩენილა. მაგრამ, ამასთანავე, მარტის დასაწყისში ჩატარებულ აგრონომთა ყრილობაზე ბევრმა დელეგატმა მძაფრად გააკრიტიკა საბჭოთა ხელისუფლების საქმიანობა არაკომპეტენტურობისთვის. იგივე პრეტენზიები წამოყენებულ იქნა ექიმთა სრულიად რუსეთის II ყრილობაზე. მაშინვე დაიწყო მოსკოვის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლის, მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა გაფიცვა, მალე მათ პეტროგრადის უმაღლესი სასწავლებლების პროფესურა შეუერთდა. გაფიცვას სტუდენტობამაც დაუჭირა მხარი.

პარტიულ თათბირზე, რომელსაც პოლიტიბუროს შემადგენლობიდან ესწრებოდნენ სტალინი და ზინოვიევი, ლუნაჩარსკი შემდეგი დირექტივით წარსდგა: „დღევანდელ პოლიტიკურ ვითარებაში არავითარი დათმობა უნივერსიტეტის ავტონომიისადმი არავითარ შემთხვევაში დაშვებული არ იქნება“. პარტიულმა ხელმძღვანელობამ, რასაკვირველია, დააკმაყოფილა ლუნაჩარსკის ეს მოთხოვნა.

ბრძოლა წესდების ფორმალურ დაცვას როდი ეხებოდა. პროფესორები „ადამიანისა და მოქალაქის ელემენტარული უფლებების დაკმაყოფილებას“ ითხოვდნენ. „ურომლისოდაც ვერავითარი სასარგებლო შრომისა და მეცნიერული მუშაობის პირველ რიგში, მიმდინარეობა შეუძლებელია“. გამოქვეყნებულ ნაშრომებში მეცნიერები ძალზე კრიტიკულად მიუდგნენ სახელმწიფოს მიერ მეცნიერებაში მარქსიზმის მონოპოლიის მატარებელ კურსს. მათ მეტად მნიშვნელოვანი რამ შენიშნეს: კლასობრივი ბრძოლებიდან რუსული მარქსიზმი სახელმწიფო იდეოლოგიურ სისტემად ყალიბდებოდა. ნამდვილი მეცნიერება კი დისკუსიების გარეშე არ არსებობს, დაყენებით ამტკიცდნენ ჭეშმარიტი რუსი ინტელიგენტები.

ბევრ მწარე სიმართლეს წერდნენ ნამდვილად მეცნიერები, მაგრამ ლენინისათვის, ალბათ აქ არაფერი ახალი არ იყო.

ლენინმა დაინახა, რომ ახალ ხელისუფლებასა და ინტელიგენტ-მეცნიერთა შორის დავა არა ტაქტიკურ, არამედ სტრატეგიულ საკითხებზე მიმდინარეობდა. სწორედ ამან განაპირობა, რომ ლენინი მეცნიერებაში გაცილებით მრისხანე ოპოზიციას ხედავდა, ვიდრე კოლჩაკი, იუდე-ნიჩი და დენიკინი ერთად აღებული, ოპოზიციას, რომელიც იმეტომ იყო უფრო

მრისხანე, რომ ჭკუითა და ღრმა ცოდნით გახლდათ შეიარაღებული. საზოგადოებაზე, რომელსაც ჯერ არ განულებოდა სისხლისმღვრელი ძმთაშორისი ომის კოშმარი, რომელიც ჭიუტად ეძებდა პასუხს კითხვაზე თუ როგორ, რა გზით უნდა ევლო დანგრეულ ქვეყანას, ამ საზოგადოებაზე ბოლშევიკებთან ოპოზიციის მიღობი მეცნიერები გაათქვამულ გავლენას ახდენდნენ.


ლენინი თვლიდა, რომ ინტელიგენტი-მეცნიერები მისი ნამდვილი პოლიტიკური მტრები იყვნენ, „აშკარა კონტრრევოლუციონერები, ანტანტის ხელისშემწყობნი, მის მსახურთა ორგანიზაცია“.

რაც შეეხება თვით გასახლების იდეას, დღეს პარადოქსულად ითვლება, რომ თვით ლენინს ეკუთვნის ამ ხერხით ინტელიგენციის მოშორების ავტორობა. არსებობს აზრი თითქოს ლენინმა მხოლოდ გადაკრულად მიანიშნა ამის შესახებ, ხოლო სახელმწიფო პოლიტსამმართველომ (გპუ), რომელიც რთულ მდგომარეობაში იმყოფებოდა და სასამართლო-სასჯელ ფუნქციებს მოკლებული იყო, ხელზე დაიხვია ლენინის ეს რჩევა, ისარგებლა ლენინის მძიმე ავადმყოფობით და მოკლე ხანში მოასწრო ინტელიგენციის გასახლება. გამოჯანმრთელებული ლენინი კი თითქოსდა ცდილობდა საქმის გამოსწორებას, მაგრამ გვიანდა იყო.

მაგრამ ეს ასე არ უნდა იყოს. საქმეც იმაშია, რომ ოპოზიციური ინტელიგენციის გასახლება ლენინის მიერ ყოველმხრივ და კარგად იყო აწონ-დაწონილი და მომზადებული. აქ აუცილებელია გავიგოთ, თუ რა მოტივით მოქმედებდა ლენინი და რამ აიძულა იგი შეგნებულად წასულიყო ამ აქციაზე მაშინ, როდესაც მისი აქტიური პოლიტიკური მოღვაწეობის დღეები დათვლილი იყო.

ლენინის წინაშე კაპიტალური საკითხები დადგა. შეძლებს თუ არა პარტია მის გარეშე მაღალი პროფესიონალების შემოტყვევებს თავისი დროული ანალიზი დაუპირისპიროს? ოპოზიციის მიერ დასმული არც ერთი საკითხი ხომ უპასუხოდ არ უნდა დარჩენილიყო.

და აი, 1922 წლის 19 მაისს ლენინი წერილს წერს ფ. ძერჟინსკის, რომელსაც აძლევს რჩევას, რომ გასახლება „საგულდაგულოდ უნდა მომზადდეს. მომზადების გარეშე ჩვენ ბევრს სისულელეს ჩავიდნეთ“. წერილის ტონიდან ჩანს, რომ ლენინი არავითარ მერყეობას არ განიცდიდა. გასახლების საფუძველი მსოფლმხედ-



ველობრივ უთანხმოებათა სიღრმე და ინტელიგენციის არალოიალობა.

ყურადსაღებია ისიც, რომ წერილში აღნიშნულია „პოლიტიურის წევრები ვალდებულნი არიან კვირაში 2-3 საათი მთელი რიგი წიგნებისა და გამოცემების გაცნობას მოახლოდნენ“. ლენინი დაჟინებით მოითხოვს ამ ვალდებულების შემოწმების ორგანიზებას. შემდგომში ეს ვალდებულება „ცაკ“-ის და მთავრობის სხვა წევრებზეც გავრცელდა. მაგრამ უბედურება იმაში მდგომარეობდა, რომ მაღალი დონის კონსპექტების ნაცვლად პრესა გაიფხურა უღირსი პამფლეტებითა და ფელეტონებით.

ლენინი არ ითხოვდა იდეათა გასახლება, იდეების გასახლება შეუძლებელია. შეიძლება ისინი არ მიიღო, არ გაიაზრო, უკუაგდო, მაგრამ მათი გასახლება კი ნამდვილად არ შეიძლება. ლენინს, რომელიც თვით იყო ნამყოფი ემიგრაციაში, ეს, რასაკვირველია, კარგად ესმოდა...

არსებობს ასეთი აზრი, რომ თითქოს ინტელიგენტი მეცნიერების ქვეყნიდან გასახლების დაჟინებით მოთხოვნით ლენინი მეცნიერთა მომავალზე ფიქრობდა და მათზე ერთგვარ ზრუნვას იჩენდა. ეს ჰიპოთეზა ძირითადად ეყრდნობოდა ლ. ტროცკის მიერ საზღვარგარეთელი ყურნალისტებისადმი მიცემულ ინტერვიუს, რომელიც 1922 წლის 30 აგვისტოს „იზვესტიასში“ გამოქვეყნდა. ტროცკი ამბობდა: „ახალი სამხედრო გართულებების შემთხვევაში... მთელი ეს შეურიგებელი და გამოუსწორებელი ელემენტები ჩვენი მტრების სამხედრო-პოლიტიკურ აგენტებად იქცევიან და ჩვენ ომის კანონების მიხედვით იძულებულნი ვიქნებით ისინი დავხვრიტოთ. აი, რატომ ვარჩიეთ მათი წინასწარი გადასახლება და იმედს გამოვთქვამ, რომ უარს არ იტყვიან, აღიაროთ ჩვენი წინდახედული ჰუმანურობა“.

1922 წლის გაზაფხულიდან მიმდინარეობს სასამართლო პროცესების მზადება, რომლებზეც უნდა გაესამართლებინათ ესერები და მენშევიკები (მენშევიკების სასამართლო პროცესი მაშინ არ შემდგარა). „ჩვენ ძალიან დიდი ფასი გავიღეთ“. „ჩვენ თვითმკვლელობას არ ვაპირებთ“ — წერდა ლენინი. ამით იგი უკუაგდებდა მრავალპარტიულობის ყოველგვარ შესაძლებლობას. 17 მაისს ლენინი უგზავნის იუსტიციის სახკომს დ. კურსკის თავის დამატებებს სისხლის სამართლის კოდექსის იმ სტატიებისთვის, სადაც უნდა იყოს „პოლიტიკური სამართლებრივი“ დასაბუთება „დახვრეტის გასახლებით შეცვლის“ შესახებ.

დაფუკირდეთ კიდევ ერთხელ: დახვრეტის შეცვლა გასახლებით. გამოდის, რომ რევოლუციური სამართლებრივი თვალსაზრისით მეცნიერთა დახვრეტაც შეიძლებოდა. უნდა ვივარაუდოთ, რომ ლენინმა უბრალოდ ვერ გაბედა გამოჩენილი რუსი მეცნიერების მოკვლა.

ახლა შევეხებით იმას, თუ როგორ განხორციელდა პროფესორ-მეცნიერთა განდევნა? 19 მაისს ლენინმა თხოვნით მიმართა ძერჟინსკის, რომ „ეს საქმე „გპუ“-ს ვინმე განათლებულ და აკურატულ თანამშრომელს დაავალონ“. 21 მაისს ლენინი ლეხულოვს ჯანმრთელობის სახკომის ნ. სემაშკოსგან მღელვარებით აღსავსე წერილს ექიმების შეურიგებელი პოზიციის შესახებ, რაც ლენინისთვის კიდევ ერთი დამადასტურებელი იმისა, რომ უიარაღო

ობოზიციას ანუ ინტელიგენციას სახკომები ვერ უმკლავდებიან.

23 მაისიდან ლენინი გორკოვს, სადაც 25-26 რიცხვში ის პირველად ხდება ავად, რის შედეგად სხეულის მარჯვენა მხარე დაუხუსტდა და თითქმის სანახევროდ წაერთვა მეტყველება. მოსკოვში ლენინი მხოლოდ 2 ოქტომბერს დაბრუნდა.

ამასობაში „გპუ“-ში გამოიძებნა „განათლებული და აკურატული“ კაცი იაკოვ აგრანოვი, რომელიც ადრე ესერების სასამართლო პროცესის მომზადებას უწყვედა კურირებას. მან უკვე 1 ივნისს მიართვა თავის შუფს, ძერჟინსკის, მოხსენებითი ბარათი, სადაც აღნიშნავდა, რომ მართლაც „ანტისაბჭოთა ინტელიგენცია“ სულ ახალ-ახალ გამოცემლობებს ხსნის, წიგნებსა და სტატიების კრებულებს ბეჭდავს, ყრილობებზე აშკარად აკრიტიკებს საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკას, ხოლო უმადლესი სასწავლებლების პროფესორები გაფიცულია. ამ ბარათს გადასახლებულთა არაერთი სია თან არ ახლავს.

პარტიის ხელმძღვანელობის ყურადღებას უდავოდ მიიპყრობდა აგრანოვის შემდეგი შენიშვნა — „ანტისაბჭოთა ინტელიგენციის და მასთან შეკრული დაჯგუფებების სიმძლავრე კიდევ იმ გარემოებით ძლიერდება, რომ კომპარტიის ფართო წრეებში ფრონტების მოსპობასთან და ნების შემოღებასთან დაკავშირებით დამყარდა ერთგვარი „მშვიდობიანი“ ლიკვიდატორული განწყობილება“.

8 ივნისს პოლიტიბურომ კამენევის, სტალინის, ტროცკის, რიკოვისა და ზინოვიევის შემადგენლობით მოისმინა „გპუ“-ს თავმჯდომარის მოადგილის ი. უნშლიხტის მოხსენება ინტელიგენციაში ანტისაბჭოთა დაჯგუფებების შესახებ. იყო დასახული ღონისძიებათა მთელი კომპლექსი ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაზე ინტელიგენციის ზეგავლენის წინააღმდეგ. შეიქმნა სპეციალური კომისია, რომელსაც დაევა „მომავალი სასწავლო წლისათვის სტუდენტთა ფილტრაციის“. „არაპროფეტარული წარმოშობის სტუდენტთა უმადლესი სასწავლებლებში მიღების მკაცრი შეზღუდვის“ ორგანიზება და ა. შ. ამიერიდან ნებისმიერი ყრილობა თუ თათბირი მხოლოდ „გპუ“-ს ნებართვით შეიძლებოდა შემდგარიყო.

შეიქმნა საგანგებო სათათბირო საგარეო საქმეთა სახკომისა და იუსტიციის სახკომის წარმომადგენელთაგან. რომელსაც მიენიჭა უფლება ხელისუფლებისათვის არასასურველ პირთათვის უფრო მკაცრი სასჯელი საზღვარგარეთ გადასახლებით შეეცვალათ. ასეთი დადგენილება მიიღო „ვცაკ“-მა 1922 წლის 10 აგვისტოს.

„მტრული ინტელიგენტური დაჯგუფებებიდან“ გადასახლებულთა საბოლოო სიის განსახილველად შეიქმნა კიდევ ერთი კომისია ი. უნშლიხტის, დ. კურსკის და ლ. კამენევის შემადგენლობით. იმავე დღეს მიღებული იქნა დირექტივა „ექიმთა ყრილობით გამოწვეულ საერთო ღონისძიებების ესერების პროცესის დამთავრებამდე“ გადადების შესახებ. ასე იქმნებოდა პოლიტიკური ბაზა უპარტიო ინტელიგენციის მოღვაწეობის მიმართ და იურიდიული ბაზა ყველა პარტიის კომუნისტურის გარდა, აკრძალვისათვის.

22 ივნისს მოისმინეს გ. ზინოვიევის მოხსენება „პოლიტიკური მოსაზრებით“ ესერთა პროცესის დაჭარბების შესახებ და გადაწყვეტილ იქნა „პროცესის მაქსი-

მალური სისწრაფით. 1 აგვისტომდე დასრულება.

20 ივლისს უნშლიხტ-კურსკის შემადგენლობით კომისიის მუშაობა არადაამთავრებულადაც შეფასდა გადასახლებულ ინტელიგენტთა სიის არასრულობის გამო და კომისიის მიეცა მითითება „ინდივიდუალური ხასიათის“ ღონისძიებათა განსახორციელებლად.

ეს ნიშნავდა, რომ გადასახლების ზოგერთ კანდიდატთან საჭირო იყო მოლაპარაკება, მათთვის ულტიმატუმების წაყენება პოლიტიკურ და მსოფლმხედველობრივ მრწამსებზე უარის თქმის შესახებ. ხოლო დიდი რუსი ფილოსოფოსისა და მოაზროვნისგან ნიკოლაი ბერდიაევისაგან პირდაპირ მოეთხოვათ ქვეყნის დატოვება.

10 აგვისტოს გადასახლებულთა სია დამტკიცებული იყო. ვინც „გპუ“-ს აზრით შეიძლება მიმალულიყო, დაიწყო მათი დაპატიმრება. დანარჩენებს საშინაო პატიმრობა მიუსაჯეს. იმავე დღეს მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ქართველი მენშევიკებისა და აგრეთვე „სტუდენტთა კონტრევოლუციური ელემენტების“ გადასახლების შესახებ.

როგორც ვხედავთ, გადასახლება ერთდროული აქცია არ ყოფილა. დაპატიმრებები ხდებოდა არა მხოლოდ მოსკოვსა და პეტროგრადში, არამედ ყაზანში, კიევში, მინსკში, თბილისში, ყირიმში, ოდესაში, ნიჟნი ნოვგოროდში.


უკრაინის ცკ(ბ) საერთოდ არამიზანშეწონილად თვლიდა უკრაინელი პროფესორის საზღვარგარეთ გადასახლებას, რადგან იქ ისედაც ძლიერი ემიგრანტული დაჯგუფება შეიკრიბებოდა. უკრაინის ცკ-მ თხოვნით მიმართა რუსეთის ცკ(ბ) ცკ-ს შეეცვალათ სასჯელის ეს ზომარსხვს-ს შორეულ რაიონებში გადასახლებით. ახლა ჩვენ ვიცით, რომ მათ ვინც მაშინ საზღვარგარეთ არ გადასახლეს 30-იან წლებში, შეუდარებლად უარესი ტრაგიკული ბედი ელოდათ...

... ამრიგად, ე. წ. „ფილოსოფიური“ გემი სულ უფრო და უფრო შორდებოდა კრონშტადტის ნავსადგურს. ჯერ კიდევ ღიაა საკითხი, არსებობდა კი მხოლოდ „ფილოსოფიური“ გემი? ხომ არ მიჰყვამას შემდგომში „ეკონომიკური“. „ისტორიული“. დაბოლოს „სტუდენტური“ გემები? გადასახლებულთა სიები ჯერ კიდევ ბოლომდე მოქმდნილი არაა. გადასახლებულთა საერთო რაოდენობას საერთოდ 160-200 ადამიანი განსაზღვრავდნენ.

მაგრამ ციფრი, ალბათ, უფრო დიდი უნდა იყოს, რადგან ჯერ კიდევ 1922 წლის 7 სექტემბერს უკრაინის ცკ-ას მდივანი დ. ლებელი მოახსენებდა სტალინს, კუბიშევისა და მოლოტოვს, რომ უკრაინიდან უკვე 70 კაცია განდევნილი, მათი ნაწილი საზღვარგარეთ, ნაწილი კი ჩრდილოეთ რაიონებშია გაგზავნილი. მაგრამ, წერდა იგივე უკრაინის ცკ-ას მდივანი ლებელი, განდევნა ამით არ ამოწურულა.

როგორც ნათქვამია, „ვაე ვიტას“ (ლათ. — ვაი დამარცხებულთ) ... მაგრამ ვაი და უბედურება იმ ხელისუფლებას (და დღეს ეს სულ უფრო თვალნათლივი ხდება), რომელიც ვერ ხედავს თავის თავში ძალას, რომ ოპოზიცია დაუშვას. საბოლოოდ ასეთი დიქტატურა კრახით უნდა დამთავრდეს, განადგურდეს, ჩვენი ყოველდღიური ამტკიცებს ამ აზრის სისწორეს.

ალექსანდრე გუაჩიძე



— ვაჰ, კაცო, ეს რა დღე იყო! — ამოხვრით წარმოთქვა თემომ, როცა კარები ჩაკეტა და უახლოეს მაგიდასთან გამოწვეულ სკამზე ჩამოჯდა. — არ გავწყვიდი წელში?!

თითქოს საყვედურით თქვა ეს სიტყვები, მაგრამ სინამდვილეში კმაყოფილი იყო. თვითონვე შეედავა კიდევ ამის თაობაზე თავის თავს, ვითომ არ გინდა, ყოველი დღე რომ ასეთი იყოსო?

როგორ არ უნდოდა. სულ იმაზე არ წუწუნებს — ე, რა ოხრობაა, ხალხმა პირი აიკრა, თუ რა ხდება? მთელი დღე ისე გავა, კაციშვილი არ შემოიხედავს, უბრალოდ, სალამი მაინც რომ თქვასო?

თემო — ამ სახელს მოკლედ უძახიან, თორემ თემისტოკლე ჰქვია. ისე, კაცმა რომ თქვას, აღარც არავინ იცის მისი ნამდვილი სახელი. თემო, თემო. შგონი თვითონაც გადაავიწყდა თემისტოკლე.

თემო ერთი პატარა სასაუზმის ბატონ-პატრონია. არა, უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვი, „ხაზინიაო“. ასე უძახის ყველა და თვითონაც ძალიან მოსწონს ეს სახელწოდება. თავის თავსაც ასე ეძახის — იმ ერთი პატარა სასაუზმის ხაზინი ვარო.

იმ დღეს, მართლაც, დააწყდა ფეხები: იქ გაიქეცი — მწვადი შეწვი, აქ ბუფეტში მშრალი კერძები გაამზადე, მაგიდები აალაგე, ჭურჭელი დაასუფთავე. მე შენ გეტყვი და, მომხმარებელი ანგარიშს გაგიწევს. იმას სულ არ აინტერესებს, შენ ასწრებ თუ არა. ყველას პირველ რიგში უნდა მიუტანო. მორჩა და გათავდა!

საათს გახედა, კედელზე რომ ეკიდა. გუგულისანი საათი იყო ერთ ღროს. კაცმა რომ თქვას, არავინ იცოდა, ბოლოს როდის გამოყო გუგულმა თავი თავისი ჯიხურიდან. მუშაობით კი, ცილს ვერ დავწამებთ, „საათივით მუშაობდა“. ამ დილითაც, როცა მომართა, თემომ კმაყოფილებით გაიფიქრა, რა კარგად მუშაობსო. მაგრამ ახლა თვალებს არ დაუჭერა — ღამის პირველი საათი სრულდებოდა.

ჩააქრო ცენტრალური ნათურა და მაგიდის ნათურა აანთო, დახლის ბოლოში რომ ედგა. სალაროსაკენ გამოსწია და დღის მონაგარს გადაავლო თვალი.

— ყოჩად, თემო, კარგად ვიმუშავია, — ხმაპალა წარმოთქვა კმაყოფილებით. ჯერ იფიქრა, ასევე, დაუთვალე შეწყვირა სეიფში, ხვალ მოვალ და მერე დავთვლი. მაგრამ გულმა ვერ გაუძლო. მართალია, სახლამდე ნახევარი საათის სავალი გზა ჰქონდა, მაგრამ ღამე ცნობისმოყვარეობით არ

დამეძინებო და გადაწყვიტა, ახლავე დაეთვალი.

ის იყო, უნდა ჩაეყო ხელი უჯრაში, ამოელო ფული, რომ კარზე ვილაყამ დააკაუნა. სახლიდან ხომ არ ჩამომაკითხესო, გაიფიქრა. კართან ახლოს მივიდა.

„ნეტა ვინ ოხერია ამ შუალამისას. იქნებ სულაც არ გავუღლო კარი“. მაგრამ კარგ ვუნებდაზე იყო და ცუდი რამ აზრადაც არ მოსდიოდა.

კარზე ისევ დააკაუნეს. — უკვე დაკეტულია, სახლში მივდივარ, — გასძახა ყასიდად სასაუზმიდან ისე, რომ კარი არ გაუღია.

— თუ კაცი ხარ, — შეეხვეწა ხმა გარედან, — მშვიდობით ვართ, გვაჭამე რამე.

— არაფერი მაქვს, მუშაობა დავჭმთავრე.

— რალაცა მაინც გეჭნება, თუნდაც ცარიელა პური, — არ ეშვებოდ ისევ ის ხმა.

თემომ კარი გააღო.

— რალა დროს პურის ჭამაა, ახლა უნდა გეძინოთ ან მიდიოდეთ დასაძინებლად, — ჩაიბურტყუნა თემომ. — რა უნდა გაჭამოთ. დღეს რაც მქონდა, ყველაფერი გავათავე.

სასაუზმეში ორი კაცი შემოვიდა.

— ორი ხართ მარტო? — ისევ იკითხა თემომ, ისე რომ არც შეუთვალერებია ახალმოსულები.

— ვა, — წამოიძახა დაბალმა. თემომ ამ ხმაში გარედან მოსაუბრე იცნო, — ჯერ არ გვიშვებდი, ახლა კიდევ მარტო ორი ხართო?!

— რავი, შეიძლება ვინმე სხვაც არი.

— სად დავსხდეთ? — შეაწყვეტინა ისევ დაბალმა. — ძალიან გვშია. დღეს მთელი დღე ლუკმა არ ჩასულა ჩვენს პირში.

— სადაც გინდათ, იქ დასხედით, — ჩაიციხა თემომ. — ჯერ მოდი ისა ვთქვათ, რა გაჭამოთ ასე საჩქაროდ და მერე ვილაპარაკოთ სხვა რამეზე.

— რაც გინდა, ის გვაჭამე, — ჩაერთო საუბარში მაღალი. ეს ხმა ძალიან მოეწონა თემოს — ბოხი და მშვიდი. — გეტყობა, კეთილი კაცი ხარ და არაფერს დაინანებ.

— ჰო, ჰო, — გინდათ მომთაფლოთ, ხომ? — ისევ გაიცინა თემომ. — მაქვს კიტრი, ყველი და ცივად მოხარშული ხორცი. გეყოფათ?

— როგორ არ გეყოფათ, კაცო, ციდან კი არა ვართ ჩამოფრენილი, რომ არ ვიცოდეთ, რა დროა, — ისევ ბოხი ხმა გამოეხმაურა.

თემო მოხიბლა თავისი უდროო სტუმრების უპრეტენზიობამ და ცოტა შეეცოდა კიდევ. გამვლელები არიან, ვინ იცის, რა საქმე ჰქონდათ, რო-

გორ დაილაღნენ, რომ პურის საჭმელადაც ვერ მოიცალესო.

— თუ იმდენი დრო გაქვთ, რომ ცოტა მოიცადოთ, შეიძლება მწვადიც შევწვათ, — შეაპარა თემომ, თან მაგიდაზე თევზებსა და დანა-ჩანგლებს ალაგებდა. — დამრჩა ცოტაოდენი სუკი.

— ვაჰ, შენ გენაცვალე, — წამოიძახა მაღალმა, — კაცი შენ ყოფილხარ. ჩვენ კი მიკიტანი გვეგონე.

თემო მიხვდა მოსულის ხუმრობას, მაგრამ ყასიდად იწყინა:

— რა, მიკიტნები ხალხი არა ვართ თუ რა?

— ჰო, კარგი, კარგი, ბიძაჩემო, — ვერ ისვენებდა დაბალი. — მაგდენი კი აღარ შეგვიძლია.

თემოს ახლა გაახსენდა, რომ ნახევრად ბნელ ოთახში იყვნენ. შუქი ანთო და მოსულები შეათვალერა.

მაღალი, ვისაც ბოხი ხმა ჰქონდა, ასე ოცდარვა-ოცდაცხრა წლისა იქნებოდა. შავგვრემანი იყო, ხუჭუჭა თმა და გრძელი ფართო ულვაშები ჰქონდა. ზომიერი სიდიდის ლამაზად გამოყვანილი ცხვირი. ეცვა შავი კურტაკი, რაც მის შავგვრემან და ლამაზ სახეს კარგად ეხამებოდა და უხდებოდა.

დაბალი ქერა და გამხდარი იყო. ულვაშები არა ჰქონდა. თმა ახალი გადაკრეკილი, რაც მის მრგვალ თავს ძალიან ამგვანებდა ბურთს. ეს მაღალზე სამი ან ოთხი წლით უფროსი ჩანდა. მასაც შავი და ძალიან განიერი კურტაკი ეცვა.

— მაშ კარგი, ბიჭებო, — უკვე შინაურულად მიმართა თემომ, — აგერ ეს ცივად მოხარშული ხორცი და კიტრი დაჭერით, მე სამწვადე ხორცს მიგხედავ, — თქვა და გარეთ გავიდა.

ცოტა შეაგვიანდა. ეტყობა, ხორცი უკვე წამოაგო შამფურზე და ცეცხლზე შემოღო.

— აქ როგორ არის საქმე? — იკითხა დაბრუნებულმა. — მწვადიც მალე იქნება.

— კაცი ყოფილხარ, კლაპიტონის, — შეაქო ისევ დაბალმა.

თემომ ახლა დახედა მათ მაგიდას — კიტრი და პამიდორი უკვე სალათად გაეკეთებინათ, ხორცი ლამაზად დაეჭრათ, მთელი თონის პური ხელით დაეტეხათ.

— თქვენ რალს უყურებთ? — გაიოცა კმაყოფილმა, რომ მოსულები თანაშემწეობას უწევდნენ. — დაიწყეთ, დაიწყეთ.

— კი გვინდოდა, მაგრამ დამშეულებს ყელი გადაგვკეტია, არ გადადის, — ოხუნჯობის ხასიათზეც იყო „ბურთი“.

ასეთი ხუმრობა ყოველი მებუფეტესათვის ნათელია, რასაც ნიშნავს.

— მოგიკვდეთ ხეი თავს, — აუბა მხარი თემომ, — ვერაფერა გაგიბედეთ, შეიძლება არ უნდოდეთ-მეთქი. — ხალხი, ჩემი თავი გენაცვალეთ, ახლავე.

თემო გარეთ გამოვიდა, რომ მწვადი გადაეტრიალებინა, მერე შემოვიდა და ღოჭით ღვინო დაუდგა მაგიდაზე.

— ღვინო შინაურულია, უნდა მოგეწონოთ, — ისეთი კილოთი უთხრა, აგრძობინა, ჩემი ოჯახის ღვინოა და ვერ დამიწყუნებო. მერე დაუმატა: — ისე, თუ გინდათ, ქარხნისაც მაქვს, წინანდალია და გურჯანანი.

— სულერთია, რომელსაც შენ გვირჩევ, — გულგრილად თქვა ულვაშამ. — ოღონდ ჩქარა ჰქენი.

— დაიწყეთ, დაიწყეთ. ახლავე მოგიტან მწვადსაც.

— ბარემ ისიც მოიტანე და მერე დავიწყეთ, — თქვა ულვაშამ.

„არ გინდათ და ნუ გინდათ“, — გაიფიქრა გულში თემომ.

მწვადი რომ შემოიტანა და მაგიდაზე დააწყო, ყურადღება მიაქცია, აქ სამი ჭიქა იდგა და სამივე სახსე იყო ღვინით.

შამფურებს მოსულებმა თითო ნაჭერი წააცალეს და სულ „უჰუ, უჰუს“ ძახილით შეჭამეს. მეორე ნაჭერაც რომ წააძვრეს, ულვაშამ დაუძახა თემოს:

— შენ რატომ არ მოდიხარ ჩვენთან? მოდი, მხარი დაგვიმშვენე.

თემოს ესიამოვნა. ესიამოვნა ისიც, რომ ნორმალური ხალხი შემომიშვაო ამ შუალამისას.

— რალა დაგიმალეთ და, — თქვა და, თვითონაც მიუჭდა მაგიდას, — მეც მთელი დღე მშვიდ ვარ.

— ჰოდა, ავაშენოს ღმერთმა, — ბიძაჩემო, — მოუწონა „ბურთმა“.

თემოს დიდი დაკვირვება არ დასჭირვებია, რომ სწორი დასკვნა გამოეტანა: ამ ორკაციან „დღელგაციამში“ მეთაური, თუმცა ასაკით უფრო ახალგაზრდა ჩანდა, მაღალი და ბოხნამიანი შავულვაშა უნდა ყოფილიყო. ეს ვარაუდი იმიტაც დადასტურდა, რომ პირველი სადღეგრძელოც მან ასწია.

— მოდი, ღმერთმა გაგვიმარჯვოს, — აიღო ჭიქა ულვაშამ, მაგრამ ჯერ არ დალია, თითქოს ახლა გაახსენდა, რომ სუფრაზე ორ კაცსაც სჭირდება თამადა და დაუმატა: — შენ ხომ არ გეწყინება, დუდე, მე რომ ვილაპარაკო?

— ილაპარაკე, რამდენიც გინდა, ჩემო გავა, — გულგრილად მიუგო დუდემ, ოღონდ მე ღვინო დამალევი.

მოსულებმა ჭიქები გამოსცალეს.

— კარგი ღვინოა, ღმერთმა, — თქვა გავამ და დადგა ჭიქა.



მ ო თ ხ რ ო ბ ა

— აბა ცუდ ღვინოს ხომ არ დაგვალევინებდა, — აქ დუღე შეჩერდა. ელოდებოდა, რომ თემო თვითონ ჩაუერთავდა თავის სახელს, მაგრამ თემომ ეს ვერ მოისაზრა. ამიტომ პირდაპირ შეეკითხა: — შენი სახელი ბიძაჩემო?

— თემო მქვია, ბატონო. — უპასუხა და, ღმერთმა უწყის რამ უკბინა, დაუმატა: — პასპორტით თუ გნებავთ, თემისტოკლე ვარ. თქვენ შეგიძლიათ თემო დამიძახოთ.

— ჰოდა, ძალიან კარგი, ჩემო თემისტოკლე, — განაგრძო დუღემ. — მე ვიცნობ თემისტოკლეს, კარგი კაცია.

— თქვენც აგაშენათ ღმერთმა, — თქვა გულწრფელად. — თქვენ რომ არა, შეიძლება ისევ მშვიერი დავწოლილიყავი. მარტო ჰამას რაღაც ვერ ვეწყობი.

დუღემ ჰქიქებდა შეავსო და ორივემ ახლა შენიშნეს, რომ თემოს ჰქვია ისევ სავსე იყო.

— ეს რაა? — გაიკვირვა დუღემ.

თემო მიხვდა, რასაც ნიშნავდა ეს წამოძახილი. ამიტომ თვითონვე უპასუხა:

— მე არა ვსვამ, ბიჭებო. უნდა მაპატიოთ.

— რაო, რა თქვა, დუღე? — იკითხა გაგამ და განიერ ულვაშებზე ჯერ ერთი ხელისგული დაისვა, მერე მეორე.

— არა ვსვამო, — უპასუხა დუღემ, თითქოს გაგამ მართლა ვერ გაიგო, რაც თქვა თემომ.

გაგამ პირი დალო რაღაცის სათქმელად, მაგრამ თემომ დაასწრო, აიღო ჰქიქა და თქვა:

— ამ ერთ ჰქიქას კი დავლევ, — და ჰქიქა ბოლომდე გამოცალა.

— ამ ჰქიქითა, ბიჭებო, —

მალე დაიწყო მეორე სადღეგრძელო გაგამ, — ჩვენ საქმეს გაუმარჯოს. ჩვენს ერთგულებას ჩვენი საქმისადმი და საქმის გამართლებას კიდევ თავისი მხრიდანა. როცა ასეთი პარმონია არის, ადამიანიც კი გუნებაზეა, ძმაკაცაც უყვარს, ქეიფიცა და დროსტარებაც.

— აი, კი კაცი ხარ, გაგა, — უმაღვე დაეთანხმა დუღე. — მე კიდევ დავუმატებდი, ჩვენი დღევანდელი საქმის კარგად დამთავრებასაც გაუმარჯოს.

თემომაც მხარი დაუჭირა სადღეგრძელოს, ჰქიქა ისევ ტუჩებთან მიიტანა და დადგა მაგიდაზე.

— ეს რაღაა? — კვლავ იკითხა დუღემ.

— ვერ დავლევ, ბიჭებო. ღვიძლი მაწუხებს და რამდენი ხანია ღვინო არ დამილევია. ის ერთი ჰქიქაც თქვენი ხათრით დავლიე.

— ჰოდა, ეს მეორე ჰქიქაც ჩვენი ხათრით დალიე, — მოაკვარახტინა საქმე დუღემ.

— ვერა ბიჭებო, ვერ დავლევ. ისე, ჩემი თავი გენაცვალათ, თუ გინდათ, დილაზე იქეიფეთ. რაც გამაჩნია, არაფერს დავინანებ.

— ჰმ, — ამოიქშინა ულვაშამ და თემოსაკენ არც გაუხედიდა, დუღეს შეეკითხა:

— რაო, რა თქვა?

— ვერ დავლევო, ღვიძლი მტკივია, — უთარგმნა დუღემ.

— მართლა ვერ დალევს, დუღე? — ისევ იკითხა ულვაშამ და ისეთი გულწრფელის კილოთი, რომ შეგეცოდებოდა.

— კი, როგორ არა, დალევს, დალევს, — დაამშვიდა დუღემ მეგობარს.

თემომ უგემურად გაიღიმა. ეს რა ხალხია, გაიფიქრა უნებ-

ლიედ და ბიჭებისათვის გუნება რომ არ წაეხდინა, ის ჰქიქაც დალია. წამოდგა და თავისი დახლისაკენ წავიდა. ვითომ თქვენ გააგრძელეთ, მე მოგემსახურებთო.

— აბა, ეგ რა სტუმარ-მასპინძლობაა, — წაავლო ხელი დუღემ. — დაჯე ჩვენთან ერთად და ჰამე პური. ხომ თქვი, მეც არაფერი მიჭამია დღესაო?

— კი ვთქვი, მაგრამ... — აღარ დაასრულა თემომ და უხალისოდ მიუჯდა ისევ სუფრას.

მესამე სადღეგრძელო გაგამ მიუძღვნა ყველა კი კაცს, ვინც ცხოვრებაში შეგვხვედრია, ვინც მხარი შეუშველებია, ჰქიქა წყალი დაუღვინებია ან უბრალოდ კეთილი ღიმილი უჩუქებია.

— მოდი და ნუ დაუჭერ ახლა ამისთანა სადღეგრძელოს მხარს, — შეეჭრა სიტყვაში დუღე.

გაგა კი განაგრძობდა:

— დღეს ასეთი კაცი თემისტოკლე შეგვხვდა. მოდი, მასაც ამ კარგ კაცებთან გაუმარჯოს.

რომ თქვას, არ ესიაშოვნაო, თემო ვერ იტყოდა, მაგრამ აქ, ცოტა არ იყოს, რაღაც ეჭვმა გაჰკრა გულზე. „ხომ არ მთავლავენ, ჩემი ყურადღება ხომ არ უნდათ მოადუნონ? ეს ოხერი, იმ ფულის შენახვა მაინც მომესწრო სეიფში. მერე ეძებნათ, რამდენიც სურდათ“. თუ სეიფში მოასწრებდა შენახვას, მის გასაღებს ისეთ ადგილზე მალავდა ხოლმე, მის მეტი ძე ხორციელი ვერ მიაგნებდა.

ულვაშამ დაცალა ჰქიქა და კმაყოფილებით ორივე ხელისგული ისევ დაისვა ულვაშებზე.

დუღემ, რაღა თქმა უნდა, გენიალურად მიიჩნია ეს სად-

ღეგრძელოც. თავის მხრივ კი ყურადღება თემოსაკენ მახვილდა.

— დღეს თემისტოკლე რომ არ ყოფილიყო ჩვენი ცხოვრების გზაზე, იმ ჩვენს საქმესაც რა ფასი ექნებოდა?! — იკითხა რიტორიკულად და გამოწერუბა ჰქიქა.

თემოს თანდათან უფუქლებოდა გუნება. დალიოს? აღარ შეუძლია! წელან რომ ამბობად, არ ვსვამო, ღვიძლი მტკივია, განა ტყუილს ამბობდა. მართლაც, რამდენი ხანია ღვინო სულ აღარ დაუღვინია.

— ერიპაა, — გაიკვირვა ისევ გაგამ.

— მართალს ვამბობ, ბიჭებო, გენაცვალეთ. არ შემიძლია, ვერ დავლევ, — შეაბრალა თემომაც თავი ხელახლა.

— რაო, დუღე? — შეეკითხა გაგა მეგობარს.

დუღემ ლუკმა კარგად დალეჭა და მერე უპასუხა:

— ვერ დავლევ, ავად ავარო, — უთარგმნა ისევ დუღემ.

— მართლა ვერ დალევს, დუღე? — ისე იკითხა გაგამ, თემოსათვის არც შეუხედნია.

— კი, როგორ არა, დალევს, აბა არ დალევს! — დაბეჭითებით უპასუხა „ბურთმა“. თემოსთვის არც მას შეუხედნია.

„ჯანდაბას თქვენი თავი. ამ ერთსაც დავლევ. რაც მოხდება მოხდეს. ორი კაცის ქეიფი რაღაც, მართლაც, მოსაწყენია“, — გაამართლა თემომ მოქეიფენი და ის ჰქიქაც გამოცალა.

— ბოღიშს კი ვინდი, ცოტა დავგავინანე, მაგრამ უდროო მაინც არ უნდა იყოს, — დაიწყო მორიგი სადღეგრძელო გაგამ. — ვინც ჩვენი გავგაჩინა, იმათ გაუმარჯოს...

გაგამ საკმაოდ გრძლად თქვა მშობლების სადღეგრძელო, მთელის სერიოზულობით, არატორული ხელოვნებით. თითქოს თამაშობდა მრავალკაციან წვეულობაში, სადაც მხოლოდ უმაღლესი საზოგადოება შეკრებილიყო. მკვერმეტყველური საუბრით თინს იკლავდა, იქმნიდა ღირსეული ქეიფის ილუზიას. ყოველ შემთხვევაში, ასე შეაფასა თემომ მისი სადღეგრძელოების ტონი და ღონე.

მაგრამ თვითონ როგორღა მოიქცეს? რომ მომკლან, წვეთს აღარ დავლევო, გადაწყვიტა მტკიცედ და ამ გადაწყვეტილებამ თვითონვე დაამშვიდა.

— ეს რა ხდება, დუღე? — უკვე მერამდენედ შეეკითხა თამადა თანამოსუფრეს და თვალით თემოს ჰქიქაზე მიუთითა.

— არა, არა, მე აღარ დავლევ, უპასუხა თემომ.

— რაო, დუღე, რა თქვა ამ კაცმა?

— ვერ დავლევო. — მართლა არ დალევს? —



ერთი მისხალი იუმორიც არ
ერია გაგას არც გამოხედვაში,
არც ტონში. — დუდე, შენ გე-
კითხები, — შეახსენა თავი ულ-
ვაშამ, როცა ძმაკაცი პასუნს
აყოვნებდა.

— როგორ არა, დალევს, გა-
გა, — დაუდასტურა დუდემ
დაბეჭდვით თემოს ნაცვლად.
— მაგან ეგრე იცის. დალევს,
მაშა.

— იცით, რა გითხრათ, ძმე-
ბო? — აქ მოთოკა ისევ თავი-
სი ბოლმა თემომ და უფრო და-
ბალ ხმაზე და მშვიდად გააგო-
ძელა: — თუ გინდათ, ჭამეთ
პური, მე თავი დამანებეთ. თუ
არა და, გზა დიდია, საიდანაც
მოსულხართ, იქითვე წადით.

— თო, — აროხროხდა ულ-
ვაშა. — ჩვენ ვეფერებით, ეგ
კი ბრაზობს. აი, იცოდეთ, — მი-
უბრუნდა, როგორც იქნა თე-
მოს და რაც სუფრაზე სხედან,
პირველად შეხედა თვალეში.
ეს თვალეები იყო მშვიდი, წყნა-
რი, თითქოს მათ პატრონს თა-
ვის დღეში ჭიისთვის ფეხი არ
დაუდგამსო. — თუ გაბრაზდე-
ბი, დუდე ლექსს გამოგიტყვამს.
აბა, დუდე, მიდი ერთი შეამკე
თემისტოკლე შენებურად.

— მაგაზე გაწყენინებ! ახლა-
ვე, ჩემო გაგა.

ლვინოს არ სვამს
თემისტოკლე,
არ მინდაო, დღეს მიმოკლებს,
— მიაჩნთა დაუფიქრებლად
დუდემ და კმაყოფილებით ჭერ
გაგას, მერე თემოს გადახედა,
ვითომ, ნახეთ, რა კარგი ლექს-
სი გამოგივიდაო.

უნებურად თემოსაც გაელი-
მა. საერთოდ კეთილი კაცი
იყო, გაბრაზება იოლად გადა-
უვლიდა ხოლმე. ამ თავის სამ-
სახურში გაბრაზება და აფეთ-
ქება დიდი ვერაფერი მეკავში-
რე იყო. ამიტომ მიმტვევებლო-
ბა თვისებადაც გადაეჭკა. ხალხს
ჭეიფი უნდა, ხუმრობა. იხუმ-
რონ, რა მოხდებაო, ვარაუდო-
ბდა თავისთვის. ერთს ვერ შე-
გუებოდა მხოლოდ, რას გადა-
მეკიდნენ, რად მასმევენ ღვი-
ნოსო. მაინც არაფერი არ უთ-
ქვამს. აილო ის ჭიქაც და და-
ლია.

შემდეგ სადღეგრძელოზეც
იგივე გამოერდა. თემომ ღვინო
არ დაცალა. გაგა დუდეს შეე-
კითხა, მართლა თუ არ დალევ-
სო, დუდემ კვლავ დაამშვიდა,
დალევს, როგორ არ დალევს,
მაგან ეგრე იცისო.

და უკვე სად გაქრა მიმტე-
ველობა და თავდაჭერილობა,
ღმერთმა იცის. თემო წამოხტა
ფეხზე, დაავლო თავის სავსე
ჭიქას ხელი, იატაკს დაანარცხა
და დაპკვილა:

— გაეთრიეთ აქედან, თქვე
ოხრებო და ტიპლებო. თქვენ
ვინ გეკითხებთ, ჩემ სახლში
მე დავლევ თუ არ დავლევ? მა-
დლობის მაგიერია? აბა, ახლა-
ვე გაეთრიეთ გარეთ.

ამ მოულოდნელ საქციელზე

რეაქცია, როგორც მიჩვეული
ვართ და ველოდებით, ან ასევე
აგრესიულია, ესე იგი ის, ვისაც
ეს მიმართვა ეკუთვნის, თვი-
თონ გადადის შეტევაზე და იწე-
ყება ერთი ალიაქოთი, მით
უმეტეს თუ ორი აღმოჩნდება
ერთის წინაღმდეგ. ან სრულ-
დება ეს მოთხოვნა და ის, ვი-
საც ეჩხუბებიან, მორჩილად
ტოვებს ბრძოლის ველს, ან
მესამე შემთხვევაში, მიდის მო-
ლაპარაკება და ყველაფერი
მშვიდობიანად მთავრდება.

ახლა ამის მსგავსი არაფერი
მოჰყოლია თემოს წონასწორო-
ბიდან გამოსვლას. ღამის მუშ-
ტრებმა აცალეს, როდის დაამ-
თავრებდა სასაუზმის გამგე თა-
ვის რისხვას. მერე ულვაშამ,
ვითომ ეს მას სულაც არ შეე-
ხებო, თავისი ჭიქა თვითონ
გაივსო და თქვა:

— მოდი, ამით კაი კაცს გაუ-
მარჯოს...

— ეგ ხომ უკვე ვთქვით გა-
გა, — შეაწყვეტინა დუდემ,
თითქოს ამ სუფრაზე სხვა უფ-
რო მნიშვნელოვანი არაფერი
მომხდარიყოს. — მეორედ და-
ვლიოთ?

— მაშა, კაცო, — დაუდას-
ტურა გაგამ. — ერთხელ
ვთქვით, კაციც ვადღეგრძე-
ლეთ, მაგრამ ვერ გაუგია. მაშა-
სადამე, არ ყოფილა კარგი კა-
ცი. ამიტომ კიდევ ვთქვით, რომ
კარგი კაცი გახდეს.

— გენაცვალე ლოგიკაში,
გაგა, — გამოეხმაურა ჩვეუ-
ლებისამებრ დუდე და მანაც
გადაპკრა.

თემო სულ გადაიარია.
— ვის ვუთხარი მე, აქედან
გაეთრიეთ-მეთქი? — დაიღრი-
ალა ისევ. გაეთრიეთ ახლავე
გარეთ.

— რალაც ჩამოცხა, — ისევ
გულგრილად თქვა გაგამ, —
კურტაკი რომ გავიხსნა, ეს კი
ვერ მომიფიქრებია. თანაც შე-
მაწუხა ამ სატილომ, გაიხდა
კურტაკი და თავისსავსე სკამზე
გადაპკვიდა. მერე მარჯვენა ხე-
ლი ზურგისაკენ წაიღო და იქი-
დან პისტოლელი გამოაძვინა.

— შენ არ შეგაწუხა, დუდე?

— გეუბნები, ჭკუის კოლო-
ფი ხარ-მეთქი, მაგრამ არ მი-
ჯერებ, — კარგ ხასიათზე იყო
დუდე. მანაც გაიმეორა მეგობ-
რის ყველა მოძრაობა.

ორივეს ხელში პისტოლე-
ტების დანახვაზე თემოს ნირი
ეცვალა, უეცრად გაფითრდა
და კანკალი დააწყებინა. რალა-
ცის თქმა უნდოდა, მაგრამ ენა
ვერ დაიმორჩილა. ერთი უაზ-
რო რალაც ლულულუდი ამოუვი-
და პირიდან. თვალი ვერ მოე-
შორებინა იარაღისათვის, მისი
სტუმრების ხელში რომ ელავ-
დნენ.

მოქვიფენი მისკენ არც იყუ-
რებოდნენ. მათ პისტოლეტები
მაგიდაზე დააწყვეს. მერე გა-
გამ თვითონ აილო ღოჭი, ორი-

ვე ჭიქა შეავსო და აბსოლუტუ-
რი გულუბრყვილობით შეე-
კითხა დუდეს.

— მესამე ჭიქა სად არის,
დუდე?

— დუდემაც ასევე მიამიტურად
მიმოავლო თვალი მაგიდას.
— არ ვიცი, სად გაქრა. აქ
კი იყო და, თქვა და ფეხზე
წამოდგა. — ახლავე მოვიტან.
— წინ გაუარა თემოს და დახ-
ლისაკენ გაემართა.

„მშვიდობით, ჩემო უხვო სა-
ლაროო, — მწარედ გაიფიქრა
თემომ და თვალი გააყოლა დუ-
დეს. — ეს ოხერი, რალა მაინც-
დამაინც დღეს დამესხნენ თავს
ეს ბანდიტები, ასეთ ღალიან
დღეს. რა გაეწყობა. მეტი არა-
ფერი მოხდეს და ოხრად დარ-
ჩეთ სხვისი ნაოფლარი“.

დუდემ დახლიდან ცარიელი
ჭიქა მოიტანა, მაგიდაზე და-
ლო, თვითონვე შეავსო და სავ-
სებით მშვიდად, თავაზიანად
მაშართა თემოს:

— მოდი, თემისტოკლე, და-
ჯექი. სად გაგვექვი? გეტყო-
ბა, ლექსი არ მოგეწონა.

— მართლაც არ ვარგოდა,
დუდე, შენი ლექსი. ვერ შეიძ-
ლება ეწყინოს კიდევ კაცსა,
— ჩაერია მათ საუბარში გაგა.
— აი, ახლავე გამოვთქვამ
უკეთესს:

გავგიბრაზდა თემისტოკლე,
სუფრაზე და სულმოკლე,
— ელვის სისწრაფით გამოძე-
ბნა ახალი „ურთულესი“ რით-
მა დუდემ და აუდიტორიის შე-
ფასებას დაელოდა.

— თუ არ მოგწონთ, — და-
უმატა, შემიძლია სხვა ლექსი
ვთქვა. აი, თუნდაც ასეთი:

იმდენი ჭნა თემისტოკლემ,
ღამის იყო შიშით მოკლეს.
„რას გადამეკიდნენ ეს ოხ-
რები, თემისტოკლე, თემის-
ტოკლეო“, რომ წაიღეს ტვინი,
— ფიქრობდა თემო. — ისე
ახია ჩემზე. ჩემი ბრალია. რას
ვეუბნებოდი, თემისტოკლე
მქვია-მეთქი. ანკეტა იყო შე-
სავსები თუ პასპორტს მთხო-
ვდნენ“.

— ამას არა უშავს, — შეუქო
დაგვიანებით ლექსი გაგამ და
მორიგი სადღეგრძელო და-
იწყა.

იჭდა თემო მათ გვერდით და
ჭიქას ჭიქაზე ცლიდა. ამდენი
ხნის ღვინოდაუღეველს სასმე-
ლო არაჩვეულებრივად მალე
ეკიდებოდა. მისი ფიქრი ახლა
ერთი იყო — როგორმე მშვი-
დობიანად ჩაიაროს ამ წყეულ-
მა ღამემ. მხედველობაში ჭქო-
ნდა ყველაფერის უსისხლოდ
დამთავრება. ჯანდაბას დღის
ნავაჭრი, ჯანდაბას ღვინო-არა-
ყო, სხვა რაიმე არაადამიანური
არაფერი მოიფიქრონ საძარც-
ვად და გასართობად.

გვარიანად შეთვრა, ბოლმამ
და შიშმა მაინც არ მიატოვა.
ყველაფერი გამოივლოვა, მათ
შორის საკუთარი თავიც.

...თემო სიცივემ განსტანდა
შემოდგომის დღის სასუსხმე
მაგრად რომ მოუჭირა, შიშის
გახილა თვალი. კისერი მოლ-
რეცოდა და მთელი სხეული
ემტვრეოდა. გაახილა თვალი
და თავის წინ პირველად ჭიქა
და ღოჭი დაინახა. თავი კი მა-
გიდაზე ელო. დახუჭა თვალი
და დაფიქრდა — სად ვარო.
კარგა ხანს ვერ მოსულიყო
გონს.

უეცრად გაუნათლდა გონე-
ბა, ყველაფერი გაიხსენა, გარ-
და იმისა, თუ როგორ ჩაეძინა
და როდის წავიდნენ სტუმრე-
ბი. ფეხზე წამოხტა. თავისი
სალაროსაკენ გაქანდა. პირვე-
ლა, რაც გონებამ უკარანახა, ეს
იყო... გამოალო უჭრა და შიგ
ჩააცქერდა. მისჩერებოდა და
ვერ ვერავ, რატომ მისჩერებო-
და ან რას.

და ეს იმიტომ ხდებოდა ასე,
რომ უჭრა როგორც დატოვა
სტუმრების მისვლამდე, ისევე
იყო. მას შესანიშნავი მხედვე-
ლობითი მენსიერება ჰქონდა.
ელოდებოდა სულ სხვას და
სხვას კი ხედავდა.

შეგებით ამოისუნთქა. ყველა-
ფერი ადგილზე იყო. ახლა გა-
ახსენდა უნებლიე ჭეიფის დე-
ტალები. გაეღიმა, როგორ ამი-
გდეს სასაცილოდო. ან ჩემი
ღვიძრი რა სიურპრიზს მიმზა-
დებდა.

„ჯანდაბას იმათი თავი, —
დაიმშვიდა ბოლოს გული ღვი-
ნისაგან და ღამის თავგადასავ-
ლისაგან ჭერ ისევ გაბრუებუ-
ლმა. — დიდი, დიდი — ორ-
მოცდაათი მანეთი დაიკარგა.
იმისიც მადლობელი იყავი,
რომ ეს გაკმარეს და დღის ნა-
ეაჭრს შენც არ მიგაყოლეს...“

გამოტრიალდა კმაყოფილი,
რომ უარესი არ მოხდა. მაგი-
დასთან მივიდა ასალაგებლად.

— ეს რალა უბედურებაა? —
ხნამალა წამოიძახა გაოცე-
ბულმა. ყველაფერს წარმოიდ-
გენდა, ამას კი ვერა. განა ძნე-
ლი მისახვედრი იყო, ვინც უნ-
და ყოფილიყვნენ მისი უდ-
როო სტუმრები? აგერ კიდევ
ახალი სიურპრიზი — მისი ცა-
რიელი ჭიქის ქვეშ სამი ხუთ-
თუმნაინი იყო.

მაგიდის ქვეშ ქალაღის ნა-
გლეჯს მოჰკრა თვალი. ხელსა-
ხოცს არ ჰგავდა. ეტყობა, და-
მე კარი რომ გაიღო, ქარმა ჩა-
მოაგლო. აილო, ზედ ნაჩქარე-
ვი ხელით ეწერა:

კარგად ვსვით, კარგად
ვიმღერებო,
რა ყოფილხარ,
თემისტოკლე?!

ილღეგრძელე და იმხნევე,
გენაცვალე, თემისტოკლე...

იქვე დუდეს პატარა ასოებით
მიეწერა: „არ გეწყინოს, თე-
მისტოკლე. რითმა ველარ გამო-
მივიდა. შენი ბრალია, ამდენი
არ უნდა დაგეუფინებინა“.



ჩეხოსლოვაკია ლაძით

დავით გაბიტაშვილი



ნატურმორტი





მარჯვიდან მარცხნივ: ვახტანგ კოტეტიშვილი, კონსტანტინე გამსახურდია, გერონტი ქიქოძე, ქრისტეფორე რაჭველიშვილი.

ფოტო არქივი: ედუარდ გიგილაშვილისა



ეროვნული
გენერალისთვის

ფოტო ბონდო დადვადისა



ჩოხოსანთა სამოსი

ეს იყო მეოთხედი საუკუნის წინ. ქველმოქმედმა ინჟინერმა ბუკა ნაკაიძემ შინ მიიწვია ათი მეგობარი „ჩოხოსანთა სამოსი“ დასაარსებლად.

პურმარილიანმა მასპინძელმა მრგვალ მაგიდას შემოუსხა ეროვნული სულისკვთების ადამიანები, რომლებსაც ძველი სკივრებიდან ამოელაგებინათ მამაპაპისეული ჩოხები, კედლიდან ჩამოეხსნათ ზარნიშის ქამარ-ხანჯალი, თავი მოერთოთ წარსული ეროვნული დიდებულებით.

ჩოხა-ახალუხში გამოწყობილი ხნიერნი და ჯეღლინი ერთმანეთს ამშვენებდნენ სიღარბაისლითა და თვაზიანობით. თვითოეულში ღვიოდა რწმენა და უნარი მამულიშვილობისა, ტკბილი ქართული სიტყვა-პასუხის, სუფრაზე თუ საზოგადოებაში ლაზათით თავდაქერისა.

ახლა „ჩოხოსანთა სამოსი“ უკვე ორმოცდაათ კაცადღე გაიზარდა, თუმცა ბევრი ამ წუთისოფლიდან წავიდა, მათ შორის ბუკა ნაკაიძე, ლევან გოთუა, ჯაბა მგალობლიშვილი, ალექსი მინდაძე, ირაკლი ანთელავა, დავით თორაძე, ჯანო ბაგრატიონი. სამოსს მოკლე წესდება ამოქმედებს: ხელი გაემართოს ეროვნული სამოსის ლაზათიანობას, მოკაზმულობის ესთეტიკური პეწიაობის დაცვა-გავრცელებას მოსახლეობაში.


რა ანატომიური გარეგნული აღნაგობისაც არ უნდა იყოს ქართველი ვაჟკაცი, ქამარ-ხანჯალ მორტყმული ერთნაირად ახონად და ტანწერწეტად გამოიყურება.

ამიტომ სჭეროდეს უველას, დიდ სიხარულს მოგვრის ოჯახს თუ ერთხელ მაინც შნოიანად გამოეწყობა ჩოხაში თავის დაბადების დღეს, შეეგებება ახალ წელსა და შობა-აღდგომას, დაესწრება თავისი შვილის, შვილიშვილის ან ღმერთმა გვისმინოს, შვილთაშვილის დაბადების დღეს. არც ის იქნება ურიგო, თუ ჯეღლი ჩოხაში დაიწერს ჯვარს, ხნოვანი კი, თუნდაც წელიწადში ერთხელ მაინც ჩოხით აივლ-ჩაივლის თავისი ქალაქის უბანსა თუ სოფელში კეთილად გასახსენებელი უოველი წლის 26 მაისს.

ოთარ ევაძე.



კობე ახვლედიანი





ვეილი პარიზის მახლობლად მდებარე პატარა ფრანგული სოფელია, რომელიც სიმდიდრით არ ბრწყინავს. მიწა აქ მწირია, მიუხედავად ამისა, მოჰყავთ სიმინდი, ლობიო, ალაგ-ალაგ ყურძენი. ალბათ იმიტომაც დასახლდნენ აქ ქართველი ემიგრანტები, რომ ძალზე წააგავს დასავლეთ საქართველოს სოფლებს. 1922 წლის ზაფხულში შეიძინეს ეს ხუთბექტარიანი მამული და ორსართულიანი სახლი. ხელშეკრულებაში ხაზგასმით აღინიშნა, რომ ლევილში შექმნილი მთელი უძრავი ქონება საქართველოს ეკუთვნის. ასეთი იყო ნოე ყორღანიას და მისი თანამოაზრეების სურვილი. მას შემდეგ სოფელ ლევილს ქართული უწოდეს. მამულის პირველი მობინადრენი ხანში შესული ადამიანები აღმოჩნდნენ — ლიდა ნოზაძე და ლევან ფალავა, ნოე ყორღანიას სიძე. მათი დახმარებით ვათვალიერებ შატოს (ფრანგულად — სასახლე) მრავალრიცხოვან საცხოვრებელს, კლუბს, ბიბლიოთეკას. ამჟამად იქ ცხოვრობს დაახლოებით ოცი ჩვენი თანამემამულე, ძირითადად ხანდაზმულები. ახალგაზრდები ოჯახებთან ერთად პარიზში ცხოვრებასა და მუშაობას ამჯობინებენ.

ლევილის სასაფლაო ადრეც არსებობდა. ქართველთა ემიგრაციამ კი აქ პირველი თავისი თანამემამულეები შოთა სარჯველაძე და სოსიკო გეგეჭკორი 1927 წელს დაასაფლავა. შესასვლელიდან მარცხენა მხარეს ფრანგების საფლავებია, მარჯვნივ — ქართველებისა.

სასაფლაო სიმწვანეს მოკლებულია. მკაცრ რიგებად ჩამწყრივებულ საფლავებს მხოლოდ ყვავილები ამშვენებს. ახლახან ლევილის სასაფლაო გაფართოვდა, დღეს მისი ფართობი 8448 კვ. მეტრს შეადგენს. აქედან თითქმის მესამედი ქართველებისაა.

შესასვლელთან მარჯვნივ პირველი საფლავი ტარასი წულაძეს ეკუთვნის. დაბადების წელი აღნიშნული იყო ქვაზე (1903), მაგრამ გარდაცვალების თარიღი არ ეწერა. გამიკვირდა, წინა დღეს შევხვდი ტარასი წულაძეს პარიზში, მაშ, ეს ვისი საფლავია-მეთქი?

სწორედ ამ დროს მომიახლოვდა შუახნის მამაკაცი, ვანო ციციშვილი. ჩემი დაბნეულობა რომ შეამჩნია, გაეცინა და მითხრა, ტარასი წულაძე ცოცხალია, ეს საფლავი კი წინასწარ გააკეთაო. თურმე ასე იქცევა მოხუცი ემიგრანტების უმეტესობა.

უფრო გულდამშვიდებით წავლენ ამ ქვეყნიდან, შვილებს კი ზედმეტ საზრუნავს აღარ დაუტოვებენო, ამიხსნა ბატონმა ვანომ.

ვანო ციციშვილი პროფესიით ატომური ბირთვის ფიზიკის სპეციალისტია. ცხოვრობს და მუშაობს პარიზში. თბილისში არაერთხელ იყო სტუმრად და აღფრთოვანებულია აქაური შეხვედრებით. აქ, ლევილში, მამამისის ვახტანგ ციციშვილის საფლავია.

რიგრიგობით ჩამოვუარეთ საფლავებს, 387 კაცის გვარი ჩავიწერე. ყველა საფლავი მოვლილია და შემკული ცოცხალი ყვავილებით. საფლავის ქვები დამზადებულია გრანიტის, მარმარილოს, ბაზალტისაგან, არც ერთი მათგანი არ იმეორებს წინამორბედს. ზოგიერთი ქვაზე წარწერები გაკეთებულია ასეთი თანამიმდევრობით, ზემოთ ფრანგულად,

სოფლის საზრდა

ხოლო ოდნავ დაბლა — ქართულად. მხოლოდ ერთ საფლავზე — ნოე ყორღანიას განსასვენებელზეა დარღვეული ეს თანამიმდევრობა, პირველი აქ ქართული წარწერაა: „საქართველოს რესპუბლიკის პირველი პრეზიდენტი. საქართველომ 1918 წლის 26 მაისს მისი მეთაურობით აღადგინა თავისი სუვერენობა რუსეთის 117 წლის ბატონობის შემდეგ“.

ნოე ყორღანიას გვერდით დასაფლავებულია მისი მეუღლე ინა, აგრეთვე ქალიშვილი ასმათ ყორღანია-ფალავა.

ყორღანიას საფლავი ცენტრშია, ძმათა სასაფლაოს პირდაპირ მდებარეობს.

მოწიწებით დავე საფლავის ქვაზე დამოუკიდებელი საქართველოს სამფროვანი დროშა.

— შეხედეთ, ეს დემოკრატიული საქართველოს ვიცე-პრეზიდენტის სიმონ მღვიანის საფლავია, აქ კი თავადიშვილი ქეთევან ვაჩნაძე-ჩხენკელი განისვენებს მეუღლესთან ერთად. აქ დასაფლავებული არიან მღვდელი ილია მელია, მხატვარი ფელიქს ვარლამიშვილი, პოეტი გიორგი ყიფიანი, რუსთაველოლოგი ვიქტორ ნოზაძე, მინისტრი ირაკლი წერეთელი, — გულმოდგინედ მიმანიშნებს ვანო ციციშვილი.

მღელვარებით ვუახლოვდებით გამოჩენილი ქართველი მწერლის გრიგოლ რობაქიძის საფლავს, რომლის ნეშტი ლევილში შევიცარიიდან გადაასვენეს. აქ შეხვდებით სხვა ქვეყნიდან გადმოსვენებულებსაც. მაგალითად, ცნობილ ბიზნესმენს, ამერიკის ფირმა „ზალდასტან კონსალტინგის“ პრეზიდენტს გივი ზალდასტანიშვილს ამერიკის შეერთებული შტატებიდან აქ გადმოუსვენებია თავისი მამის ნეშტი. მოვიინახულეთ საგარეო საქმეთა მინისტრის ევგენი გეგეჭკორის საფლავი.

— ახლახან, — ამბობს ვანო ციციშვილი, — საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა მინისტრი გიორგი ჯავახიშვილი გვეწვია. ეს სასიხარულო მოვლენა იყო ქართული სოფლისთვის. ქართველმა მინისტრმა

მოინახულა შატო, დაინტერესდა მისი მაცხოვრებლების ყოფა-ცხოვრებით, დაათვალიერა სასაფლაო და საერთოდ ჩვენზე სასიამოვნო შობაბეჭდილება დატოვა.

დავბრუნდით შატოში. ეზოში, ცაცხვის ჩეროში, გაავიშალეს სუფრა. აქ უკვე შეგროვდნენ ქართველი ემიგრანტები — ლევან ფალავა, მამია ბერიშვილი, ორესტი გორდელაძე, ჯაბა ხაბუღიანი, მანანა ბარათაშვილი, ნუცა თაყაიშვილი, ლიდა ნოზაძე და სხვ. მაგიდას ამშვენებდა საცივი, ლობი, ლობიო. წითელი ღვინო ცოტათი ჩვენს ალექსანდროულს წაგავდა.

აქვე გავიცანი მამია ბერიშვილის მეუღლე — სიმპათიური ჭადარა ფრანგი ქალი ქრისტინ ლეკლე, რომელიც გულმოდგინედ უვლის ქართველთა საფლავებს. მასვე აქვს საფლავების სია, ყველაფერი იცის, რაც კი ლევილის სასაფლაოს ეხება.

1973 წელს პარიზში ნიკო იმნაიშვილის სახელობის ფონდის საშუალებით დაიბეჭდა ბროშურა 1971 წლამდე უცხოეთში გარდაცვლილ ქართველთა შესახებ. ეს საჭირო და კეთილშობილური საქმე ნამეტია გოგუაძის, ნიკო ორაგველიძის და ვიქტორ ნოზაძის ინიციატივით შესრულებულია. ამ ბროშურის მიხედვით შევიტყობთ, რომ ჩვენი თანამემამულეები დასაფლავებული არიან საფრანგეთის 38 ქალაქში; საერთოდ კი 26 სახელმწიფოშია გაფანტული ქართველი ემიგრანტების საფლავები — ყველაზე მეტია საფრანგეთში, ირანში და აშშ-ში.

დრო შეუბრალებელია. ქართველი ემიგრანტების დიდი ნაწილი გარდაიცვალა. მძიმე იყო მათი ხვედრი სამშობლოსაგან მოშორებით. ვინ იცის, რა დიდი გულისტკივილი და რამდენი დაუწერელი ამბავი წარიტანეს საიქიოში ლტოლვილმა ქართველებმა.

ლევან დოლიძე,
თბილისის ი. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის უფროსი მცენიერი თანამშრომელი.



ბუბუსია თვალავაძე



ლიანა ახათიანი



ნელი ჩიქოვანი



მანანა ხიდაშელი

XVII საუკუნიდან დაწყებული ევროპულ ლიტერატურაში საგრძობლად ღრმავდება ინტერესი აღმოსავლეთისადმი. პოლიტიკურ და კომერციულ ურთიერთობათა განვითარებასთან დაკავშირებით უფრო მეტი ევროპელი მიდის აღმოსავლეთ ქვეყნებში. ამის შედეგად იბეჭდება მოგზაურობების აღწერილობანი. სწორედ მოგზაურთა ჩანაწერები წარმოადგენენ იმ ძირითად წყაროს, რომლითაც სარგებლობდნენ აღმოსავლეთით დაინტერესებული ევროპელი მწერლები.

მოგზაურთა აღწერილობები შეიცავენ ბევრ საინტერესო მასალას საქართველოს შესახებაც. აღსანიშნავია, რომ პოლიტიკური და ეკონომიკური ცნობების გარდა ამ ჩანაწერებში გვხვდება დაკვირვებები მოსახლეობაზე და ცხოვრების ადრე-ადრეულ მდგომარეობაზე. ლიტერატურულ ძეგლებში განსაკუთრებულად წამოიწია ქართველი ქალების სილამაზის თემა. ამაზე წერს ჯერ კიდევ ფრანგი ჟან შარდენი, რომელმაც XVII საუკუნის მეორე ნახევარში კომერციულ საქმეებთან დაკავშირებით იმოგზაურა აღმოსავლეთში და საკმაოდ დიდხანს დარჩა საქართველოში. შარდენის საფუძვლიანად და ცოცხლად დაწერილი ნაშრომი გამოიყენეს მთელმა რიგმა ევროპელმა ავტორებმა. სწორედ მისი წიგნის გამოქვეყნების შემდეგ ლამაზი ქართველი ქალის სახე გამოჩნდება ფრანგული გალანტური რომანის ფურცლებზე.

ასე, მაგალითად, მშვენიერი ქართველი ქალები გამოყვანილი არიან მთავარ პერსონაჟებად ფრანგი მწერლის ჟან-ბატისტ შვერემონის ორ რომანში. ორივე რომანი დაიბეჭდა XVII საუკუნის 90-იან წლებში.

ეკვვარეშეა, რომ შვერემონი სარგებლობდა შარდენის წიგნით, რადგანაც იქიდან რომანებში მოტანილია რამდენიმე გვერდიანი ამონაწერები საქართველოს ცხოვრების დასახისიათებლად.

ლამაზი ქართველი ქალები გვხვდება XVIII საუკუნეში დაწერილ ძეგლებშიც. მაგალითად, ფრანგი მწერალი მარმონ დიუ ოშანი ასათურებს ერთ თავის რომანს „რეთიმა, ანუ მშვენიერი ქართველი ქალი“. ცნობილ იტალიელ დრამატურგს კარლო გოლდონის ეკუთვნის პიესა „მშვენიერი ქართველი ქალი“. მასში მთავარი გმირი ქალი ატარებს ნამდვილ ქართულ სახელს — თამარ. სიუჟეტი გამოგონილია, მაგრამ პიესაში გამოყენებულია შარდენის ცნობები დასავლეთ საქართველოს შინა ომების შესახებ.

ქართველი ქალების სახეები გვხვდება XIX საუკუნის მწერლების, მაგალითად, ბაირონის, თომას მურის, მერიმესა და სხვათა ნაწარმოებებში. მეტად თავისებურადაა ეს თემა გაშლილი ერთი ამერიკელი ავტორის რომანში — ტრადიციული რომანტიკული ელემენტები შერწყმულია ნამდვილი ისტორიული მოვლენების აღწერასთან. წიგნის ავტორია რიჩარდ ჰენრი სევეიჯი (1846-1903), შეერთებული შტატების არმიის ოფიცერი, რომელიც მსახურობდა მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში და ინახულა მრავალი ჩვეყანა. ამავე დროს სევეიჯი ნაყოფიერად მუშაობდა ლიტერატურის დარგში. ზოგიერთ მის რომანში მოქმედება ვითარდება არა ავტორის სამშობლოში, არამედ ეგვიპტეში, ინდოეთში, რუსეთში, პოლონეთში.

ჩვენთვის საინტერესო რომ-

მანი ავტორმა გამოაქვეყნა 1892 წელს სათაურით „პრინცი შამილის არშიყობა“. რომანის ცენტრში დგას მშვენიერი ქართველი ქალი. მისი სახელია მარიცა, მაგრამ მას უწოდებენ „თბილისის ვარდს“. რაც შეეხება მთავარ გმირს, იგი წარმოდგენილია როგორც კავკასიელების განთქმული მეთაურის შამილის ვაჟიშვილი. მოქმედების დროზე მეტყველებს რომანის ქვესათაური, რომელშიც ნათქვამია, რომ წიგნი წარმოადგენს რუსეთ-თურქეთის ომის ამბავს. მოქმედება ვითარდება 1877-78 წლებში და გმირების თავგადასავალი აღწერილია ხან რუსეთისა, ხან თურქეთის, უმეტესად კი კავკასიის ფონზე.

წიგნის მთავარი სიუჟეტური ხაზი თავისებურად აერთიანებს ნამდვილ ისტორიულ ფაქტებს გამოგონილ რომანტიკულ ინტრიგასთან. მთავარი გმირი — პრინცი შამილი, რუსეთის ჯარის ოფიცერია. სამხედრო დავალებებთან დაკავშირებით ის მიდის პეტერბურგიდან სტამბოლში, იქიდან კავკასიაში. მისი ცხოვრება აღწერილია ხან თბილისის არისტოკრატიული საზოგადოების ფონზე, ხან ყარსთან მომხდარი ბრძოლის დროს, ხან კავკასიის მთებში, იქ, სადაც ძველად იბრძოდა მისი განთქმული მამა — შამილი.

სევეიჯი უთუოდ კარგად ერკვევა რუსეთ-თურქეთის ომის ეპიზოდებში. ეს ამბები მისთვის განსაკუთრებით საინტერესო უნდა ყოფილიყო. ომის მთელი რიგი ფაქტები წიგნში სწორადაა გაშუქებული, ნახსენებია იმდროინდელი მოღვაწეები და მხედართმთავრები.

რომანის ფაბულა დაკავშირებულია ამიერკავკასიის არეში მომხდარ ამბებთან: პრინცი

შამილი ეძებს თავის სატროს. იგი თბილისიდან მოტაცებულია და იმყოფება თურქეთის ციხე-სიმაგრე ყარსაში, რომელიც იმ დროს ალყაშემორტყმულია რუსი ჯარების მიერ. სამხედრო ამბების აღწერის ფონზე იშლება რომანის მეტად რთული ინტრიგა. ნაწარმოების პერსონაჟები მკვეთრად არიან განაწილებული კეთილ და ბოროტ ადამიანებად. შამილი სიკეთისა და პატიოსნების განსახიერებაა იმ დროს, როდესაც მისი უფროსი ძმა — გაზი დახატულია განსაკუთრებით მუქ ფერებში. ორივე ძმას მოსწონს მშვენიერი მარიცა, მაგრამ თუ შამილი გულწრფელია თავის სიყვარულში, გაზის აინტერესებს ლამაზი ქართველი ქალის ქონება. ბუნებრივია, მარიცას მოსწონს ნამდვილი რაინდი, ახალგაზრდა შამილი. მიზნის მისაღწევად გაზი მიმართავს ყოველნაირ ბოროტებას (მოტაცება, სწამლავი), რამდენჯერმე ეცადა მოეკლა თავისი ძმა. მხოლოდ რომანის ბოლოს ილუბება იგი და მთავარი გმირების თავგადასავლები ბედნიერად მთავრდება.

რომანის ძირითადი პერსონაჟები არ არიან ისტორიული პირები. მარიცა, როგორც წიგნშია ნათქვამი, ეკუთვნის დიდგვაროვან და მდიდარ ქართველ ოჯახს და ფლობს უზარმაზარ მიწებს. მარიცას გვარი ნახსენებია რომანში როგორც „დეშკალინ“, რაც, ალბათ, წარმოადგენს დამახინჯებულ დაღესტურ სიტყვას. მარიცა სწავლობდა პეტერბურგში დიდგვაროვანი გოგონებისათვის განკუთვნილ სასწავლებელში. სასწავლებლის დამთავრების შემდეგ იყო ფრეილინად დედოფლის კარზე. პეტერბურგში გაიცნობს მას შამილი. შამილი იბ-

საქართველოს



მანანა შენგელაია



ჯენა გერსამია



ია ნინიძე



ლიკა ჭავჭავაძე

პართიზონი ქალბავშვების ტიპს საზღვარგარეთულ ლიტერატურაში და რიჩარდ სემპიჯის რომანი

ნახალაია ორლოვსკაია

რდებოდა რუსეთში და გახდა რუსეთის ჯარის ოფიცერი. რომანის მოქმედება იწყება პეტერბურგში, ომის დაწყების წინ. ამ დროს გაზი გაიქცევა რუსეთიდან, უერთდება თურქეთის ჯარს იმ იმედით, რომ გამარჯვების შემთხვევაში გაიხლება კავკასიის მფლობელი.

შამილის ვაჟიშვილების მეტოქეობა და თავგადასავლები სრულიად არაა დაკავშირებული ისტორიულ ფაქტებთან. როგორც ცნობილია, რუსეთის ბრძოლა შამილის წინააღმდეგ დამთავრდა 1859 წელს ციხე-სიმაგრე გუნიბის აღებით. ამ დროისათვის შამილის ორივე ვაჟიშვილი დაოჯახებულია და ომში მონაწილეობა საერთოდ არ მიუღიათ.

მაგრამ რომანის გმირების შერჩევა არაა შემთხვევითი. კავკასიაში მომხდარ ამბებზე საზღვარგარეთულ პრესაში ბევრს წერდნენ და როგორც სევეიჯი სათაურშივე სვამს შამილის სახელს, ამით იგი ცდილობს მიიზიდოს მკითხველის ყურადღება თავისი ნაწარმოებისადმი.

ტექსტიდან ჩანს, რომ სევეიჯის ჰქონდა ცნობები დაღესტანში მომხდარ ამბებზე. წიგნში ნახსენებია ბრძოლის ადგილები, დასახლებულია ჯარის მეთაურთა გვარები. ზოგჯერ დაშვებულია შეცდომებიც. ასე, მაგალითად, ავტორმა არ იცის, რომ ჭავჭავაძეების ოჯახი არის კახეთიდან. წიგნში ნახსენებია თავადი ჭავჭავაძე და წერია, რომ იგი არის „აფხაზეთის ლორდი“.

მთავარი გმირის ბედს სევეიჯი სრულიად გაუმართლებლად აკავშირებს მისი მამის — შამილის მიერ ჭავჭავაძისა და ორბელიანის ოჯახების წინააღმდეგ მოტაცების ისტორიასთან. ეს ამბავი თავის დროზე

ძალიან გახმაურდა. ამის შესახებ იწერებოდა საზღვარგარეთულ პრესაში. ალექსანდრე დიუმამ — „სამი მუშეეტერის“ ავტორი, შთამბეჭდავად აღწერს ტყვე ქალების ბედს კავკასიაში მოგზაურობის ჩანაწერებში. ამ ნამდვილ ამბავს სევეიჯი იყენებს სულ შეცვლილი სახით.

სინამდვილეში ქართველი მანდილოსნები და მათი ბავშვები იყვნენ შამილთან მთებში რამდენიმე თვე, რომანის მიხედვით კი ისინი ცხოვრობდნენ იქ შვიდი წლის განმავლობაში. ეს ვერსია დასჭირდა ავტორს იმისათვის, რათა შეექმნა რომანტიკული ისტორია თავად ორბელიანის ახალგაზრდა ქვრივისა და შამილის სიყვარულის შესახებ. რომანის მთავარი გმირი შამილი, მათი შვილია.

თუ სევეიჯი ასე თვითნებურად ცვლის ნამდვილ ისტორიულ ფაქტებს, მით უმეტეს თავისუფლად აღწერს თავის გამოგონილ გმირთა თავგადასავლებს. წიგნში ბევრი პერსონაჟია, მოქმედება ვითარდება ცოცხლად. ავტორი ქმნის დამბულ სიტუაციებს. მთავარი გმირები თითქმის გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩნდებიან, მაგრამ რჩებიან ერთგულნი, იბრძვიან და საბოლოოდ ყველაფერი კარგად მთავრდება.


სევეიჯი მოღვაწეობდა იმ დროს, როდესაც ნეორომანტიკოსების თავგადასავლებით სავსე ნაწარმოებები უფრო და უფრო იზიდავდნენ მკითხველს. მათი გავლენის კვალი შესამჩნევია სევეიჯის რომანშიც. როგორც სტივენსონის „განძის კუნძულში“, მასში შეტანილია დამალული განძის თემა. სწორედ სიმდიდრით სავსე გამოქვაბულში იღუპება რომანის ბოროტი სული — შამილის ძმა გაზი.

ეგზოტიკურ კოლორიტს ქმნის ნაწარმოებში ბუნების აღწერა — კავკასიის მთები, ციხე-სიმაგრეები, სადაც შიშინარეობდა დამბული ბრძოლები. რაც შეეხება საქართველოს, სევეიჯი ხაზს უსვამს, რომ ეს არის „ლამაზი ქალების ქვეყანა“. რომანის ერთ-ერთი პერსონაჟის თქმით, „ულამაზესი ქალები თურქეთის სულთანის პარამხანაში არიან მშვენიერი ქართველები“.

თბილისს, რომელიც იმ დროს იყო მთელი კავკასიის ადმინისტრაციული ცენტრი, სევეიჯი უწოდებს „აზიის პარიზს“. იგი ხატავს მის კარგად აშენებულ ახალ ნაწილს და ამავე დროს აღწერს ძველ ქალაქს კოლორიტული ვიწრო ქუჩებითა და მდიდრული ბაზრით. აქ გვხვდება თავისებურად ჩაცმული სხვადასხვა ეროვნების ხალხი.

უფრო დამაჯერებელი ადგილობრივი კოლორიტის შექმნისათვის, წიგნში ნახსენებია მრავალი ცნობილი ადგილი, მდინარეები და მთები. ზოგ შემთხვევაში ავტორის ცნობები ზუსტი არ არის (მაგალითად, ერთგან ნათქვამია, რომ თბილისიდან ჩანს მთა არარატი).

სევეიჯი არ იყო დაინტერესებული კავკასიის ზუსტი აღწერით, იგი წერდა სათავგადასავლო რომანს. მისი ცნობები ძირითადად ზუსტია, როდესაც საქმე ეხება ახლახან დამთავრებულ ომის ამბებს. სამაგიეროდ თავისუფლად ამუშავებს ნაწარმოების რომანტიკულ ისტორიას. სიუჟეტის ერთგვარი პირობითობის მიუხედავად, სევეიჯის წიგნი იკითხება ინტერესით და, როგორც ჩანს, მიიპყრო კიდევ მკითხველის ყურადღება, რადგანაც არსებობს ამ ნაწარმოების ამერიკაში და ევროპაში გამოსული რამდენიმე გამოცემა.



ცნობილი ბრაზილიელი ნოველისტი ანბალ მაშადი (1894-1965) თავის ნაწარმოებებში უმეტესად „პატარა ადამიანების“ ცხოვრებას აღწერს. იგი ოსტატურად, დიდი ხელოვნებით გადმოგვცემს მათ ფიქრებს, განცდებს, იმედებს. როგორც მისი შემოქმედების მკოდნენი ამბობენ, ამ მოთხრობაში, თვით ამბავში ჩანს „რადაც ჩაპლინისებური“ უცნაური, ასირებული და გროტესკული, რომელიც სიბრალულს იწვევს მკითხველში.

— როზალია, კინწისკვრით გავაგდე ის თავხედი, ისა! გაგიგონია, ხუთასი კრუხეირო მადლია მხოლოდ!

— ხუთასი კრუხეირო მართო აწყობაში? — მაღლიდან გამოეხმაურა ყოან დე ოლივეირას ცოლი.

— აწყობაში კი არა, როიალში! კიდევ რომ დაგვცინის...

— გაიძვერები არიან. შენგან გროზებად წაიღებენ, თვითონ კი ძვირად გაყიდიან.

აღმფრთხილებული როზალია და სარა ქვემო სართულზე ჩავიდნენ. ყველანი კრძალვით შემოეხვივნენ ძველ როიალს.

— არა უშავს, გამოჩნდება მყიდველი და ჩვენი როიალიც კარგ ფასად გაყიდება! — სახეიმოდ წარმოთქვა ოლივეირამ, თან სიყვარულით შეავლო თვალი საკრავს. — ახლა სად იშვიათ ასეთ როიალს!

— განცხადება გამოვაკრათ ქუჩაში და მუშტარიც მოგვაწყდება, — თქვა როზალიამ. — ისე, ძალიან კი მენანება მისი გაყიდვა.

— ჰო, კარგი როიალია, — ოლივეირამ სახურავს ალერსით გადაუსვა ხელი.

— როგორ მოვიქცეთ, ყოან, განცხადება გამოვაკრათ?

სხვა გზა არ იყო. სარასა და მის მომავალ ქმარს როიალზე მეტად ოთახი სჭირდებოდათ, თანაც სარას მზითვეიც საყიდელი იყო და... სამიოდე დღის მერე ყვეაილებით მორთული ძველი როიალიც საკურთხევლის წინ სამსხვერპლოდ გამზადდებულ ზვარაკით იდგა საგულდაგულოდ დალაგებულ ოთახში და ელოდა თავის ბედს.

მაღე მუშტარებიც გამოჩნდნენ. დედა-შვილს მოწიწებით შეეგებნენ მასპინძლები. გოგონა თამამად მიუჭდა როიალს და კლავიშებს მსუბუქად გააყვალა თითები.

— უი, დედა, მთლად მოშლილი ყოფილა!

ქალი როიალს მიუახლოვდა, გაცვეთილ კლავიშებს შეავლო თვალი, მერე გაბრაზებულმა ჩასჭიდა ხელი ვილის და კარი-საკენ ბუზღუნით გაემართა:

— ამდენი იმიტომ ვიარეთ, რომ ბოლოს ეს დაფახვებულული...

შეურაცხყოფილმა ოლივეირებმა პასუხის გაცემა ვერ მოასწრეს, რომ ხანდაზმული მან-

დილოსანი და შავსათვლიანი ქალიშვილი მოვიდნენ. მათ ფეხდაფეხ მოჰყვა წითური ებრაელი კაცი, რომელსაც გაცვეთილი კოსტიუმი ეცვა.

ქალიშვილი როიალისაკენ გაემართა... ებრაელი გამოციებული თვალებით შესცქეროდა საკრავს. ამასობაში ერთი ქალიც მოვიდა მოსწავლე გოგონასთან ერთად. უეცრად ყველამ ასწია თავი: იქაურობა აავსო მოშლილი, ყღრიალა, ხრინწიანმა ბგერებმა... გამოცდამ საკმაოდ დამაჯერებლად ჩაიარა. მოსწავლე გოგონას დედას უკმაყოფილოდ დაემანჭა სახე, ხანდაზმული მანდილოსანი უფრო გულმოწყალებულად აღმოჩნდა: სიბრალულით გადახედა როიალს. მასპინძლები დანარჩენთა სახეზე ცდილობდნენ ამოეკითხათ განაჩენი. ებრაელი კაცი მშვიდად იდგა.

საცოდავ ძველ როიალს თითქოს განაჩენს უცხადებსო, ქალიშვილმა ჩიულად განაგრძო დაკვრა. მოშლილი, ჩავარდნილი და აქა-იქ ჩატეხილი კლავიშები წკაპუნებდნენ, როიალს ბებერი მომღერალივით ჩახლეჩოდა ხმა. ოთახში ყვეფით შემოვარდა პატარა დოლი. თუმცა არავის გაუცინია, ოთახში მაინც გესლიანმა სიცილმა გადაიარა. ძაღლმა გამოუტანა განაჩენი დამნაშავეს. ქალიშვილი ახლა უკვე განგებ უკრავდა ნმამალა, ისედაც ჩავარდნილ კლავიშებს მძიმედ უბარტყუნებდა ხელს. მეტის მოთმენა აღარ შეიძლებოდა.

— იცით... როიალი მეტად მგრძობიარე ნივთია... ტემპერატურა მოქმედებს... — თავის მართლებას მოჰყვა ყოან დე ოლივეირა.

ქალიშვილი წამოხტა, სახურავი დაახეჭა და ტუჩაბუზებული დასწვდა თავის ჩანთას:

— ვერ გამოიგია, სენიორ, როგორ გაბედეთ განცხადება გამოგეკრათ ამ ბებრეკის გული-სათვის, — თან წასვლისას როზალიას ისე აღმაცერად გადახედა, თითქოს ეს ბოლო სიტყვები მას ეხებოდა.

ოჯახის უფროსმა ეს შეურაცხყოფაც უსიტყვოდ გადაყლაპა.

— ახლანდელ დროში აღარ აკეთებენ ასეთ როიალს, — თქვა მან ბოლოს. — ახლა სანთლით არის საძებარი ასეთი...

— სიტყვა არავის დაუძრავს. კარგა ხნის დუმისის მერე, როცა ის იყო ძველი როიალის წარმომავლობა ბევრზე ეკიდა, ებრაელმა ამოიღო ხმა:

— რა ღირს თქვენი როიალი? ყოან დე ოლივეირამ ველარ გაბედა აქამდე მოფიქრებული ფასი ეთქვა.

— ხუთი კონტო, — ამოღერდა გაუბედავად.

კრინტი არავის დაუძრავს, არც არავის გაუცინია, მაგრამ

ოთახში კვლავ გესლიანმა სიცილმა გადაიარა.

სტუმრები წამოდგნენ და კარისაკენ გაემართნენ. მასპინძლის სიტყვებს დუმლით უბასუნეს. ოლივეირას გააჯრულა, ნუთუ ძვირი დავაფასეო? მხოლოდ ხანდაზმული მანდილოსანი ჩამორჩა კარისაკენ სწრაფად მიმავლებს და თქვა, მოვიფიქრებო. ნეტავ გენახათ, სახეზე რა სიბრალული ეხატა! კარებში ვიღაც ჭალარა კაცს შეეფთვინე:

— როიალის სანახავად მოხვედით? — ჰკითხეს, — აბა, მაშ, დიდი გართობა გელით.

— მობრძანდით, როიალი აქ არის, უკვე ბევრმა ნახა... — ოლივეირა თავაზიანად შეეგება ახლად მოსულს.

ჭალარა კაცი როიალს მიუახლოვდა, სახურავი ახადა, დიდხანს და დაკვირვებით ათვალიერა სიმები. ეტყობა, მუსიკის მასწავლებელი იყო. ფასი არ უკითხავს, მოვიფიქრებო, თქვა და სასწრაფოდ დაემშვიდობა მასპინძელს.

სახლი დაცარიელდა. გულგატეხილმა მასპინძლებმა ერთმანეთს გადახედეს.

— არავინ იცის მაგის ფასი, — ამოიოხრა ყოან დე ოლივეირამ. — იფად გაყიდვას, აქ იდგეს, ისა სჯობია.

— სარიტას მზითვეს რაღა ვუყვით? — იკითხა როზალიამ.

— რა ვქნა, იქნებ სამსახურში ვისესხო სალაროდან.

— რას ამბობ, ხელფასიდან ყოველთვე დავიკვითავებ და მერე რიღათი ვიცხოვროვ?

— ქორწილი გადავდოთ. — ყმაწვილებს სული მისდით, სანამ დაქორწინდებიან, გაგყვებით უყვართ ერთმანეთი და შენ კი, გადავდოთო, ამბობ.

გვერდით ოთახში სარიტა აყვირდა, ორი პერანგისა და ერთი-ორი ხელი თეთრეულის მეტი თქვენი არაფერი მინდაო.

— ეჰ, ჩვენი ბინა ასანთის კოლოფივით პატარაა, — განაგრძო როზალიამ. — ახლად დაქორწინებულებმა სად უნდა იცხოვროს, თორემ როიალს არ გავიღებდი მსხვერპლად. მაინც რამოდენა ადგილი უჭირავს ამ დალოცვილს! ღმერთო, ახლა ყველა ბინის სივიწროვეს უჩივის, ყველას დიდი ოთახები მოუწდა.

— არა, არა, — კარს იქით ისევ აყვირდა ქალიშვილი, — როიალს ნუ გაყიდით, რომ ვუყურებ, მიხარია!

— და რომ უსმენ... შენ სულ გადაეჩვიე დაკვრას. პატეფონს ამჯობინებ. — როზალია ქალიშვილისაკენ გაემართა, უკვირდა, ასე უცბად რამ გამოცვალაო, აქამდე როიალის გაყიდვა დაჩემებული ჰქონდა და ახლა ნეტავ რატომ გადაიფიქრაო. — ბოლოს და ბოლოს ამოირჩიე, ქმარი თუ როიალი?!

— აჰ, რა თქმა უნდა... ქმა-

რი, — უბასუნა სარიტამ მკითხე ყოყმანის შეწყვეტა თქმა უნდა, ქმარი.

— მამასადამე... — როზალია, შენც მისი წინააღმდეგი ხარ, ხომ? — მოისმა ყოან დე ოლივეირას გაბრაზებული ხმა.

— ვისზე მეკითხები, ყოან? — ვისზე და ჩვენს როიალზე.

— ასე რატომ ამბობ, ყოან! მეორე დღეს ყოან დე ოლივეირა სამსახურიდან ხეირიანად არც კი იყო შინ შესული, რომ ცოლს ჰკითხა:

— ბევრი ხალხი იყო? — ერთი-ორმა ტელეფონით დარეკა; მოსვლით, ერთი კაცი მოვიდა, დიდხანს ათვალიერა. ის გუშინდელი ებრაელიც იყო...

— მერე რაო? — არაფერი.

— არც არაფერი დაიბარეს? — არაფერი. ისე კი დიდხანს ათვალიერებდნენ, ძალიან დიდხანს.

— მაშ, ათვალიერებდნენ? დაკვირვებით და აღტაცებით, ხომ?

— რა ვიცი...

— ჰო, ათვალიერებდნენ, — საუბარში ჩაერია სარიტა. — განსაკუთრებით ის მოხუცი, პირდაპირ თვალებით ჭამდა ჩვენს როიალს.

ყოან დე ოლივეირას გული აუჩუყდა. ფასზე აღარ ფიქრობდა. ახლა მხოლოდ ის უნდოდა, მის როიალს პატივისცემით მოჰყრობოდნენ. იქნებ გროშიც არა ღირს, მაგრამ პატივისცემის ღირსი კი, რაც მართალი, მართალია, არისო. ნეტავ ამ ხალხს დახვედროდა შინ! ის მოხუცი, ეტყობა, ჰკვირანი კაცია და ძველი ნივთის ყადრი იცის.

— სარიტა, მისამართი არ დაუტოვებია? არა? არა უშავს, კიდევ მოვა, უსათუოდ მოვა.

ყოანი როიალს მიუახლოვდა.

— ჩემი როიალი, — ჩაიჩუჩრჩულა და ალერსით გადაუსვა ხელი.

მეორე დღეს არავინ გამოჩენილა. მხოლოდ ერთხელ დარეკეს ტელეფონით: ვიღაცამ უცხოურ კილოზე იკითხა, როიალი ახალი თუ არისო. როზალიამ უბასუნა, ძველია, მაგრამ ახალში ვერ გააჩვენეთო. „ხვალ შაბათია, — გაიფიქრა ოლივეირამ. — ალბათ ბევრი მუშტარი მოვა“. მეორე დღეს ჰიშკართან ლიმუზინი გაჩერდა და ვიღაც კაცი გადმოვიდა გოგონასთან ერთად. ოლივეირას სახლს რომ შეხედა, სახეზე ამკარად დაეტყო უკმაყოფილება. შიგ შესვლა არც იკადრა. მასპინძლებს კარებშივე გამოჰკითხა, როიალი რომელი ფირმისაა, როდისაა დამზადებული, და მაშინვე გაბრუნდა.

— გმადლობთ, ნახვა საჭირო არ არის. მეგონა, ახალმო-

ანიგალ მასალი



დური როიალი გქონდათ. კარ-
გად ბრძანდებოდეთ...

ჟოან დე ოლივეირას თავისი
როიალის მაგივრად ტკიოდა
გული ასეთი უდიერი მოპყრო-
ბის გამო. არადა, როგორ უწ-
ლიდა, როგორ ელოლიაგებო-
და საკრავს, ვერასოდეს იფიქ-
რებდა, რომ მისი გაყიდვის
წუთი დაუდგებოდა, თავიდან
მოიშორებდა. რატომ ვერ ამჩ-
ნევდნენ, ის ხომ ძვირფასზე
ძვირფასი ნივთია, არავის სურს
ალიაროს მისი სიკარგე, თუმ-
ცა არა, ვასულ ოთხშაბათს
ერთი კაცი მოვიდა, შეაქო, მა-
გრამ რა შეაქო! საოცრებააო,
— ასე თქვა, — ნამდვილად
სინდისი არ მომასვენებს, ასე
იფად რომ ვიყიდოო. მეტის-
მეტად დიდ დანაშაულს სჩადით,
ასეთ ძვირფას ნივთს... ოლივე-
ირამ ვერა და ვერ გაიგო, რა
უნდოდა იმ კაცს.

დღე დღეს მისდევდა, მყიდ-
ველი კი არ ჩანდა. ჟოან დე
ოლივეირას გულში ისე უზა-
როდა. თითქოს დიდი ხნის უზა-
ხავ მეგობარს მატარებელზე
დაგვიანებოდა და ძალაუნე-
ბურად კიდევ დარჩენილიყო
მითან სტუმრად. როიალს მი-
უჯდებოდა და მასთან ყოფნის
უკანასკნელი წუთებით ტკბე-
ბოდა. საკრავის დიდებული გა-
რეგნობით აღტაცებული. რა-
ლოცას ეჭურჩულებოდა შეთქ-
მულივით... სამი თაობა უკრა-
ვდა ამ როიალზე, რამდენი ად-
ამიანი ჩაუფიქრებია მის ტკბილ
ხმას, რამდენი აუტყვევებია!
ყველაფერი წარვიდა, როიალი
კი დარჩა. ის ერთადერთი იყო,
ვისაც ამა ქვეყნიდან წასულნი
ახსოვდა, ვინც მომავალ თაო-
ბებს ახსენებდა წასულთა სა-
ხეებს. ის იყო მარადიული მო-
წმე და შუამავალი; ის იყო
ოჯახის ხატი.

— აბა, აქ მოდი, სარიტა! იქ-
ნებ გაიხსენო ის ადგილი შო-
პენიდან.

— აჰ, ამ როიალზე არ დაიკ-
ვრება, მამა, ვერ ატყობ, გადა-
საგდება.

— ასე რატომ ამბობ, ხომ
ხედავ, წყინს, — წასჩურჩულა
როიალიმ ქალიშვილს.

სარიტა კი როიალს შეავლე-
ბდა თუ არა თეაოს, საკრავი
წამსვე სადღაც ქრებოდა და
მის ადგილას ფართო საწოლი

ამოტივტივდებოდა. საწოლზე
მას და მის ლეიტენანტს ეძი-
ნათ ჩახუტებულებს.

გადიოდა დღეები. მყიდვე-
ლი არა და არ ჩანდა, ხანდახან
თუ დარეკვდა ებრაელი. მუშ-
ტარი ხომ არავინ გამოჩენი-
ლო, იკითხავდა.

ოლივეირებმა განცხადება
ჩამოხსნეს. როიალიამ აღარ
იციოდა. ქმრისათვის როგორ ეთ-
ქვა. ქორწილის გადადება უკვე
შეუძლებელიაო.

— როგორ მოვიქცეთ, ჟოან?

— რაზე მეკითხები, როზა-
ლია?

— როიალზე.

— არ გაეყიდი, მორჩა და
გათავდა. — უეცრად მოსჭრა
ჟოანმა. — ამ გაიძვერებს გრო-
შებად სურთ წაიღონ. მიჩვე-
ნია იმას ვაჩუქო. ვინც მისი ყა-
დრი იცის და მოუვლის.

ჟოანი აღელვებული სცემდა
ბოლთას ოთახში. უცებ შეჩე-
რდა. სახეზე მტკიცე გადაწყვე-
ტილება აღებუქდა:

— ყური მივდი. როზალია,
დარეკე ერთი ტეოკაში. კუ-
ზინას ან ვინმეს დაველაპარა-
კები ჩვენებიდან.

როზალიას გაესარდა: მივ-
და, რაც განუზრახა მის ქმარს.

ჟოანი ტელეფონს მივარდა:
„მესიასს სთხოვეთ. სასწ-
რაფოდ! წავედა? ვინ ლაპარა-
კობს? კუზინა? ყური მოვდე.
როიალი უნდა ვაჩუქოთ... ჰო,
ჰო, ვაჩუქოთ... არა, არ ვაგვი-
ყებულვარ... მართალს ვამბობ...
მიმიხვდი, მართალი ხარ. ჩვე-
ნიანებში მაინც დარჩება... რა?
ვიწროდ ვართ, რა თქმა უნდა...
ვინმეს გამოვიგზავნით წასაღე-
ბად?.. რას ამბობ, რის მად-
ლობა! — ჟოანმა ყური მილი და-
ლო და ცოლს მიუბრუნდა. —
არა სჯეროდა, დღეს პირველი
აპრილი ხომ არ არისო?

როზალიას უხაროდა, რომ
საქმე ასე კარგად მოგვარდა.
მასაც ეჭარებოდა ქალიშვი-
ლის გათხოვება, ოთახსაც მი-
ვწყ-მოვწყობ და ქორწილ-
საც გადავიხდითო.

ჟოანი ჩაფიქრებული მიუახ-
ლოვდა როიალს. „ახლა სინდი-
სი მშვიდად მექნება, შენ ისევ
შენს ოჯახში, შენიანებთან
რჩები. ხომ არ მიჯავრდები,
მესიასთან რომ გგზავნი? არ
გაჯავრდე, გინდა აქ მდგარხარ
და გინდა იქ...“

მეორე დღეს ოლივეირებს
თავად მესიასმა დაურეკა. არა
სჯეროდა. მართლა მაჩუქეთ
როიალი? ასეთი ძვირფასი სა-
ჩუქაო? გუშინ მიიბრუნე და
არაფრით არ დავიჯერე, საკვი-
რველია... რა თქმა უნდა, ძალ-
ზე მადლობელიც ვარ.


ვაჩუქეთ, მესიას. ვაჩუ-
ქეთ, ხომ იცი, ჩვენს ბინაში
თავი კულს ვერ მოიქნევს.
როიალს კი დიდი ადგილი უჭი-
რავს. ჟოანმა გადაწყვიტა. მი-
რჩევნია ჩვენიანებს მივცეო.
ჰოდა, თქვენთან რომ იდგება.
მაგასაც გული საგულეს ექნე-
ბა, როცა გინდათ წაიღეთ. გეს-
მის?

გავიდა რამდენიმე დღე. რო-
იალის წასაღებად არავინ მო-
დიოდა. ოლივეირებს უყვო-
რდოდათ ტეოკელი ნათესავების
დუმილი.

— რამე ცუდი ამბავი ხომ
არ არის მათ თავს? დაურეკე
ერთი, როზალია...

ყურმილი კუზინამ აიღო, რა-
ღაც მიკიბ-მოკიბა. ისაო. ესაო.
გადმოზიდვაში ბევრსა გვთხო-
ვენო.

კიდევ ერთი-ორი დღე
დაგვაცადეთ, მესიასი მოელა-



პარაკება ვინმეს. დიდი მადლობელი ვართ, მთელი დღე როიალი გვაკერია პირზე, — ბოლო სიტყვებს სიყალბე დაეცყო.

კვირის ბოლოს თვითონ ჟოანმა დაურეკა ბიძაშვილს:

— მესიას, პირდაპირ მითხარი, მივაქვს თუ არა როიალი.

— ძვირფასო, ვერ წარმოიდგენ, რა დღეში ვართ. როიალი გვაჩუქეს, ჩვენ კი წამოდება არ შეგვიძლია. ბევრ ფულს გვთხოვენ გადმოზიდვაში, თანაც ჩვენც პატარა ბინა გვაქვს. შეგვიკლა ხელში ამ სივიწროვემ. აქამდე არც მიფიქრია ამ ახე... ცოლი გაგიყვარებულია...

— ესე იგი, არ მივაქვს, ხომ?

— კი, მიმაქვს... თუმცა მართალი გითხრა, არ მიმაქვს, მაგრამ...

გაგულისებულმა ჟოანმა ყურმილი დაახეთქა:

— ხედავ, როზალია, მუქთადაც არავის უნდა ჩვენი როიალი.

სარიტამ ცრემლი გადმოღვარა:

— როდისღა მოაშორებთ აქაურობას მაგ დასაწვავ როიალს? ქორწილამდე რაღა დარჩა, ოთახი კი მოსაწყობია, თანაც მზითვენი რითი ვიყიდოთ? არაფერი მე არ მბადია...

— ჩუმად, შეილო, მამამ არ გაიგონოს.

— მეც ეგ მინდა, თუ გაიგონებს, — ქვითინებდა სარიტა.

ჟოან დე ოლივეირას მთელი ღამე თვალი არ მოუხუჭავს. ფიქრებში ჩაფლულს დაათენდა. ცუდ გუნებაზე ადგა, მთელ ქვეყანაზე იყო შემომწყრალი, როიალზეც. შინიდან ადრე გავიდა, გვიანობამდე იჯდა კაფეში. „ნეტავ მთელი დღე რას დამჯდარა კაფეში შენი ქმარი? ან რას ეტუტუნება იქ ვილაცვილაკებს?“ — ეკითხებოდნო როზალია საკუთარ თავს. უკვირდა ქმრის საქციელი: ჟოანს კაფეში არასოდეს დაუღამებია.

სახლიდან ოთხიოდე კვარტალის მერე პლაჟი იწყებოდა. ფანჯრებიდან ზღვა არ ჩანდა, მაგრამ ნიავს მოჰქონდა მისი ტალღების შრიალი და სურნელი. სანაპირო ხეივნის გასწვრივ ფართო ქვიშიანი მეჩეჩი გაწოლილიყო.

ჟოან დე ოლივეირა შინ ზანგისა და ორი ახოვანი პორტუგალიელი კაცის თანხლებით დაბრუნდა. მაშინვე როიალზე უჩვენა. მოსულებმა ადგილიდან ვერ დაძრეს როიალი, დიდიან, თქვეს, კიდევ სამი კაცი დაგვიკირდებო... დედა-შვილი გაკვირებული იდგა, ვერაფერი გაეგათ.

— მუშტარი ნახე? — შეჰბედა ბოლოს ქმარს როზალიამ.

— არა, ამ როიალს მუშტარი არა ჰყავს.

— აბა, უფულოდ აძლევ?

— არა, ეს როიალი უფულოდაც არავის უნდა.

— მაშ, რა განგიზრახავს, ჟოან? — როზალიას გულმა რეჩხი უყო. ჟოან დე ოლივეირას პირი მკაცრად დასეროდა, თვალბეჭით ცრემლი უბრწყინავდა. — ზღვაში ხომ არ ავადებ?

— სწორედაც ზღვაში ვავადებ.

— რას ამბობ, ხომ არ გაგიყვდი, მაგას ნუ იზამ, მამა. გეხვეწები, მაგას ნუ იზამ! — შესძახა სარიტამ.

— ჟოან, ნუთუ სხვა გზა აღარ არის? — ჩაერია კვლავ როზალია. — კარგად დაფიქრდი, ღმერთო ჩემო, წარმოვიდგენიათ, ზღვაში გადავადებული როიალი! საშინელებაა...

— რას ვიზამთ, როზალია, განა ხომალდები არ იძირება? რამდენიც გინდა, იმდენი იძირება. — მერე მუშებს მიუბრუნდა: — აბა, ბიჭებო, საქმეს შევუდგეთ. ასწიეთ, ცოცხლად! ერთი მუშა წინ წამოდგა, დაბნეული იტყობოდა აქეთ-იქით, მერე როგორც იქნა ამოილულულა: გვაპატიეთ, მაგრამ ვერ წავიღებთ, უხერხულია, ასეთი. ნივთი და უცებ ზღვაში გადავავდეთ. არ შეგვიძლიაო.

— იქნებ განცხადება გამოაკრათ.

— დიდად გმადლობთ რჩევისათვის. — მწარედ ჩაეცინა ჟოანს. — წადით.

მუშები წავიდნენ. მხოლოდ ზანგი შეჩერდა კართან: რა მოხდება როიალი მე რომ წავიღოო. გიტარის გარდა საკუთარი არაფერი ებადა ამ ქვეყანაზე. არადა, შეეძლო ეს ღამეში ნივთი სულ მუქთად ჩამოეხელო. მაგრამ უცებ გამოერკვა. სად დადგამს ამოდენა როიალს? არც სახლი აქვს და არც დაკვრა იცის.

ატირებული როზალია ქმარს მხარზე დაეყრდნო:

— ოჰ, ჟოან, საშინელი რამ განგიზრახავს.

— აბა, რა ვქნათ, როიალი სხვასაც არ უნდა და ჩვენც ხელს გვიშლის.

— ცოლო, ჟოან. ის ხომ სულ აქ იდგა, ჩვენი ოჯახის განუყოფელი ნაწილი იყო, ახლა კი ზღვაში გადავავდეთ? შეხედე ერთი, რა მშვიდად დგას, არავისთვის ცუდი არ გაუქვთებია...

— დამშვიდდი, როზალია...

— კარგი, ჟოან, როგორც გინდა, ისე მოიქეცი.

პინტოს პლაჟსა და ლატოლანდის ბორცვზე ერთმანეთს მიკვროდნენ ღარიბული ქოხები. მდიდართა კვარტალებს სწორედ ამ ქოხებიდან ესხმიან თავს ჩამოდინილი, მაგრამ მხიარული შავი ბიჭები. ისინი გამვლელებს ფეხებში ებღანდებოდნენ, ხან მოწყალებას თხოვლობდნენ, ხან კინოს შესასვლელთან ფუთფუთებდნენ, ხან

პირდაღებული შესცქერიან ათასფრად მოკიაფე რეკლამებს, ხანაც პლაჟზე. ქვიშაზე სრილით ირთობენ თავს.

როიალი კუთხეში იდგა კვლავინდებურად მშვიდი და კვლავინდებურად დიდებული თავისი უბრალოებით. მის გასატანად ემზადებოდნენ.

ჟოან დე ოლივეირამ ცოლ-შვილს უთხრა, როიალს გამოსადევი ნაწილები მოაძრეთო. მართლაც ააგლიჯეს ბრინჯაოს შანდლები, ლითონის მორთულობანი, სატერფულები.

ზანგი ბიჭები, ჟოანმა ცოლ-შვილის ნამალავად რომ დაიჭირავე, მოუთმენლად ცმუტავდნენ კარსუკან. ოლივეირამ უბრძანა, ჯერ ღონიერები შემოდითო.

ხუთის ნახევარზე როიალის გამოტანა დაიწყეს. ქუჩაში ხალხის ტალღა ტორტმანებდა, როიალი ჯიკავ-ჯიკავით მიიწევდა წინ. ცნობისმოყვარენი ახლო მიდიოდნენ. როზალია და სარიტა აივნიდან გაჰყურებდნენ თავიანთ როიალს, ძალა არ ეყოთ გასაცილებლად გაჰყვოდნენ უკანასკნელ გზაზე. მოახლე წინსაფრით იშმენდდა ცრემლიან თვალებს.

— ახლა საით წავიღოთ? — მუშებს უნდოდათ კუბოსავით შეედგათ მხარზე, მაგრამ ვერ ზიდეს, ლამის დაანარცხეს მიწაზე.

— ახლა საით? — კვლავ იკითხეს ბიჭებმა.

— ზღვაში! — გემის კაპიტანივით ბრძანა ოლივეირამ და ატლანტის ოკეანისაკენ გაიშვირა ხელი.

ამის თქმა იყო და პატარა მტვირთავები ერთბაშად აყიყინდნენ, მიხვდნენ ზღვაში გადასადგებ ნივთს მიათრევდნენ და გამზიარულდნენ, თან დოლის აბრაზებდნენ, რომელიც უკან მოსდევდათ, ყურისწამლებად ყეფდა და როიალზე შეხტომას ლამობდა.

— ღმერთო, ეს რა არის, როიალი? — ერთმანეთს ეკითხებოდნენ აივნიებზე გამოფენილი ქალიშვილები.

სადაცაა პლაჟიც უნდა გამოჩენილიყო.

— ოთხმოცდამეფორთმეტე სახლიდან გამოიტანეს ეს როიალი! — ირგვლივ მოჯარულ ხალხს აუწყა ერთმა ბიჭმა.

— სარას სახლიდან?

— ჰო, ჟოან დე ოლივეირას სახლიდან.

ერთმა ნაცნობმა კაცმა ჟოანს გაკვირვებით ჰკითხა:

— რა მოხდა, ჟოან, რას ჩადი?

— არაფერიც არ მოხდა, ჩემი საქმისა მე ვიცი. ხელს ნუ მიშლი.

— კი მაგრამ, რატომ არ გაყიდე?

— დიხაც რომ ვყიდი, ზღვას უნდა მივყიდიო. — მერე მუშებს მიუბრუნდა: — მარცხ-

ნივ. ბიჭებო, ფრთხილად ხელიდან არ გაგვივარდეთო. როიალი კვლავ უჩვენებდა ვიტი მიიწევდა წინ. ცნობისმოყვარე ონავარი ბიჭი სახურავქვეშ ხელს გაუს-გამოუსვამდა სიმებს და როიალის უკანასკნელი ამონახრინწივ ყრუხანტელის მარმვკრულად ეფინებოდა არემარე.

— სენიორ, როიალს ხომ არ ყიდი?

— არა, სენიორა, არ ვყიდი. გაჩუქებთ, გინდათ?

აივნიზე გადმომდგარი ქალი გაწითლდა და გამწყრალი შევიდა შინ. ჟოან დე ოლივეირა კი გამვლელებს ეკითხებოდა:

— როიალი ხომ არ გინდათ?

როიალი ჭიანჭველებშემოჯარულ შავ ხოჭოს ჰგავდა, იგი ჯიუტად მიიწევდა ზღვისაკენ.

— ნამდვილად სიგიჟეა! — იყვირა ვილაცამ რომელიღაც აივნიდან.

— სიგიჟე? — ბრაზით ახედა ჟოანმა. — მაშინ ჩამოდი და წაიღეთ!

ქუჩა ხალხით აივსო, ფანჯრებში და აივნიებზეც ტევა არ იყო. ყველა ერთი და იგივეს გაიძახოდა, სიგიჟეაო, ყველას უნდოდა როიალი, მაგრამ როგორც კი ჟოან დე ოლივეირა შესთავაზებდა, მუქთად წილდეთო, შეცბუნებულები უარზე დგებოდნენ. ასე უცბად, მოუშხადებლად როიალს ვინ წაიღებს!

უცებ მკახე ხმა გაისმა და პროცესიაც შეჩერდა. პოლიციელები მოტოციკლეტებით გასს შემოხევივნენ როიალს. ჟოანს საბუთები მოსთხოვეს. ისიც შინ გაიქცა მოსატანად. რას იზამდა ომი იყო და პოლიციელთა მოთხოვნაც კანონიერად მიიჩნია. თუმცა ისიც მოახსენა წესრიგის დამცველთ, ვალდებული არა ვარ, ყველას ავუნსნა საქმის ვითარება, საკუთარ ქონებას როგორც მინდა, ისე მოვქეცვიო. მერე როიალს გადაუსხა ხელი და გულაჩუყებული მოჰყვა მის ამბავს.

— ძველებურია, ასეთს სად იშოვი ახლა. ოჯახის პაპის საკუთრება გახლდათ, იმ კაცის საკუთრება, ვინც იმპერიის სახსურში დალია სული. დამიჯერეთ, კარგი როიალია. მასზე ცნობილი მუსიკოსები უკრავდნენ. შოპენის ნაწარმოებთა დასაკრავად ამაზე უკეთესს ვერასდ ნახავთ. ეჰ. ახლა აღარავის ჭირდება, აღარავის მოსწონს... დროება იცვლება. ჩემი ქალიშვილი სარა თხოვდება, სიმე ჩვენთან იცხოვრებს. ვიწროდ ვართ, რას იზამ, როიალი არავინ წაიღო, სხვა გზა არ მქონდა... — და ჟოანმა ზღვისაკენ გაიშვირა ხელი.

ჟოან ოლივეირას სასო წარკვეთოდა. პატარა მტვირთავები უკმაყოფილოდ ცმუკავდ-



ნენ, ერთი სული ჰქონდათ ენახათ, ზღვაში როგორ ჩაიძირებოდა როიალი.

პოლიციელებმა როიალი გულდასმით დაათვალიერეს შიგნიდანაც და გარედანაც. საექვო ვერაფერი იპოვნეს, ყოანს საბუთები დაუბრუნეს და შეუღორინეს, მალე მორჩი მავ საქმეს, ქუჩაში მანქანების მოძრაობა ნუ შეაფერხებო.

ხალხი კვლავ შეჩვეულყო. ვიღაცამ ფოტოაპარატიც გააჩნაქუნა. ყოან დე ოლივეირა ალბათ „დამწუხრებულ პოზაში“ გამოვა თავისი როიალის გვერდით.

მალე დაბინდა, უბნის პოლიციელმა გამოაცხადა, საღამოს ექვსი საათის შემდეგ აკრძალულია სანაპიროზე გასვლა. მამასადამე, ეს საქმეც ხვალისათვის გადაიდო; მამასადამე, ზღვამ ხვალამდე უნდა მოიცადოს.

ხანგი ბიჭები მიმოიფანტნენ, არა უშავს, ხვალ მიიღებენ გასამრჯელოს!

როიალი მარტოდ მარტო, დაფერდებული იდგა ღამის სიბნელეში.

გამთენიისას ოლივეირა და მისი ცოლი საავტორო ხმაურმა გამოაღვიძა. ქარის ზუზუნი და წვიმის თქაფუნი ტალღების მზუილს უერთდებოდა. შუქი ანთეს.

როიალზე ვფიქრობდი, როზალია.

— მეც, ყოან, საბრალო, დგას ახლა წვიმაში, სიცოცხეში...

— წყალი ჩადის ალბათ, სიმებსაც გააფუჭებს, შიგ ჩაფენილ ნატსაც. რა საშინელებაა, არა, როზალია?

— უმადურები ვართ, ყოან.

— გაჩუმდი, როზალია.

ქარი ხეებს ეხეთქებოდა, ელვა კვეთდა ცას. ყოანს ჩაეძინა, მაგრამ მალე გაახილა თვალი შემფოთებულმა:

— როზალია, სიზმარი ვნახე, რომ იცოდე რამდენი ხელი დამესიზმრა: ბებიჩემის, დედაჩემის, დედაჩემების, შენი, სარას ხელები. ყველანი თეთრ კლავიშებზე დასრიალებდნენ. არასოდეს მსმენია ასეთი ღვთიური მუსიკა. დედაჩემი და მამაჩემი ვნახე. ახალგაზრდები იყვნენ, შეყვარებულები, მუსიკას უსმენდნენ, მამა რალაცას ეჩურჩულებოდა მთლად სახეანთებულ დედაჩემს, ალბათ ცოლად გამოყვევო, თხოვდა. ყველანი ზიზლით შემომცქეროდნენ. მერე ვიღაცამ სამგლოვიარო მარში დაუკრა, როიალი თვითონ დაიხურა და სადღაც გასრიალდა. ვუყვირე, დაბრუნდი-მეთქი, მაგრამ გაბრაზებულმა ყურაც არ მათხოვა...

— როზალია, სიზმარი ვნახე, რომ იცოდე რამდენი ხელი დამესიზმრა: ბებიჩემის, დედაჩემის, დედაჩემების, შენი, სარას ხელები. ყველანი თეთრ კლავიშებზე დასრიალებდნენ. არასოდეს მსმენია ასეთი ღვთიური მუსიკა. დედაჩემი და მამაჩემი ვნახე. ახალგაზრდები იყვნენ, შეყვარებულები, მუსიკას უსმენდნენ, მამა რალაცას ეჩურჩულებოდა მთლად სახეანთებულ დედაჩემს, ალბათ ცოლად გამოყვევო, თხოვდა. ყველანი ზიზლით შემომცქეროდნენ. მერე ვიღაცამ სამგლოვიარო მარში დაუკრა, როიალი თვითონ დაიხურა და სადღაც გასრიალდა. ვუყვირე, დაბრუნდი-მეთქი, მაგრამ გაბრაზებულმა ყურაც არ მათხოვა...

— როზალია, სიზმარი ვნახე, რომ იცოდე რამდენი ხელი დამესიზმრა: ბებიჩემის, დედაჩემის, დედაჩემების, შენი, სარას ხელები. ყველანი თეთრ კლავიშებზე დასრიალებდნენ. არასოდეს მსმენია ასეთი ღვთიური მუსიკა. დედაჩემი და მამაჩემი ვნახე. ახალგაზრდები იყვნენ, შეყვარებულები, მუსიკას უსმენდნენ, მამა რალაცას ეჩურჩულებოდა მთლად სახეანთებულ დედაჩემს, ალბათ ცოლად გამოყვევო, თხოვდა. ყველანი ზიზლით შემომცქეროდნენ. მერე ვიღაცამ სამგლოვიარო მარში დაუკრა, როიალი თვითონ დაიხურა და სადღაც გასრიალდა. ვუყვირე, დაბრუნდი-მეთქი, მაგრამ გაბრაზებულმა ყურაც არ მათხოვა...

— როზალია, სიზმარი ვნახე, რომ იცოდე რამდენი ხელი დამესიზმრა: ბებიჩემის, დედაჩემის, დედაჩემების, შენი, სარას ხელები. ყველანი თეთრ კლავიშებზე დასრიალებდნენ. არასოდეს მსმენია ასეთი ღვთიური მუსიკა. დედაჩემი და მამაჩემი ვნახე. ახალგაზრდები იყვნენ, შეყვარებულები, მუსიკას უსმენდნენ, მამა რალაცას ეჩურჩულებოდა მთლად სახეანთებულ დედაჩემს, ალბათ ცოლად გამოყვევო, თხოვდა. ყველანი ზიზლით შემომცქეროდნენ. მერე ვიღაცამ სამგლოვიარო მარში დაუკრა, როიალი თვითონ დაიხურა და სადღაც გასრიალდა. ვუყვირე, დაბრუნდი-მეთქი, მაგრამ გაბრაზებულმა ყურაც არ მათხოვა...

— როზალია, სიზმარი ვნახე, რომ იცოდე რამდენი ხელი დამესიზმრა: ბებიჩემის, დედაჩემის, დედაჩემების, შენი, სარას ხელები. ყველანი თეთრ კლავიშებზე დასრიალებდნენ. არასოდეს მსმენია ასეთი ღვთიური მუსიკა. დედაჩემი და მამაჩემი ვნახე. ახალგაზრდები იყვნენ, შეყვარებულები, მუსიკას უსმენდნენ, მამა რალაცას ეჩურჩულებოდა მთლად სახეანთებულ დედაჩემს, ალბათ ცოლად გამოყვევო, თხოვდა. ყველანი ზიზლით შემომცქეროდნენ. მერე ვიღაცამ სამგლოვიარო მარში დაუკრა, როიალი თვითონ დაიხურა და სადღაც გასრიალდა. ვუყვირე, დაბრუნდი-მეთქი, მაგრამ გაბრაზებულმა ყურაც არ მათხოვა...

— როზალია, სიზმარი ვნახე, რომ იცოდე რამდენი ხელი დამესიზმრა: ბებიჩემის, დედაჩემის, დედაჩემების, შენი, სარას ხელები. ყველანი თეთრ კლავიშებზე დასრიალებდნენ. არასოდეს მსმენია ასეთი ღვთიური მუსიკა. დედაჩემი და მამაჩემი ვნახე. ახალგაზრდები იყვნენ, შეყვარებულები, მუსიკას უსმენდნენ, მამა რალაცას ეჩურჩულებოდა მთლად სახეანთებულ დედაჩემს, ალბათ ცოლად გამოყვევო, თხოვდა. ყველანი ზიზლით შემომცქეროდნენ. მერე ვიღაცამ სამგლოვიარო მარში დაუკრა, როიალი თვითონ დაიხურა და სადღაც გასრიალდა. ვუყვირე, დაბრუნდი-მეთქი, მაგრამ გაბრაზებულმა ყურაც არ მათხოვა...

— როზალია, სიზმარი ვნახე, რომ იცოდე რამდენი ხელი დამესიზმრა: ბებიჩემის, დედაჩემის, დედაჩემების, შენი, სარას ხელები. ყველანი თეთრ კლავიშებზე დასრიალებდნენ. არასოდეს მსმენია ასეთი ღვთიური მუსიკა. დედაჩემი და მამაჩემი ვნახე. ახალგაზრდები იყვნენ, შეყვარებულები, მუსიკას უსმენდნენ, მამა რალაცას ეჩურჩულებოდა მთლად სახეანთებულ დედაჩემს, ალბათ ცოლად გამოყვევო, თხოვდა. ყველანი ზიზლით შემომცქეროდნენ. მერე ვიღაცამ სამგლოვიარო მარში დაუკრა, როიალი თვითონ დაიხურა და სადღაც გასრიალდა. ვუყვირე, დაბრუნდი-მეთქი, მაგრამ გაბრაზებულმა ყურაც არ მათხოვა...

— როზალია, სიზმარი ვნახე, რომ იცოდე რამდენი ხელი დამესიზმრა: ბებიჩემის, დედაჩემის, დედაჩემების, შენი, სარას ხელები. ყველანი თეთრ კლავიშებზე დასრიალებდნენ. არასოდეს მსმენია ასეთი ღვთიური მუსიკა. დედაჩემი და მამაჩემი ვნახე. ახალგაზრდები იყვნენ, შეყვარებულები, მუსიკას უსმენდნენ, მამა რალაცას ეჩურჩულებოდა მთლად სახეანთებულ დედაჩემს, ალბათ ცოლად გამოყვევო, თხოვდა. ყველანი ზიზლით შემომცქეროდნენ. მერე ვიღაცამ სამგლოვიარო მარში დაუკრა, როიალი თვითონ დაიხურა და სადღაც გასრიალდა. ვუყვირე, დაბრუნდი-მეთქი, მაგრამ გაბრაზებულმა ყურაც არ მათხოვა...

— როზალია, სიზმარი ვნახე, რომ იცოდე რამდენი ხელი დამესიზმრა: ბებიჩემის, დედაჩემის, დედაჩემების, შენი, სარას ხელები. ყველანი თეთრ კლავიშებზე დასრიალებდნენ. არასოდეს მსმენია ასეთი ღვთიური მუსიკა. დედაჩემი და მამაჩემი ვნახე. ახალგაზრდები იყვნენ, შეყვარებულები, მუსიკას უსმენდნენ, მამა რალაცას ეჩურჩულებოდა მთლად სახეანთებულ დედაჩემს, ალბათ ცოლად გამოყვევო, თხოვდა. ყველანი ზიზლით შემომცქეროდნენ. მერე ვიღაცამ სამგლოვიარო მარში დაუკრა, როიალი თვითონ დაიხურა და სადღაც გასრიალდა. ვუყვირე, დაბრუნდი-მეთქი, მაგრამ გაბრაზებულმა ყურაც არ მათხოვა...

— როზალია, სიზმარი ვნახე, რომ იცოდე რამდენი ხელი დამესიზმრა: ბებიჩემის, დედაჩემის, დედაჩემების, შენი, სარას ხელები. ყველანი თეთრ კლავიშებზე დასრიალებდნენ. არასოდეს მსმენია ასეთი ღვთიური მუსიკა. დედაჩემი და მამაჩემი ვნახე. ახალგაზრდები იყვნენ, შეყვარებულები, მუსიკას უსმენდნენ, მამა რალაცას ეჩურჩულებოდა მთლად სახეანთებულ დედაჩემს, ალბათ ცოლად გამოყვევო, თხოვდა. ყველანი ზიზლით შემომცქეროდნენ. მერე ვიღაცამ სამგლოვიარო მარში დაუკრა, როიალი თვითონ დაიხურა და სადღაც გასრიალდა. ვუყვირე, დაბრუნდი-მეთქი, მაგრამ გაბრაზებულმა ყურაც არ მათხოვა...

— როზალია, სიზმარი ვნახე, რომ იცოდე რამდენი ხელი დამესიზმრა: ბებიჩემის, დედაჩემის, დედაჩემების, შენი, სარას ხელები. ყველანი თეთრ კლავიშებზე დასრიალებდნენ. არასოდეს მსმენია ასეთი ღვთიური მუსიკა. დედაჩემი და მამაჩემი ვნახე. ახალგაზრდები იყვნენ, შეყვარებულები, მუსიკას უსმენდნენ, მამა რალაცას ეჩურჩულებოდა მთლად სახეანთებულ დედაჩემს, ალბათ ცოლად გამოყვევო, თხოვდა. ყველანი ზიზლით შემომცქეროდნენ. მერე ვიღაცამ სამგლოვიარო მარში დაუკრა, როიალი თვითონ დაიხურა და სადღაც გასრიალდა. ვუყვირე, დაბრუნდი-მეთქი, მაგრამ გაბრაზებულმა ყურაც არ მათხოვა...

— როზალია, სიზმარი ვნახე, რომ იცოდე რამდენი ხელი დამესიზმრა: ბებიჩემის, დედაჩემის, დედაჩემების, შენი, სარას ხელები. ყველანი თეთრ კლავიშებზე დასრიალებდნენ. არასოდეს მსმენია ასეთი ღვთიური მუსიკა. დედაჩემი და მამაჩემი ვნახე. ახალგაზრდები იყვნენ, შეყვარებულები, მუსიკას უსმენდნენ, მამა რალაცას ეჩურჩულებოდა მთლად სახეანთებულ დედაჩემს, ალბათ ცოლად გამოყვევო, თხოვდა. ყველანი ზიზლით შემომცქეროდნენ. მერე ვიღაცამ სამგლოვიარო მარში დაუკრა, როიალი თვითონ დაიხურა და სადღაც გასრიალდა. ვუყვირე, დაბრუნდი-მეთქი, მაგრამ გაბრაზებულმა ყურაც არ მათხოვა...

— როზალია, სიზმარი ვნახე, რომ იცოდე რამდენი ხელი დამესიზმრა: ბებიჩემის, დედაჩემის, დედაჩემების, შენი, სარას ხელები. ყველანი თეთრ კლავიშებზე დასრიალებდნენ. არასოდეს მსმენია ასეთი ღვთიური მუსიკა. დედაჩემი და მამაჩემი ვნახე. ახალგაზრდები იყვნენ, შეყვარებულები, მუსიკას უსმენდნენ, მამა რალაცას ეჩურჩულებოდა მთლად სახეანთებულ დედაჩემს, ალბათ ცოლად გამოყვევო, თხოვდა. ყველანი ზიზლით შემომცქეროდნენ. მერე ვიღაცამ სამგლოვიარო მარში დაუკრა, როიალი თვითონ დაიხურა და სადღაც გასრიალდა. ვუყვირე, დაბრუნდი-მეთქი, მაგრამ გაბრაზებულმა ყურაც არ მათხოვა...

— როზალია, სიზმარი ვნახე, რომ იცოდე რამდენი ხელი დამესიზმრა: ბებიჩემის, დედაჩემის, დედაჩემების, შენი, სარას ხელები. ყველანი თეთრ კლავიშებზე დასრიალებდნენ. არასოდეს მსმენია ასეთი ღვთიური მუსიკა. დედაჩემი და მამაჩემი ვნახე. ახალგაზრდები იყვნენ, შეყვარებულები, მუსიკას უსმენდნენ, მამა რალაცას ეჩურჩულებოდა მთლად სახეანთებულ დედაჩემს, ალბათ ცოლად გამოყვევო, თხოვდა. ყველანი ზიზლით შემომცქეროდნენ. მერე ვიღაცამ სამგლოვიარო მარში დაუკრა, როიალი თვითონ დაიხურა და სადღაც გასრიალდა. ვუყვირე, დაბრუნდი-მეთქი, მაგრამ გაბრაზებულმა ყურაც არ მათხოვა...

— როზალია, სიზმარი ვნახე, რომ იცოდე რამდენი ხელი დამესიზმრა: ბებიჩემის, დედაჩემის, დედაჩემების, შენი, სარას ხელები. ყველანი თეთრ კლავიშებზე დასრიალებდნენ. არასოდეს მსმენია ასეთი ღვთიური მუსიკა. დედაჩემი და მამაჩემი ვნახე. ახალგაზრდები იყვნენ, შეყვარებულები, მუსიკას უსმენდნენ, მამა რალაცას ეჩურჩულებოდა მთლად სახეანთებულ დედაჩემს, ალბათ ცოლად გამოყვევო, თხოვდა. ყველანი ზიზლით შემომცქეროდნენ. მერე ვიღაცამ სამგლოვიარო მარში დაუკრა, როიალი თვითონ დაიხურა და სადღაც გასრიალდა. ვუყვირე, დაბრუნდი-მეთქი, მაგრამ გაბრაზებულმა ყურაც არ მათხოვა...

— როზალია, სიზმარი ვნახე, რომ იცოდე რამდენი ხელი დამესიზმრა: ბებიჩემის, დედაჩემის, დედაჩემების, შენი, სარას ხელები. ყველანი თეთრ კლავიშებზე დასრიალებდნენ. არასოდეს მსმენია ასეთი ღვთიური მუსიკა. დედაჩემი და მამაჩემი ვნახე. ახალგაზრდები იყვნენ, შეყვარებულები, მუსიკას უსმენდნენ, მამა რალაცას ეჩურჩულებოდა მთლად სახეანთებულ დედაჩემს, ალბათ ცოლად გამოყვევო, თხოვდა. ყველანი ზიზლით შემომცქეროდნენ. მერე ვიღაცამ სამგლოვიარო მარში დაუკრა, როიალი თვითონ დაიხურა და სადღაც გასრიალდა. ვუყვირე, დაბრუნდი-მეთქი, მაგრამ გაბრაზებულმა ყურაც არ მათხოვა...

მართა. ახლა მხოლოდ ერთი რამ უნდოდა, რაც შეიძლება მალე მოემთავრებინა დაწყებული საქმე.

ქარი ქროდა. ოქანე დულდა, ხეები ერთმანეთს ასკდებოდნენ. დღეს უფრო ნაკლები მუშახელი იშოვა ყოანმა. გუშინდელზე უფრო მძიმედ დაიძრა როიალი ზღვისაკენ. ააპა, მიუახლოვდა. ტალღის გრძელი ენა შეეხო კიდეც მის ფეხს.

ხალხი შორიდან ადევნებდა თვალს ამ სურათს. ბიჭებმა როიალს უბიძგეს ხელი. აგერ პირველი უზარმაზარი ტალღა თავს დაემხო როიალს, მაგრამ ადგილიდან ვერ დაძრა და აქეთ-იქით მიმოიფანტა, მეორემ ოდნავ შეაბორძიკა და ისიც კუდამოძუებული დაუბრუნდა ზღვას, მესამე კი მთელის ძალით ეკვეთა, საბრალო როიალს და თან გაიყოლა კიდეც სამუდამოდ.

ყოან დე ოლივეირა მხრებჩამოყრილი იდგა ზედ ზღვის პირას და ვერაფერს შეამჩნია რომ ის ტიროდა: ცრემლი და ტალღის მზუფები ერთნაირად დასდოდა სახეზე.

ყოანი თავჩაქინდრული ბრუნდებოდა შინ. ყველანი თანაგრძობით შესცქეროდნენ.

— როიალი აღარ არის, როზალია, სამუდამოდ დაგვტოვა.

— ტანსაცმელი გამოიცვალე, ყოან.

— ჩვენი როიალი აღარასოდეს დაგვიბრუნდება, როზალია.

— რალა თქმა უნდა, არ დაგვიბრუნდება. ამიტომ გადაავდე ზღვაში.

— ვინ იცის, იქნებ რომელიმე ნაპირზე გამოირიყოს.

— ამოითხრა სარამ.

— გვეყოფა, თავს ნუ ვიკლავთ ფიქრით, რაც იყო, იყო. ახლა შენი ოთახი უნდა დავალაგოთ სარა.

ყოან დე ოლივეირა ვერა და ვერ მშვიდდებოდა.

— ვხედავდი, ტალღებს როგორ ებრძოდა...

— გაყოფა-მეთქი!

— ერთი-ორჯერ ამოყვინთა კიდეც...

— გაჩუმდი, ნულარ ფიქრობ, ყოან.

— ყველას სულელი ვგონივარ ახლა, მე კი იქნებ ყველაზე ჰკვიანიცა ვარ მთელს კვარტალში... ნამდვილად მომესმა: რომ იძირებოდა, თვითონვე უტრავდა „სამგლოვიარო მარშს“.

— ეგ წუხელ ნახე სიზმარში, შეახსენა როზალიამ.

— არა, არა, გარკვევით მომესმა იქ. ნაპირზეც... მერე კი ზღვის ქაფმა დაფარა საცოდავი.

ყოანს ფიქრები არ შორდებოდა: „როიალი ალბათ ახლა შორს მიტურავს ჩაძირულ გემებს, წყალქვეშა ნაგებსა და თევზებს შორის, ზღვის ათას

საოცრებათა შორის. სულ ახლანახა კი აგერ ამ ოთახში იდგა. ოდესმე ალბათ რომელიმე კუნძულზე გამოირიყება და როცა მე, როზალია და სარაც კი აღარ ვიქნებით ამ ქვეყანაზე, იგი კვლავ მოიგონებს იმ მუსიკას, აქ. ჩვენს სახლში რომ უღერდა“.

სარიტამ ცარიელ ოთახს მოავლო თვალი. ფიქრებში წასული დიდხანს შესცქეროდა იმ ადგილს, სადაც თითქმის ოცი წელიწადი იდგა მათი როიალი. მაგრამ როიალი მალე გაქრა და მის ადგილას კვლავ კონტა, მონგრესებული საწოლი გამოჩნდა. უცებ კარზე ვიღაცამ დააკაკუნა და ქალიშვილიც ფიქრებდან გამოერკვა: ყოან დე ოლივეირას პოლიციაში იზარებდნენ. იქ თურმე დაექვებულან როიალზე იქნებ რადიოგადამცემი აპარატი იყო მოწყობილი და სხვაფერად რომ ვერ მოახერხა კვალის დაფარვა, როიალიანად გადაავლო ზღვაში. რას იზამ, ომია და ათას რამეს ფიქრებს კაცი.

თითქმის მთელი დღე დაჰყო ყოანმა პოლიციაში. შინ გვიან დაბრუნდა.

— ეს არის, ცხოვრება? — ულონოდ ჩაეშვა სავარძელში.

— ეს არის ცხოვრება? კაცს საკუთარი ნივთი, ვერ გადაუგდია ზღვაში! არა, ისე რომ დარწმუნდი, როზალია, რა ძნელი ყოფილა ძველ ნივთებთან გამოთხოვება? ფესვები აქვთ მათ და იმიტომ...

— მარტო ძველ ნივთებთან კი არა, ძველ შეხედულებებთანაც.

დოლი იმ ადგილს ყნოსავდა. სადაც როიალი იდგა. მერე საცოდავად დაიწქმტუნა. მობუზული მიწვა და დაიძინა. კვლავ აწკრილდა ხარი. პორტის სამმართველოდან გახლავართო, თქვა მოსულმა კაცმა და ჩანთიდან რალაც ქალღმებრი ამოალაგა.

— ყოან დე ოლივეირა თქვენა ხართ?

— მე ვახლავართ.

— სენიორ, დღეს ზღვაში რა გადაავდეთ?

— ოლივეირა დაიბნა:

— კი მაგრამ, აქ ხომ პორტი არ არის...

— თქვენ, მგონი, ქკუას მასწავლით! განა არ იცით, რომ ახლა აკრძალულია ზღვაში გადავდოთ ყველაფერი, რაც მოგესურვებთ? ნებართვა გაქვთ. სენიორ? განა დაგვიწყდათ, რომ ახლა ომია და ჩვენი სანაპირო დატული უნდა იყოს. რომ ნაოსნებს არ სძინავთ?

— კი მაგრამ, ძვირფასო სენიორ, მე ხომ როიალი გადავავდე და მეტი არაფერი!

— რა მნიშვნელობა აქვს, რა გადაავდეთ! ისე, ვინ იცის. მართლა როიალი იყო? დარწმუნებული ხართ, სენიორ, რომ როიალი იყო.

— დიას, მგონი დასრულდა ბული ვარ. — კინაღამ ეპარა შეშინებულ ოლივეირას. — როზალია, სარა, როიალი იყო, ხომ?

— რა მოვდის, ყოან? განა შენ არ იცი, რომ როიალი იყო?

— მე მეგონა, ზღვაში ყველაფრის გადავდებ შეიძლებოდა.

— რას ბობანებთ. სენიორ! რალა გვიკირს მაშინ...

— მე რომ გადავვარდნილიყავი ზღვაში, შეიძლებოდა? — უცნაურად აუეღვარდა თვალები ოლივეირას.

— გააჩნია, ვინ, დაიბნა პორტის მოხელე.

— გააჩნია ვინ მომცემდა უფლებას? მე თავისუფალი ადამიანი ვარ და როგორც მინდა, ისე მოვექცევი საკუთარ სიცოცხლეს.

— არც ისე თავისუფალი ხართ, როგორც გგონიათ, გამოერკვა მოხელე.

სარიტას უცებ ღიმილა გაუნათა სახე: თავის ლეიტენანტს კარტაში შეეგება და გადაეხვიდა.

— აი, ძვირფასო, ჩვენი ოთახი, ახლა ხომ მოგწონს, ლუის?

— კი, ახლა მომწონს, მაგრამ ახალს სად დავდებამ?

— ახალს?

— პო, ახალს, განა როიალს არ ყიდულობთ?

სარამ და როზალიამ ერთმანეთს გადახედეს.

მთელი სიცოცხლე როიალზე ვოცნებობ. გამოტყდა სასიძო, — ვერ წარმოიდგენო, როგორ მომენატრა ერთი კარგი მუსიკის მოსმენა. ქვემეხებმა, თავი მომაბეზრეს, ყურთასმენა აღარ არის მათი გრუხუნ-გრაილისაგან.

სარამ ჩაანველა: ყოან დე ოლივეირა კარისაკენ გაემართა. სული ეხუთება, ქაერზე თუ არ გაეიდა, დაარჩობა.

ნეტავ, რად გადაავდო? ახლა ალბათ შორს მიტურავს, სამზოეთის ზღვებისაკენ... ის თავისუფალია, ყოანზე, სარაზე, როზალიაზე თავისუფალი, როიალი თავისი ბედის შესანკვედრად გაემართა, აქამდე ოჯახს ეკუთვნოდა, ახლა კი თავისუფალია, ამაყი, აქამდე ერთადგალს არ მოშორებია, ახლა კი მსოფლიოს ზღვებს მოივლის... ნეტავ რად გადაავდო?

ვიღაცამ კიშკარი გამოაღო და მასპინძელი იკითხა. ყოანმა სიბნელეში ძლივს იცნო ებრაელი. მაგრამ ვერა და ვერ გაიგო, რა უნდოდა მოსულს: რალაც საქმის წამოწყებას სთავაზობდა და წამდაუწუმ ასხენებდა როიალს.

— როიალი? რომელი როიალი?..

თარგმან ელვა ახვლდინანა

ქვეყნისთვის

თუ

დაბეზობილი კომუნისკა

1989 წლის დასაწყისში ბათუმში იმყოფებოდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკი ამბ. მალკოვი, რომელსაც ნახსადგურის მეზღვაურთა კლუბში შეხვედრა მოეწყვეთ.

სტუმარს, მისგან პატარა ინფორმაციის მიღების შემდეგ, შეკითხვებით მიემართეთ. ჩემი შეკითხვა კოოპერატივებს ეხებოდა და დაახლოებით ასეთი იყო: დადგენილების საფუძველზე ყველგან შეიქმნა კოოპერატივები. ჩვენს ქალაქში გაჩნდა ოთხი სახაშე, სადაც ერთი ულუფა ორნახევარი, სამი და ხუთი მანეთიც კი ღირს. რამდენად მართალია, არ ვიცი, მაგრამ ქალაქში გავრცელდა ხმები, რომ მეხაშე-კოოპერატივები სახაშე მასალას კრასნოდარის და სტავროპოლის მხარეებში ყიდულობენ კილოგრამს 50-60 კაპიკად. ხომ არ გვაქვს ამ შემთხვევაში საქმე ნებადართულ სპეკულაციასთან?

ამბ. მალკოვიმ გადაწყვეტი პასუხი ვერ გამცა ამაზე, მხოლოდ რაღაც მიკიბმოკიბა... მგონი, ეს ის მალკოვია, რომელიც დღეს პარტიის ჩიტიის საოლქო კომიტეტს უდგას სათავეში. ხომ დიდი ნახტომია?

ამ რამდენიმე ხნის წინათ ბათუმში იმყოფებოდა ქალბატონი კირა ალექსის ასული კორნიენკოვა — საზოგადოება „ედინსტვოს“ აქტიური წევრი, რომლისგანაც გავიგე, რომ კოოპერატივები ჩვენში თურმე 1964 წელსაც ყოფილა, მაგრამ ისინი კანონის ძალით სხვა მიმართულებით მუშაობდნენ.

ქალაქის საჯარო ბიბლიოთეკის არქივში მივაკვლიე 1946 წლის 13 ნოემბრის გაზეთ „კომუნისტს“. ვკითხულობ: „გავაჩალოთ კოოპერაციული ვაჭრობა ქალაქებში. გავადიდოთ ფართო მოხმარების საქონლის წარმოება“. როგორც ხედავთ, თურმე ჯერ საქონლის წარმოება ევალებოდა კოოპერატივებს და მხოლოდ შემდეგ მისი რეალიზაცია. 1946 წლის 9 ნოემბერს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღო განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის დადგენილება „ქალაქებში და დაბებში სურსათის და სამრეწველო საქონლის ვაჭრობის გაჩაღებისა და კოოპერაციული საწარმოების მიერ სურსათისა და ფართო მოხმარების საქონლის წარმოების შესახებ“. როგორც ვხედავთ იტყობინება, ეს დადგენილება მიმართულია იქითკენ, რომ გამოვიყენოთ ისეთი უაღრესად სერიოზული სახელმწიფოებრივი წყარო, როგორც არის ქალაქებსა და მუშათა დაბებში კოოპერაციული ვაჭრობის გაჩაღება სახელმწიფო ვაჭ-

რობასთან ერთად. აი თურმე როგორ ყოფილა საქმე. არ მეგულება დასავლეთ საქართველოში ქალაქი ან დაბა, სადაც სახელმწიფო ვაჭრობის რომელიმე წერტილში ხაშა ყიდდნენ და თუ ასეთი რამ სინამდვილეს შეიცავს, იქ შემსვლელთა რიცხვი თითქმის იქნება ჩამოსათვლელი. რატომ? მგონი მკითხველი ვაიგებს:

იმავე გაზეთის მოწინავე აგრძელებს: „სამრეწველო კოოპერაციამ არსებითად ვაჭრობა შეწყვიტა და თავისი როლი სახელმწიფოსაგან მიღებული დეფიციტური საქონლის განაწილებით განსაზღვრა. სარეწაო კოოპერაცია, როგორც წესი, თავის პროდუქციას საკუთარ მაღაზიებში და ფარდულებში არ ყიდის. ამიტომ მან კავშირი მომხმარებლებთან დაკარგა...“

ძალიან გამაკვირვა გაზეთ „სოვეტსკაია ტროგოვლიას“ კორესპონდენტმა ი. ჩერუბანოვმა, რომელიც 1990 წლის 9 ივნისის ნომერში ასეთ რამეს წერს: „კოოპერატივები ახალი მოვლენა ჩვენს ცხოვრებაში, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ნების მოკლე პერიოდს“. სანამდე უნდა ვატყუოთ მშრომელი ხალხი? ვის არგებს ასეთი ცრუ მტკიცება?

ამ რამდენიმე წლის წინათ ჩვენი სახელმწიფოს ერთ-ერთი ლიდერი რიგაში იმყოფებოდა, სადაც მოინახულა გიგანტი „ვეფი“ და განცვიფრდა, როცა შეიტყო, თუ როგორ ამარაგებდა საწარმოს მუშა-მოსამსახურეებს სასადილო-კომბინატი პროდუქტებით. ვილაცას წამოსცდა, რომ ამ დიდ და საშვილიშვილო საქმეს კოოპერატივი ხელმძღვანელობდა, მაგრამ იმის თქმა დაავიწყდა, რომ ის კოოპერატივი ათასობით ძროხას, ღორსა და ქათამს უვლის. გარდა ამისა, კოოპერატივს აქვს ათობით ჰექტარი სავარგული, სადაც ბაჩხეული მოჰყავს. მგონი სწორედ ასეთ კოოპერატივებზე იყო საუბარი 1946 წელს მიღებულ დადგენილებაში. ეკონომისტი არა ვარ და ამიტომ ვერც ზუსტად გამოვიანგარიშებ ყველაფერს, მაგრამ ერთი რამ ექვს არ იწვევს: ბრუშჩოვისა და ბრეჟნევის პერიოდებს შეჩვეული რარიგ პატიოსანი კოოპერატივიც უნდა იყოს. თუ მან ათი ტონა ხორცი თავის სავარგულზე აწარმოა, ერთ ხუთ-ექვს ტონას სახელმწიფო საწყობიდან მაინც დაუმატებს. კილოგრამი 4-5 მანეთიც რომ დაუჯდეს. ყველამ ვიცით, რომ ერთი კილოგრამი გაყინული ხორციდან 5-6 მწვადი გამოდის, რომლის ფასი სამ მანეთს შეადგენს. ზუსტად ამაზე ამხედრდა თავის დროზე სა-

კავშირო მინისტრი გოსტევი. რისთვისაც უმაღლესი ხარისხის მსახურის მსახურის უწყისათვის ცნობილია, თუ როგორ უნდა უნდა გამოუცხადოს მისი პოზიცია ასეთ კოოპერატივებს, მაგრამ ისინი კვლავ ხელშეუხებელი არიან. იმავე ლიდერმა ლენინგრადში ყოფნისას ასეთი განმარტება მისცა ხალხს, თუ არ მოგწონთ კოოპერატივები, აიღეთ და დახურეთო. ასეთი „დახურვა“ უპირველესად ეხებოდა სასურსათო კოოპერატივებს. დანარჩენს რა ეშველება? მაგალითად, ბინის შემკეთებელ, ფეხსაცმლისა და ტანსაცმლის დამამზადებელ კოოპერატივებს? ხომ ყველასათვის ცნობილია, რომ ჩვენში იშვიათად თუ იშვით მაღაზიაში ცემენტს, რკინის მილებს, საღებავებს, შპალერს, სილა კი საერთოდ არ იყიდება. ისმება კანონიერი კითხვა: საიდან მოაქვთ კოოპერატივებს ეს დეფიციტი? და პასუხიც მზად არის — სახელმწიფოდან. ამის შედეგად კი ჩვენში იზრდება გაკვიანურებულ მშენებლობათა რიცხვი.

გაზეთ „სოვეტსკაია ლატვიას“ მონაცემებით ასე იოლად დაგროვილ დიდ თანხას კოოპერატივები მყარ საგნებად აქცევენ — ყიდულობენ სახლებს, კაპიტალურ აგარაკებს, ძვირფას უცხოურ ავტომანქანებს, ოქროსა და ვერცხლს. მაგრამ ცხოვრება თავისას აკეთებს. ამასთან დაკავშირებით გამარჯვება მკვლელთა, სახლებისა და კოოპერატივების ქონების დაწვადებუვა. რუსეთში ასეთი რამ თითქმის ყოველ საათში ხდება. ჩვენც ვადმოვიღეთ მათი მაგალითი... ამას წინათ ფოთში ასეთმა რეკეტებმა საიქიოს გაისტუმრეს ცოლშვილიანი ახალგაზრდა კოოპერატორი. ამაზე მეტი უბედურება საქართველოში ყოფილა როდისმე? აი სადამდე მივკვივანა ცულად გაანგარიშებულმა ექსპერიმენტმა.

ქურნალ „დროში“ წავიკითხე: „დღევანდელი კოოპერაციული მოძრაობის საწყისსავე ეტაპზე უკვე იმძლავრეს კაფერესტორნების ისეთმა ორგანიზატორებმა, რომლებიც სურსათის გაზრდისათვის კი არ ზრუნავენ, არამედ მარტოოდენ საკუთარი ჯიბისათვის და ისიც ზოგჯერ ჩვენი ჯანმრთელობის ხარჯზე. საკუთარი სასოფლო-სამეურნეო წარმოების გამართვისა და მოგვარების ნაცვლად, ისინი პროდუქტებს სახელმწიფო ფასად ყიდულობენ მაღაზიებში, მერე კი თვითონვე ჰყიდიან ნებისმიერი ფასებით“.

კარგი ანალიზია მდგომარეობისა, მაგრამ ქურნალს ერთში ვერ დავეთანხმები: პროდუქტებს მაღაზიებში კი არ ყიდულობენ (იქ ხომ საერთოდ არაფერია გასაყიდი!), არამედ საწყობებიდან ეზიდებიან...

ვინმეს არ ეგონოს, რომ კოოპერატივების წინააღმდეგი ვარ. არა და არა! სულითა და გულით ვუჭერ მხარს მხოლოდ „ვეფისებურ“ კოოპერატივებს.

გეკითხებით ყველას: რა ბედი ეწია 1946 წელს ჩამოყალიბებულ კოოპერატივებს? თუ დაიშალა რა მიზეზით და რის საფუძველზე? ჩემი აზრით, მთავრობა მიხვდა, რომ მდიდრებისა და ლარიზების ერთ ქუჩაზე ცხოვრება შეუძლებელი გახდა და თავის მიერ დაშვებულ შეცდომა დროულად გამოასწორა!

შუანგი. სინარულიძე,
დღილი საგაშუალო ომის მონაწილე,
თადარიგის პოლკოვნიკი.



1989 წლის 3 დეკემბერს გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნდა სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების იჯარის (უნდა იყოს — არენდის) კანონმდებლობის საფუძვლები. ვფიქრობ, ქართულ თარგმანში შეგნებულად გზახსნილი ტერმინოლოგიური შეცდომა მეტისმეტად დააბრკოლებს ამ კანონმდებლობის საფუძვლების ჯერ სრულყოფილად აღქმას, შემდეგ კი მის გატარებას ცხოვრებაში, ამიტომ ვიდრე ვითარების გამოსწორება ჯერ კიდევ შეიძლება, ამასთან დაკავშირებით გამოვთქვამ პრინციპულ მოსაზრებას.

უპირველეს ყოვლისა, აღვნიშნავ, რომ ტერმინოლოგიური აღრევა სათავეს იღებს ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის რვატომეულისა და რუსულ-ქართული ლექსიკონის სამტომეულში. ამ გამოცემებში, რომ დიდი როლი შეასრულეს (და კვლავაც ასრულებენ) ქართული ენისა და კულტურის განვითარებაში, რა თქმა უნდა, უდავო ჭეშმარიტებაა. ამასთან ქართული სალექსიკონო კულტურის ერთგვარი ჩამორჩენით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ ამ ბოლო წლებში მათ საფუძველზე გამოცემულ ერთტომეულებში მექანიკურად მეორდება ნებისა თუ უნებლიეთ ადრე გაბარული შეცდომები.

ამგვარად მხოლოდ ორ ტერმინს — არენდას და იჯარას შევეხები და პირდაპირ ვიტყვი: არენდა და იჯარა ერთიდაიგივე არ არის, მათ შორის დიდი განსხვავებაა. პირველი პოლონურიდან მომდინარეობს, მეორე კი — არაბულიდან. როგორც ჩანს, ზოგიერთს ადრეც ეგონა და ახლაც ჰგონია, რომ არენდა რუსულიდან შემოვიდა და ქართულად იჯარას ნიშნავს. სამწუხაროდ, ამ აზრს რვატომეულის შეცდომაც უწყობს ხელს: „არენდა იგივეა, რაც იჯარა“. თითქოს სადავო არაფერია, მაგრამ საქმე ის არის, რომ ენის ბუნებრივი განვითარება თავისას მოითხოვს და გარკვეულ კანონზომიერებას ემყარება, რასაც ნათლად ადასტურებს უკანასკნელ ხანს გამოქვეყნებული მასალები (და კამათიც კი) არენდის შესახებ. ვიდრე მათ მოვიშველიებდეთ, თვით აღნიშნული ტერმინების აღრევის სათავეშიც უნდა გამოვიყოთ თვალსაჩინო წინააღმდეგობა. მართალია, რუსულ-ქართული ლექსიკონი იჯარას და არენდას ერთგან აიგივეებს (ალბათ რვატომეულის ზეგავლენით), მაგრამ იქვე, როდესაც რუსულ ტერმინს „подряд“-ს ეხება, გვიხსნის: „იჯარა, ნარდი სამუშაო: он получил подряд на постройку дома — სახლის ასაგებად მიიღო იჯარა; работать по подряду — ნარდად, იჯარით მუშაობა.“

უკანასკნელ დრომდე „арендный подряд“-ის შესატყვისად სამართლიანად იხმარებოდა საარენდო იჯარა, მაგრამ, როგორც ჩანს, განმარტებით ლექსიკონზე მინდობამ ზოგიერთს ორიენტაცია დააკარგვინა. ასე რომ, ტელევიზიიდანაც მოვისმინეთ კატეგორიული, მაგრამ მცდარი განცხადება, ბოლოს და ბოლოს, როგორ ვერ გავიგეთ, რომ არენდა და იჯარა ერთიდაიგივე ცნებებია.

ასე და ამგვარად კალაპოტიდან ამოვვარდით: თუ არენდა და იჯარა ერთიდაიგივეა, მაშინ საარენდო იჯარა იგივე ყოფილა. რაც იჯარის იჯარა, ეს კი შეუსაბამობაა. ამ გზით ახალი კანონმდებლობის საფუძვლების ქართულ ვარიანტში გაჩნდა აბსოლუტურად გაუმართლებელი სინტაგმები: სანარდო იჯარა, იჯარული ნარდი. სულ დავივიწყეთ, რომ ნარდად მუშაობა იგივე იჯარით მუშაობაა და სრულიად კანონიერი სიტყვა „არენდა“ საერთოდ ამოვავდეთ ლექსიკონიდან. ამის უფლება არავის ჰქონდა და ამიტომაც აუცილებლად საჭიროა, რომ გაქართულებულმა არენდამ თავისი ადგილი დაიკავოს. ერთი სიტყვით, სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების არენდის (და არა იჯარის) კანონმდებლობის საფუძვლების ქართული თარგმანი აბსოლუტურად უნდა გაიწმინდოს შეუსაბამო და უხერხული ტერმინებისაგან, როგორცაა: იჯარა (არენდის ნაცვლად), მეიჯარე, დაიჯარება, იჯარული ნარდი, სანარდო იჯარა და ა. შ.

ახლა ვნახოთ, რას ადასტურებენ უკანასკნელ ხანს ქართული პრესის ფურცლებზე გამოქვეყნებული მასალები:

„კომუნისტის“ (15. 10. 1988) თითქმის მთელი ნომერი უკავია 12 ოქტომბერს სკკპ ცენტრალურ კომიტეტში გამართულ შეხვედრას საარენდო იჯარით მომუშავეებთან სათაურით: „განვავითაროთ არენდა, გარდაეჭმნათ ეკონომიკური ურთიერთობა სოფლად“.

„კომუნისტი“ (13. 10. 88) — „ხვალინდელი დღე არენდისაა“. აქ საგულისხმოა საქართველოს კომპარტიის წითელწყაროს რაიკომის მაშინდელი პირველი მდივნის დავით სავანელის ნათქვამი: „შრომის იჯარული ფორმები თავის დროზე და პრაქტიკულად დავნერგეთ. არენდაზე გადასვლაში კი შევეფრხობით“. ამკარად ჩანს ის, რომ გამოცდილი მეურნე და ხელმძღვანელი კარგად არჩევს ერთმანეთისაგან იჯარას და არენდას.

ანალოგიურ სწორ გამონათქვამს გვთავაზობს ასპინძის რაიკომის ყოფილი პირველი მდივანი თ. მოსიაშვილი გაზეთ „სოფლის ცხოვრებაში“ (7. 1. 1989): „საარენდო ურთიერთობაზე რაიონის გადაყვანა შარშან დავიწყეთ. მიწათსარგებლობის ახალი ფორმები რაიონში ფართოდ იწერება. მაგრამ კვლავ დამაბული მუშაობა გვრწევს. იჯარული მუშაობის გამოცდილება გვაქვს. მაგრამ არენდა უფრო მიზანშეწონილია ჩვენს პირობებში“.

ხომ არ ვკითხოთ ამ ამხანაგებს, რატომ და როგორ არჩევენ ერთმანეთისაგან იჯარას და არენდას?

სადავო არაფერია: არენდა არის ერთი პირის (ან ორგანიზაციის) მიერ მეორე პირისაგან (ან ორგანიზაციისაგან) ქონების მიწის, სახლების, საწარმოების და ა. შ. დროებით დაქირავება განსაზღვრული ვადითა და გადასახადით.

იჯარა არის ხელშეკრულება (გარიგება, მორიგება), რომლის მიხედვითაც ერთი მხარე მეორის შეკვეთით ვალდებულებას კისრულობს, რომ განსაზღვრული სამუშაო შეასრულოს გარკვეულ დროში შესაბამისი სახაურით.

როგორც ჩანს, არენდატორმა შეიძლება საიჯარო ხელშეკრულებით იჯარით, ანუ ნარდად მომუშავეებს ააშენებინოს ახალი სათავსი. ფერმა და ა. შ. აქედან კი ის გამომდინარეობს, რომ იჯარადარი დროებით მომუშავეა, არენდატორი კი, მართალია გარკვეული, მაგრამ ხანგრძლივი ვადით მაინც მიწისა და ქონების მებაატრონია. რა თქა უნდა, მათ შორის დიდი განსხვავებაა.

როგორც აღვნიშნეთ, წარმოშობით არც „არენდა“ ქართული, არც „იჯარა“ მაგრამ ორივე ტერმინი დამკვიდრებულია და გაქართულებული. იჯარის არაბული წარმოშობა იქნებ მიესადაგებოდეს კიდევაც პოლონურ არენდას. მაგრამ რატომ უნდა უარვყოთ ის ფაქტი, რომ ქართულმა ენამ და სამეურნეო გამოცდილებამ ამ ორ ტერმინს სხვადასხვა დანიშნულება დააკისრა. რაც ლექსიკონში სათანადოდ ვერ აისახა. აი ამის დამადასტურებელი მაგალითებიც: „аренда — იჯარა, არენდა; арендатор — მოიჯარე, იჯარადარი, არენდატორი; подрядчик — მოიჯარე, მენარდე, იჯარადარი, მოიჯარადრე“. აქედან ისე გამოდის, თითქოს არენდატორი და იჯარადარი ერთიდაიგივე ტერმინი იყოს. ასევე — подрядчик და арендатор. ამით, ცხადია, აბსოლუტურ აღრევასთან გვაქვს საქმე, მაგრამ ზემოთ ისიც გარკვევით დავინახეთ, თუ რაიგ დაგვეხმარა იგივე ლექსიკონი „подряд“-ის ქართული შესატყვისის დადგენაში (ნარდად, იჯარით მუშაობა).

საარენდო იჯარა, ცხადია, არავითარ გაუგებრობას არ გამოიწვევს, თუ ვალიარებთ იმ ჭეშმარიტებას, რომ ქართული ენის ბუნების შესაბამისად არენდა და იჯარა სხვადასხვა ტერმინია. ამასთან, საჭიროა ეკონომისტების აზრის გათვალისწინებაც. თუ „подряд“-ის ყველა მნიშვნელობას გავითვალისწინებთ, იქნებ ზოგჯერ შესაფერის კონტექსტში გამოგვეყენებინა ასეთი სინტაგმებიც: საარენდო გარიგება, საარენდო ხელშეკრულება, საარენდო მორიგება, საარენდო შეთანხმება, საარენდო მოლაპარაკება.

ამგვარად, ღრმად მწამს, რომ არსებითი ტერმინოლოგიური შესწორებისა და დახვეწის გარეშე არენდის კანონმდებლობის საფუძვლების ქართული თარგმანი ბევრი გაუგებრობის წყაროდ იქცევა და სიკეთოს ნაცვლად ზიანს მოუტანს ჩვენს სახალხო მეურნეობას.

ოთარ გარიშვილი

საქართველოში დაბრუნებისას პეტრე ხარისკირაშვილმა ასეთი სიტყვებით მიმართა მრევლს:

ქ

ათველ... ერს თითო-ორთა მოღვაწეები ჰყავდნენ, რომლებმაც საქმარისად იღვაწეს ქართველთა გვარის სასარგებლოდ: ამ მოღვაწე პირებმა ბევრი რამ შექმნეს და აღადგინეს ქართველთათვის, თვითონ ეს მოღვაწე პირები კი ისე წყნარად და ჩუმად სცხოვრობდნენ, რომ მათ მოქმედების ცნობებს ქართველობა სრულებით ვერ იცნობდა. ეს მოღვაწე პირები ისე დაიხოცნენ, რომ მათ შესახებ არსად კრინტი სიტყვაც არ დაძრულა. ამის მიზეზი ის იყო, რომ ქართველები ვერ იცნობდნენ ამ მოღვაწე პირებს და თვითონ ეს პირებიც არა ნდომობდნენ ამ ცნობას. ერთ ასეთ მოღვაწე პირად ჩვენ მიგვაჩნია აბატი პეტრე ხარისკირაშვილი, რომელმაც მთელი თავისი ცხოვრება ისე წყნარად და საიდუმლოდ გაატარა, რომ ქართველები არამც თუ მისი ცხოვრების ცნობებს, არამედ თვით მის ხელსაც არ იცნობდნენ. — წერდა საზოგადო მოღვაწე, გამომცემელი, ლიტერატურის და ისტორიის მკვლევარი ზაქარია ჭიჭინაძე.

ვინ იყო პეტრე ხარისკირაშვილი? იგი XVIII საუკუნის მეორე ნახევრისა და XIX საუკუნის დასაწყისის ქართული ეკლესიის ნაამაგარი შვილია.

ტომით ქართველი, სარწმუნოებით კათოლიკი, თემით ახალციხის მაზრიდან, ანუ მესხი პეტრე ხარისკირაშვილი დაიბადა ისეთ დროს, როცა საქართველოს ერთი ნაწილი ოსმალებს ეკავათ.

დაწყებითი სწავლა მიიღო ახალციხის სამრევლო სკოლაში. ძველად ახალციხეს ლომისი ერქვა. ახლანდელი სახელი დაერქვა მეჩვიდმეტე საუკუნეში, როცა ოსმალებმა აიღეს ახალციხე, ძველი ციხე დააქციეს, ახალი ააშენეს და იწყეს აქ ბატონობა.

სემინარიის დამთავრების შემდეგ პეტრე ხარისკირაშვილი გაემგზავრა რომში და ვატიკანში პაპის უმაღლეს სასულიერო სასწავლებელში შევიდა.

რომიდან პეტრე ხარისკირაშვილი გადასახლდა ვენეციაში.

ვენეციაში ყოფნის დროს პეტრე ხარისკირაშვილმა გამოაქვეყნა განთქმული მოძღვრის ივანე მამულიშვილის შრომა საქართველოში მყოფ კათოლიკეებზე.

მალე ხარისკირაშვილმა ვენეციაში ისეთი დიდი პატივი და ავტორიტეტი დაიმსახურა, რომ ქართულ თარგმანთა დასაბუქდად ქართული შრიფტიც შემოიღეს. ვენეციიდან იგი მიემგზავრება რომის პაპთან, სადაც წარადგინა ვრცელი ისტორიული მოხსენება საქართველოს შესახებ.

აი როგორ აღწერს ზაქარია ჭიჭინაძე აბატ პეტრეს შეხვედრას რომის პაპთან.

„როცა პეტრემ პაპის დარბაზში ფეხი შედგა, იმ წუთშივე მუხლებზე დაეცა და პაპის მუხლებამდე ჩოქვით უნდა მისულიყო, მაგრამ პაპმა არ დააცალა, საჩქაროდ წამოხტა ტახტიდან, მივიდა უცებ პეტრესთან, ააყენა, ხელი დაუჭირა, მიიყვანა, თავის გვერდით დასვა და საუბარი გაუმართა. პაპისაგან ეს დიდი, იშვიათი პატივისცემა

იყო, რადგანაც პაპი ასეთი პატივით თვით კარდინალებსაც არ ეპყრობოდა ხშირად“.

საქართველოში დაბრუნებისას პეტრე ხარისკირაშვილმა ასეთი სიტყვებით მიმართა მრევლს:

„ჩვენ, ჯავახეთის კათოლიკენი, ქართველი გვარისანი ვართ და არა სომხები. ვინც ამის წინააღმდეგი იქნება, იმას მე ვკითხავ, რომ მან დამიმტკიცოს წინააღმდეგი ისტორიულის ცნობებით, მათ მივცემ ამგვარ კითხვებს: როგორ? განა ჩვენ ქართველები არა ვართ, საქართველოში არა ვცხოვრობთ? განა ჩვენი ენა ქართული არ არის? მე არავის დავუთმობ ენის უარყოფას, მოწინააღმდეგეებს ვიწვევ სჯაში და ბაასში, დავუმტკიცებ მათ ისტორიულის ცნობებით, რომ ჩვენ ქართველი ვართ, ეს ყველასათვის ცხადი არის. მართალია, ჩვენი გვარი გადაკეთებულია, მაგრამ ეს სხვა და სხვამანქანებით მომხდარა“...

ახალციხიდან პეტრე ხარისკირაშვილი გადაიყვანეს მღვდლად ჯერ სოფელ ხიზაბავრაში, მერე სოფელ ვალეში. შემდეგ კიტოვებს საქართველოს, მოგზაურობს მთელი ევროპის კათოლიკეთა სახელმწიფოებში, რომის პაპის მეოხებით ყოველი სახელმწიფოს უმაღლეს სასულიერო პირებს ზვდება და გამოდის მოხსენებებით ქართველ კათოლიკეთა შესახებ.

დიდ ინტერესს იწვევს ერთი წერილი, რომელშიც ხარისკირაშვილი აცხადებს, რომ პოლონეთში მამა ოგუსტ ლარასიმ გამოუქვეყნა წერილები საქართველოს შესახებ, გადათარგმნა ქართულიდან ფრანგულ ენაზე ბევრი ისტორიული ცნობა, აღწერა ფრანგულად წმინდა ნინოს ცხოვრება, შემდეგ ის წერს, რომ 1885 წელს რომის სასულიერო სურათებიან გაზეთში „ვეს მი-სიონ დე კოლეჟში“ დაბეჭდილია საქართველოს მოკლე ისტორიული მიმოხილვა, რომელიც შეუდგენია ტრაპიზონში მყოფ ვიცე-კონსულს მარენგოს. აქვე დაბეჭდილია ქართველი ეპისკოპოსის გაბრიელის სურათი.

პეტრე ხარისკირაშვილმა პირველმა დააარსა იტალიაში ქართული მონასტერი სახელწოდებით „ივერიის ღვთის მშობელი, უმანკო შტესახებისა“. იტალიიდან კონსტანტინოპოლში (სტამბოლში) გადასახლდა. აქ განიზრახა ქართული ეკლესიის აშენება, სასწავლებლის და სტამბის დაფუძნება ქართული წიგნების დასაბეჭდად. საქმე კარგად წავიდა. კონსტანტინოპოლში დააფუძნა ქართველ მონაზონთა მონასტერი, სადაც განწესდნენ სასულიერო პირნი, რომელნიც ქართულად ასრულებდნენ ყოველ საეკლესიო წესსა და რიგს. აქვე ააშენა ქართველ კათოლიკეთა ეკლესია წმინდა იოსების სახელზე, შეკრიბა ქართველი მონაზვნები და დააფუძნა ქართველთა „ძმობა“. ეკლესიის გვერდით მალე სასწავლებელიც ააშენა. პირველ წელიწადსვე სასწავლებელში მიიღეს 100 ყმაწვილი. მასწავლებლად ქართველი კათოლიკე მოძღვარნი იყვნენ. დაწყებით კლასებში მოსწავლეებს ყველა საგანს ქართულად ასწავლიდნენ, შემდეგ კლასებში კი ქართულ

ენასთან ერთად ფრანგულ, იტალიურ, ბერძნულ, ლათინურ, სომხურ და სპარსულ ენებსაც ეუფლებოდნენ. სწავლობდნენ ქართველ კათოლიკეთა ისტორიას, საქართველოს ისტორიას, ქართული ძველი და ახალი მწიგნობრობის ისტორიას, ქართულ გალობასა და სხვა საგნებს.

აბატ პეტრეს მოწაფეები მთელ ევროპაში იყვნენ მოფენილი.

კონსტანტინოპოლის ქართველ კათოლიკეთა სკოლისა და ეკლესიის გახსნის შემდეგ აბატმა პეტრემ დააფუძნა ქართული სტამბა, ჩამოასხმევინა სრულიად ახალი ყალიბები, შეიძინა დანადგარები. სტამბის საზეიმო გახსნა შედგა 1870 წლის მარტში. ქართულ სტამბებში, რომლებიც დააფუძნდა პეტრე ხარისკირაშვილის მეშვეობით იტალიაში, საფრანგეთში, კონსტანტინოპოლსა და სხვა ქალაქებში, დაიბეჭდა ბევრი ნაშრომი. მათი ავტორები იყვნენ თვით აბატი პეტრე, სხვა განთქმული ქართველი მოღვაწეები.

პეტრე ხარისკირაშვილი ოცნებობდა, რომ ამ წიგნებს საქართველოს გარდა ოსმალეთის მაჰმადიანი ქართველებიც გასცნობდნენ. იგი ფიქრობდა, რომ ოდესმე ქართველი კათოლიკების დახმარებით გათათრებულ ქართველებსაც მისწვდებოდა და მათ შორისაც შეიტანდა ქართულ წიგნებსა და ქრისტიანობას. ბევრი წვალების შემდეგ იგი მოესწრო იმასაც, რომ ევროპის უმაღლეს სასულიერო სასწავლებლებში 1876 წელს სწავლა დაამთავრა პირველმა თოთხმეტმა ქართველმა კათოლიკე მოძღვარმა. საღმრთო საგნების გარდა ისინი სწავლობდნენ მედიცინას, ფილოსოფიას, გეოგრაფიას, ლოგიკას, პედაგოგიკას და სხვადასხვა ენას.

პეტრე ხარისკირაშვილი გარდაიცვალა 1890 წელს, როგორც ზაქარია ჭიჭინაძე წერს, აბატმა „სიკვდილის წინეთ მიიხმო თავისი მოწაფე მოძღვარნი და დიდის ერთგულებით დაავალა შემდეგი: „საქართველოს სიყვარული, ქართული ენის და მწიგნობრობის პატრონობა. ერთმანეთის სიყვარულის მეოხებით ქართველ კათოლიკეების გვარტომობის მფარველობა და პატრონობა, რომ მათ ტომობას, გვარს და ენას გზაში რამე ხიფათი არ მოველინოს და მათ არ დაუწყონ გადაგვარება. დიდებული ქართული ენა, რომელ ენითაც ლაპარაკობდნენ თვით მოციქულნი მაცხოვრისა და რომელ ენა აღიდა შოთა რუსთაველმა, შეავთვლა, პეტრე ვარაზ ბაკურისძემ, ჩაბრუნებდნენ, პეტრიწმა, გიორგი მთაწმინდელმა, თმოგველმა და სხვებმა, რომ ეს ენა არ წაერთოთ მათ და არ დაეკარგოთ“.

და იყოს ასე!..

რამ დავინდობი

ჟურნალის

მეგობრები



მათი სამუშაო ადრე დილით იწყება. მოვლენ და ახმაურდება საამქრო. გაცოცხლებიან დაღუბებული მანქანები, დატრიალდება საღებავების სუნი და ფენაფენა, ნაკეც-ნაკეც შრიალით იწყებს გადმოსვლას „დროისა“ და „ცისკრის“. „მნათობისა“ თუ „საუნჯის“ ახალ-ახალი გვერდები.

ეს ოფსეტური ბეჭდვის საამქროა. აქ ჩვენი ჟურნალის „სულისჩამღებლები“ იღვწიან, ერთი შეხედვით უჩინარი პრო-

ფესიის ადამიანები, თუმცა რატომ უჩინარი, ყველაზე თვალნათელი სწორედ მათი ნახელავია. აქედან იწყებენ ჟურნალის გვერდები ნამდვილ სიცოცხლეს, მათი მუშაობის ხარისხზე ბევრადაა დამოკიდებული მკითხველთა გუნება-განწყობილება.

უჩინჯო ნახელავი აქვთო, სწორედ ზაურ ელბაქიძეზე და თამარ კოპაძეზე ითქმის. ბატონი ზაური ამ საამქროს მბეჭდავ-ბრივადირია, ქალბატონი თამარი კი მზა პროდუქციის მიმღებად მუშაობს. გვერდი-

გვერდ, შეხმატკბილებულად მუშაობენ თითქმის ორი ათეული წელია. მათზე აუგს ვერავის დააცდინებ. უყვართ პროფესია და ამ სიყვარულს აქსოვენ თავიანთ ნახელავში, ჩუმად, უპრეტენზიოდ.

როცა საქმე მოითხოვს, დალლასაც ივიწყებენ. არასამუშაო საათებსაც და თუ საჭირო იქნება, შაბათ-კვირასაც. ამიტომ ენდობიან თანამოსაქმენი. ულატობებსაც ამიტომ ეძახიან.

ჩუმი და უპრეტენზიონი არიან-მეთქი. თუმცა მაინც ამჩნევენ მათ საქმეს. უფასებენ კიდევაც ამაგს.

„შრომის ვეტერანის“ საპატიო წოდება და სხვა მრავალი ჯილდოც მეტ პასუხისმგებლობას და მოთხოვნილებას აკისრებთ.

საამქროში რომ შეხვალთ, უთუოდ თვალში მოგხვდებათ თვალსაჩინო ადგილას გამოფენილი მათი შრომითი საქმიანობის ამსახველი ფოტოები. მათი მისამართით თქმულ კეთილ სიტყვასაც ხშირად წააწყდებით პრესის ფურცლებზე.

ემაყვება გურამ გვენეტაძეს თავის საამქროში ასეთ მოწინავე და სათნო ადამიანებთან რომ უხდება ტრიალი.

კარგია, როცა ჩვენს ჟურნალს ასეთი ერთგული მეგობრები ყავს.

საგონი ცობა, მაგრამ უკეთესი

წამლის ფართო არჩევანი არ არის ჯანმრთელობის გარანტია. ასეთ დასკვნამდე მივიდნენ ნორვეგიელი ექიმები. ამჟამად ქალაქის აფთიაქში არსებულ წამალთა რაოდენობა მკაცრად იზღუდება. ნებადართულია წამლის დამზადება და შემოტანა მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ეს აუცილებელია. ახალი პრეპარატი კი „მწვანე ზღას“ მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიღებს, თუ დამტკიცდება, უკვე არსებულთან შედარებით მისი უპირატესობა. დღეს ნორვეგიის აფთიაქებში სულ 1900 წამალი იყიდება. ინგლისში კი 18 000, მაშინ, როცა ინგლისელები საშუალოდ 1,5-2,5 წლით ნაკლებს ცხოვრობენ, ვიდრე ნორვეგიელები.

აი რას ნიშნავს ტყუპები

დიდი ბრიტანეთის ქალაქ უემეტის მკვიდრებმა ჯონათან და ჯეისონ ფლოიდებმა ერთდროულად იგრძნეს ტკივილი მუცლის არეში: მათ განუვითარდათ ჭიკაძეა ნაწლავის ანთება — აპენდიციტი.

ჭერი ჯონათანი მოათავსეს საოპერაციო მაგიდაზე, 24 საათის შემდეგ კი ჯეისონი... ოღონდ ძმისაგან 500 კილომეტრით დაშორებულ სხვა ქალაქში.

ფრანგმა სოციოლოგებმა დაადგინეს რომ მათი მშობლიური ენის საგანძურში ყველაზე საკრალური ათი სიტყვაა: ჯანმრთელობა, სამსახური, სიყვარული, ოჯახი, ფული, ბავშვები, მეგობრობა, ბედნიერება, თავისუფალი დრო, თავისუფლება. გამოკითხვის შედეგად დაადგინეს, რომ ფრანგების 42,9 პროცენტს ჯანმრთელობა მიაჩნია უმთავრესად, ხოლო 49,9 პროცენტი ავადმყოფობას უფრთხის. საყურადღებოა ისიც, რომ ფრანგი ქალისათვის პირველ ადგილზეა სიყვარული, კაცისათვის — სამუშაო.

ოჯახი არ არის ზედმეტი ტვირთი — კამერუნის ჩრდილო-აღმოსავლეთით მცხოვრები ტომის ბელადი 81 წლის ასაკში გარდაიცვალა. ამასთან დაკავშირებით გამოცხადდა გლოვა: მან ხომ 151 ვაჟი, 400-ზე მეტი შვილიშვილი და 30 ქვრივი დატოვა. მაგრამ ეს არ არის რეკორდი — ერთ-ერთმა ბელადთაგანმა, რომელიც 1972 წელს გარდაიცვალა, დატოვა 237 ქვრივი.

ყველაზე მეტი

მსოფლიო ბაზარზე ყველაზე მეტ ავტომანქანას უშვებს იაპონია. მან მნიშვნელოვნად ჩამოიტოვა უკან ავტოკონფერენციის სამშობლო აშშ. სტატისტიკური მონაცემებით 1988 წელს ამომავალი მზის ქვეყანამ უცხოეთში გაყიდა 4.430 ათასი მსუბუქი ავტომანქანა, გერმანიის ფედერაციულმა რესპუბლიკამ 2 504 ათასი, საფრანგეთმა 1 830 ათასი, კანადამ 880 ათასი, ესპანეთმა 750 ათასი, იტალიამ 686 ათასი, აშშ-მა 665 ათასი და ა. შ.

ნარკომანი ვიროსები


სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის, კეიპტაუნის პოლიციის სარდაფში რამდენიმე ტონა კონფიცირებული ნარკოტიკი ინახებოდა. ერთ ღამეს სარდაფში შეიკრნენ ვიროსები, დაწყურდნენ მარხუნაოთი და თავს დაესხნენ პოლიციელთა მანქანებს, გააჩანაგეს საბურავები და ელექტროგაყვანილობა. მღრღნელებს კატების ბატალიონი მიუხეც, მაგრამ ვიროსები არ შეუშინდნენ ამ ურჩხულებს.

თამბაქოს მწველთა ბასსარმბლად

საათების ცნობილმა იაპონურმა ფირმამ „ბოტორი სეიკომ“ უბოლო სიგარეტის წარმოება დაიწყო. ახალი სიგარეტი, რომელსაც „22“ ჰქვია, წარმოადგენს თამბაქოიან კლასტიკურ მილს. მასში 100-ჯერ ნაკლები ნიკოტინის შემადგენლობაა, ვიდრე ჩვეულებრივ სიგარეტში. და თანაც თამბაქოს ბოლის ნაცვლად სასიამოვნო არომატს უშვებს. ამ სიახლეს ერთი საოცრებაც ახლავს: ერთი სიგარეტის მოწევის ხანგრძლივობა 50 წუთს შეადგენს.

„მუსიკალური ნუგზარი“

გინახავთ „მუსიკალური საქმელი“? თურმე ასეთი არსებულა. გერმანელი პეტერ ლადონი აშაადებს პატენონის ფირფიტებს შოკოლადისაგან. დაუკრავს ასეთი ფირფიტა 20 წუთს — და მიირთვი ნუგზარი. თუმცა ჯანმრთელობისათვის ზედმეტი შოკოლადი ცოტა არ იყოს საზიანოა.



თარგუმად: 1. კულტის მსახური წარმართებში; 4. ფილოსოფიური ან ზამინურო ხასიათის ოთხტრიქონიანი ლექსი; 8. მეურვე, მზრუნველი; 9. ჩიტების დასაპერი მახე; 12. დიდი სიგრძის მთლიანი სანგრევი ზოლი მალაროში; 13. კუნძული ხმელთაშუა ზღვაში; 14. ნაქვევი შინაური პირუტყვის ყურზე; 17. ქალის ფართო პალტო ბეწვისა; 18. რთული სიტყვის პირველი შემადგენელი ნაწილი; 20. ისტორიული მხარე დას. საქართველოში; 21. საცხედრე; 22. ტბილი ნამცხვარი; 23. პანანაქება სიტყვ; 24. მოკლე აღვგორიული მოთხრობა ან ლექსი; 30. მდინარე ინგლისში; 31. სურვილი, მადა; 32. საქალაქო ტრანსპორტი; 35. ქალაქი ნორვეგიაში; 38. მოედანი ცხენების საჭიროთოდ; 39. რუსი საბჭოთა მწერალი; 40. სახელმწიფო ევროპაში; 41. ზღვრული ნორმა.

შპეულად: 1. საპლნიანი საკიდარი აქლემების მწკრივი; 2. თავბრუ; 3. მე-19 საუკუნის გამოჩენილი ამერიკელი მოჭადრაკე; 5. მღვდლის სამოსელის ნაწილი, კისერზე ჩამოსაცმელი; 6. გამოჩენილი უახში პოეტი-განმანათლებელი; 7. სპეციალური უმაღლესი სასწავლებელი; 8. საძირზე დასაყენობი ხილის ახალამოსული შტო; 10. უშულოველი, აუღლევებელი ცხოვერება; 11. დღე-ღამის განაყარი; 15. რაიმე მიზნით ერთად თავმოყრილ ადამიანთა დასახლება; 16. ბანდაჟი, ხერხემლის ზოგი დავადების სამკურნალოდ; 18. სპორტული თამაში; 19. მოხერხებული ვიგინდარა, გაფუჭებული ადამიანი; 23. გარკვეული წესით ჩამოწერილი განაწესი; 24. სხვა ქალაქიდან ან სხვა ქვეყნიდან ჩამოსული მსახიობის ან მსახიობთა კოლექტივის გამოსვლა; 25. მუსულმანი მამაკაცების თავზე შემოსახვევი საბურველი; 26. მსოფლიო ექსტემპიონი ჰალარაკში; 27. ქედი თბილისის მიდამოებში; 33. დიდი ტიკი; 34. ეგვიპტის უზენაესი ღმერთი; 36. მღვდნელი ცხოველი, ციყვთა ოჯახიდან; 37. ხორბლის ჭიში, შემოდგომობით ითესება.

შეადგინა რეპაზ თაპარინაშა

89-10 ნომერიში გამოქვეყნებული ქროსვორდის პასუხები:

ვერტიკალურად: 1. აგრემანი; 2. ატავიზმი; 3. მინდია; 4. დილემა; 5. დივერსია; 6. ამნისტია; 11. პანოი; 14. ათეიზმი; 15. სვანეთი; 16. ელიტა; 17. იორლა; 20. სესია; 21. მინდანაო; 22. ბიოლოგია; 24. აკინეზია; 25. აბოვიანი; 28. ფუტურო; 29. ინკასო.

თარგუმად: 7. აგიტაცია; 8. სიონიზმი; 9. ბერვალდი; 10. დეპრესია; 12. ატლანტა; 13. ანემია; 15. სტიქია; 16. ეპოსი; 18. მისია; 19. ურანი; 23. ამება; 26. ლინიკი; 27. ინკები; 28. ფილიალი; 30. ბარონეტი; 31. აკადემია; 32. ლათინური; 33. ასათიანი.

გადეცა წარმოებას 20. 10. 90. ხელმოწერილია დასაბეჭდად 12. 12. 90. ქალაქის ზომა 70x1081/8, გარეკანი, ჩანართი და ტექსტი იბეჭდება ოფსეტური წესით, ფიჭოური ფურცელი 3, პარობითი ნაბეჭდი ფურცელი 4,2, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,89. ტირაჟი 54 000. შეკვეთა 2500. ფასი 35 კაპ.

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал «Дроша» («Знамя»), (на грузинском языке). 380096, Тбилиси, ул. Ленина, 14. Типография издательства ЦК КП Грузии. Адрес редакции: 380008, Тбилиси, 8, пр. Руставели, 42.

ამბები

მომარუნდით აღმოსავლეთისაკენ

ინდოელი სპეციალისტები ერთობ მეცნიერულ თვალსაზრისს გამოთქვამენ იმის თაობაზე, თუ რატომ წვება ზოგიერთი ცხოველი თავით აღმოსავლეთისაკენ. საქმე ის არის, რომ დედამიწის მაგნიტური ველი ძლიერად მოქმედებს ძილზე. თუ ჩვენ თავით აღმოსავლეთისკენ დავწევებით, ღრმა და ჯანმრთელი ძილით დავიძინებთ, ხოლო ვისაც ძილის დროს თავი ჩრდილოეთისაკენ უღევს, თავის ტივილი და აპათია აწუხებს.

* * *

იაპონელი გამომგონებლები გვიბრდებიან, რომ სულ მალე გვექნება ისეთი ავტომანქანები, რომლებიც შეიძლება „იცნონ“ თავისი მფლობელი. საჭირო აღარ იქნება გასაღები, რადგან როგორც კი მფლობელი ავტომანქანას მიუახლოვდება, მისი სხეულის ტემპერატურას „იცნობს“ მისივე საკუთრება და კარი თავად გაიღება.

მომგონებანი ნიძლავი

მთელი წლის განმავლობაში ერთხელ არ შეუხედავს ტელევიზორის ეკრანისათვის როკილი-მერილენდის შტატელ კრისტინა ნალის. მან მძასთან ერთად სანაძლეო დაუღო მამას, რომ 365 დღის განმავლობაში არ ნახავდა არც ერთ სატელევიზიო გადაცემას და ამგვარად გამოიმუშავებდა 365 დოლარს. როგორც ხედავთ, კრისტინამ სანაძლეო მოიგო.

33.680-ჯერ

13 წლის მურო პალავინინი, რაც თავი ახსოვს, სულ ბურთს თამაშობს.

ახლახანს იტალიის ქალაქ მონელას სტადიონზე, მრავალრიცხოვანი მყურებლის წინაშე, მან რეკორდი დამყარა — მიწაზე შეუხედავდა 33.680-ჯერ ფეხით ააგდო ბურთი.

ადამიანის ძვალზე მბარბი

ახეა დახასიათებული იაპონიაში მომზადებული ახალი გადასანერგი ნივთიერება, რომელიც შედგება ფოსფატების, კალციუმისა და კაისიანგან. იაპონიაში უკვე წარმატებით შესრულდა 200 ოპერაცია კერამიკული ტრანსპლანტატის გამოყენებით.

შესაშური სიმშვიდე

კუნძულ მადაგასკარის მკვიდრს მოსუს ფეხში ნიანგი სწვდა. აბორიგენი არ დაიბნა და მაგრად ჩაეკიდა ცხოველის წინა თათს. ერთსაათიანი ბრძოლის შემდეგ ნიანგმა „კამიტუ-ლაცია“ გამოაცხადა.

სუპერმენი

1988 წლის სუპერმენად აღიარეს სატვირთო მანქანის მძღოლი, ჩრდილოეთ ამერიკის ქალაქ კუინსის მკვიდრი ბენ უინსტონი, რომელმაც ჰაერში დაიჭირა ცეცხლმოკიდებული სახლის მეოთხე სართულიდან გადმოხტარი ცოლ-ქმარი.

* * *

შეკითხვაზე, აირჩევა თუ არა ხელანლა ცხოვერების თანამგზავრს, ყოველმა მეორე ფრანგმა ქალმა სასურველად ჩათვალა ქმრის გამოცვლა, თავიდან რომ დაეწყო ოჯახური ცხოვერება.

გარეკანის პირველ გვერდზე: საქართველოს სახალხო არტისტი გიგა ჯაფარიძე.

ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 99-54-66, პ/მგ. მღვინის—99-82-69, განყოფილებათა გამგეების—98-28-42, 99-01-89, რედაქციის სამღვინოხი — 99-54-66.

რედაქციაში შემოსული მასალა ავტორს არ უბრუნდება.



ფოტო არსენ ჩარკვიანისა

დიდხანს ელოდა სრულიად საქართველო თავის უკანასკნელ ღვთისმოსავ მონარქს, სოლომონ II ბაგრატიონს. მეფე, რომელიც ხმალჩაუგებლად იბრძოდა რუსეთის ძლიერი იმპერიის წინააღმდეგ, არ ებუებოდა მტრის მრავალრიცხოვნობას და აჯანყების დროშას დაულაღავად აფრიალებდა. „ძალა აღმართს ხნავსო“ და ჯერ მოტყუებით შესძლეს მისი შეპყრობა, მოტყუებით იმიტომ, რომ ვაჟკაცის შეპყრობას ვაჟკაცობა სჭირდება, ხოლო შემდეგ კი 1801 წელს ახალციხეში დამარცხებულმა, გულისტკივილით დატოვა საქართველო და თავი ტრაპიზონს შეაფარა, იცოდა სიცოცხლეში ვეღარ დაბრუნდებოდა და ანდერძად დაიბარა, ქართულ მიწაში ჩამასვენეთო.
და აი, ასხამოცდათხუთმეტი წლის შემდეგ ახლა სამშობლოს

თავისუფლებისათვის მებრძოლი მეფის ოცნება, მისმა ღირსეულმა შთამომავლებმა არ დაივიწყეს უკანასკნელი გვირგვინოსნის დასახურება მამულისა და ერის წინაშე. დიდი სირთულეების მიუხედავად, მონარქისტული პარტიის მეთაურობით, მეფის ნეშტი საქართველოში ჩამოასვენეს. ორი დღე სტუმრობდა სოლომონ II სიონს, შემდეგ სვეტიცხოველს. ბოლოს გელათში სოლომონ I გვერდზე ჰპოვა სამუდამო განსასვენებელი.
ზღვა ხალხი იყო მეფის საპატივცემულოდ მოსული. იდგა სანთლების ტყე. იმედისა და სიმწრის ცრემლი აპკურეს თანამემამულეებმა მეფის ნეშტს. ქართული საგალობლებიც გააგონეს.
ჩვენი საკ. კორესპ.
ხათუნა მებრძველი,

საქართველოს სახელმწიფო
სამედიცინო უნივერსიტეტი

634/16

დაიცავით ბავშვები,
გადაარჩინეთ ისინი
თქვენი სიბარებთის
გოლისაგან



საინფორმაციო
სარეკლამო
სააგენტო „უშპ“



შენიშნეთ ქალების მიერ თანაგონი წყაპი შესაძლოა
მოიწვიოს ნაადრევი შობიარობა, ხოლო ბავშვი დაიბადოს
ფიზიკური და ფსიქიკური ნაკლით.
თანაგონი მშობელ დედას ეხმარება ბავშვები, რომელთა
ორგანიზმში „თვალის“ კიბოს უჯრედები.
ნიკოტინის გოლი ჰქვამს თქვენი ბავშვის ჯანმრთელ
რამდენიმეჯერ იზრდება ფილტვის გონაქმლოვით
სისხლძარღვთა დაავადებების შემთხვევაში საშიშროებაა.
10-დან 8 თანაგონი მშობელი იზრდება უჯრედში, სა-
მშობლები ეწევიან.
პაპი მშობელი აღზრდის ახლოს მთხვეარ უფრო ვეუბ
ანია, ვიდრე ბავშვის გამონაგონლქვით გაზინწურაუბ
პაპი.
ნუ წაართმევთ თქვენს შვილას სიცოცხლის უფლებას!

ნუ წაართმევთ
თქვენს შვილას
სიცოცხლის უფლებას!